


# საქართველოს იბერიოთეკა

1239  
2003

№4 2003






# ჟურნალის თანმდგომთა საბჭო

ნოდარ ამალლობელი  
 შოთა აფაქიძე  
 ლევან ბერძენიშვილი  
 თამაზ გამყრელიძე  
 სესილი გოგობერიძე  
 მალხაზ მაალიშვილი  
 დავით თარხან-მოურავი  
 ნანა კანდელაკი  
 ალექსანდრე კარგოზია  
 თეიმურაზ კომახიძე  
 ლია ნადარეიშვილი  
 თემურ ჟღენტი  
 ვახტანგ სართანია  
 აკაკი სიხარულიძე  
 ბაკურ სულაკაური  
 ირაკლი ღარიბაშვილი  
 რევაზ ღლონტი  
 თეიმურაზ ჩხენკელი  
 ირინა ჭანგურიშვილი



## ჟურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი  
 გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
 მზია რაზმაძე- კომერციული დირექტორი  
 გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და კორექსონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი



## ინდსაფარმო „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

# ამერიკული გიგლიოთეკები ქართველი სპეციალისტების თვალით

რედაქციის მისამართი:  
 თბილისი, 380007 გულიაშვილის ქ. 7  
 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა  
 ტელ. 93-26-82



ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

შ ი ნ ა ა რ ს ი

საბიბლიოთეკო სტატისტიკა -----	4
<b>ოფიციალური განყოფილება</b>	
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ -----	7
საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფცია -----	8
<b>ბიბლიოთეკა და საზოგადოება</b>	
გულნარა სგურუა – რას ფიქრობენ ბიბლიოთეკარები -----	11
სოფიკო გულიაშვილი – გამგებელიც ასეთი უნდა -----	14
დალი ჯანიაშვილი – ნამდვილ მკითხველს ბიბლიოთეკის გზა არ დაავიწყდება -----	16
<b>საბიბლიოთეკო მენეჯმენტი</b>	
ნანა ქავთარაძე – კონფლიქტები ბიბლიოთეკაში: მისი თავიდან აცილებისა და გადაწყვეტის გზები -----	19
მუმრუდ გოდერძიშვილი – მეთოდისგან გადასახედიდან -----	25
<b>ისტორიის ფურცლებიდან</b>	
ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია – გვილისის საჯარო ბიბლიოთეკის მაგნიანი -----	27
ნინო გომართელი, მარინა სურმავა – ჯულიო მამარინის ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიიდან -----	35
<b>წიგნის იუბილე</b>	
გურამ თაყნიაშვილი – ბუნების დიდი წიგნი პატარებისათვის -----	39
<b>საბიბლიოთეკო კვირეულის გამოძახილი</b>	
ნინო მიშელაძე – შეხვედრა პოეტთან -----	41
მუმრუდ გოდერძიშვილი – ნოდარ დუმბაძის ხსოვნის საღამო -----	43
<b>საერთაშორისო კონტაქტები</b>	
ნანა ფირცხალავა – გამომცემლობა „შპრინგერის“ გამოფენა -----	44
IFLA – ბერლინი 2003: ლაპარაკობენ კონგრესის მონაწილენი -----	47
<b>მამულიშვილები</b>	
დავით სარაჯიშვილის დღეები საქართველოში -----	49
გოგი სარაჯიშვილი – ცოგა რამ სამკითხველო-ბიბლიოთეკების შესახებ და დავით სარაჯიშვილის პირადი ბიბლიოთეკა -----	49
ნანა ფირცხალავა – ექვთიმე თაყნიაშვილი და ქართული საგანძურთსაცავი -----	55
<b>პროფესია და პროფესიონალები</b>	
50 წელი წიგნის სამყაროში -----	59
დაჯილდოება -----	61
<b>რეცენზიები, პუბლიკაციები</b>	
ცნობარი სამხრეთ კავკასიის ბიბლიოთეკების შესახებ -----	61
გოგი სარაჯიშვილი – დიდგანიანი წიგნი პატარა სოფელზე -----	63
ა. სიჭინავა – ნაშრომი სახელმწიფო მუზეუმის შესახებ -----	63
არმაზ სანებლიძე – რეცენზია -----	65
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები -----	66
2004 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი -----	67

## Библиотека Грузии, №4-03

## Содержание

Библиотечная статистика	4
<b>Официальный раздел</b>	
Указ президента Грузии – Об утверждении концепции сохранения и развития государственной сети библиотек Грузии в 2003-2005 г.г.	7
<b>Библиотека и общество</b>	
Гульнара Стураа – О чем думают библиотекари	11
Сопико Гулиашвили – Управляющий должен быть таким	14
Дали Джаниашвили – Настоящий читатель не забудет дорогу в библиотеку	16
<b>Библиотечный менеджмент</b>	
Нана Кавтарадзе – Конфликты в библиотеке	19
Зумруд Годердзишвили – Грзами методиста	25
<b>Страницы истории</b>	
Нинель Мелкадзе, Александр Лория – Летопись публичной библиотеки Тбилиси	27
Нино Гомартели, Марина Сурмава – Из истории основания библиотеки	
Джулио Мазарини	35
<b>Юбилей книги</b>	
Гурам Такниашвили – Великая книга природы для маленьких	39
<b>Отзывы о неделе библиотеки</b>	
Нино Мишеладзе – Встреча с поэтом	41
Зумруд Годердзишвили – Вечер памяти Нодара Думбадзе	43
<b>Международные контакты</b>	
Нана Пирцхалава – Выставка издательства "Шпингер"	44
IFLA – Берлин. 2003: Говорят участники конгресса	47
<b>Сыны отечества</b>	
Дни Давида Сараджишвили в Грузии	49
Гоги Сараджишвили – Немного о библиотеках-читальнях и личной библиотека Давида Сараджишвили	49
Нана Пирцхалава – Эквтиме Такаишвили и грузинская сокровищница	55
<b>Профессия и профессионалы</b>	
50 лет на службе книги	59
Награждение	61
<b>Рецензии, публикации</b>	
Библиотеки Южного Кавказа	61
Гоги Сараджишвили – Большая книга о маленьком селении	63
А. Сичинава – Труд о государственном музее	63
Армаз Санеблидзе – Рецензия	65
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	66
Календарь знаменательных и юбилейных дат 2004 года	67

# Georgian Library №4-03

## Table of Contents:

Library Statistics	4
<b>Official Department</b>	
The Order Of The President Of Georgia	7
For The Maintenance And Development Of Georgian Library Network In The Years 2003-05	
About The Adoption Of The Conception	7
<b>Library And The Society</b>	
Gulnara Sturua – What Do Librarians Think?	11
Sopiko Gullashvili – Gamgebeli Should Be Such	14
Dali Janikashvili – True Reader Will Never Forget The Way To Library	16
<b>Library Management</b>	
Nana Qavtaradze – Conflicts At The Library	19
Zumrud Goderdzishvili – From Methodist's Point Of View	25
<b>From The History</b>	
Nineli Melkadze, Aleksandre Loria – From The History Of Tiflisi Public Library	27
Nino Gomarteli, Marina Surmava – From The History Of The Establishment Of	
Julio Mazarini Library	35
<b>Book Jubilee</b>	
Guram Takniashvili – Nature's Big Book For Children	39
<b>Library Week's Response</b>	
Nino Mishveladze – Meeting Poets	41
Zumrud Goderdzishvili – Memory Evening Dedicated To Nodar Dumbadze	43
<b>International Contacts</b>	
Nana Pirtskhalava – Exhibition Of Publishing Company "Shpringer"	44
IFLA-Berlin, 2003: Congress Participants Tell Us	47
<b>Patriots</b>	
David Sarajishvili Days In Georgia	49
Gogi Sarajishvili – A Little Bit About Libraries And David Sarajishvili's Private Library	49
Nana Pirtskhalava – Ekvtime Takaishvili And Georgian Heritage Collection	55
<b>Profession And Professionals</b>	
50 Years In Book's Service	59
Reward	61
<b>References, Publications</b>	
Libraries Of South Caucasus	61
Gogi Sarajishvili – Big Book About Small Village	63
A. Sichinava – Research About State Museum	63
Armaz Sanebldize – Reference	65
<b>Chronicle</b>	
Chronicle Of Georgian Library Life: Events, Facts	66
The Almanac Of Remarkable And Jubilee Dates In 2004	67



## საბიბლიოთეკო სტატისტიკა

**ა**ვეყნის კულტურული განვითარების დონე ბევრწილად განსაზღვრავს საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობისა და თვით ბიბლიოთეკების ფუნქციონირების მდგომარეობას. სწორედ საბიბლიოთეკო ქსელის რაციონალურ ორგანიზებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხი, მოქალაქეთა სწავლის, აღზრდის, სულიერი სრულყოფის დონე; საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკები ყველაზე ღია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებებია, სადაც თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, ეროვნული კუთვნილებისა, თუ სხვა ნიშნებისა, შეუძლია უფასოდ მიიღოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე. ამდენად საჯარო ბიბლიოთეკების განვითარების დონეზე, მათი მუშაობის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია უფასო საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ. საბიბლიოთეკო სტატისტიკის ამოცანას შეადგენს წარმოადგინოს რეალური მაჩვენებლები ბიბლიოთეკების რაოდენობის, მოსახლეობის საბიბლიოთეკო წიგნით უზრუნველყოფის, საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზების და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ. ეს მაჩვენებლები ერთგვარად ახასიათებენ სახელმწიფოს საბიბლიოთეკო პოლიტიკას.

საბიბლიოთეკო სტატისტიკა ორ ძირითად სფეროს, მიმართულებას მოიცავს: პირველი – საბიბლიოთეკო ქსელის სტატისტიკა და მეორე ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითადი ხარისხობრივი

მაჩვენებლების სტატისტიკა.

საბიბლიოთეკო ქსელის სტატისტიკა, თუ იგი ობიექტურად არის წარმოებული, გვიჩვენებს ბიბლიოთეკების განლაგების რეალურ სურათს.

საბიბლიოთეკო ქსელი აგებულია ორი პრინციპით: გერიგორიული და საწარმოო. კანონით საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ სახელმწიფო უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებას (მუხლი 4). საქართველოს კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მოიპოვება ცნობები საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შესახებ. ეს მონაცემები ახასიათებს ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელს მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, და კუთვნილებისა და ადგილმდებარეობისა. კულტურის სამინისტრო ყოველი წლის დასაწყისში ფლობს ინფორმაციას საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის შესახებ. ეს ინფორმაციები იგზავნება ქვეყნის ყველა რეგიონიდან წინასწარდაგზავნილი სპეციალური ფორმით. სამინისტროს წიგნისა და ბიბლიოთეკების დეპარტამენტი აანალიზებს ამ მონაცემებს და ფლობს ბუსტ ინფორმაციას საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ. ამ ანალიზების საფუძველზე დასტურდება, რომ საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი თითქმის განახევრდა... 4200-იდან დაგვრჩა 2000-ზე მეტი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის რეგიონებში სისტემატურად იცვლება საბიბლიოთეკო სიტუაცია, და ამასთან იცვლება მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სა-

ჯარო ბიბლიოთეკების ქსელის მოწყობა ბევრად სცილდება ამ დარგში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

საერთაშორისო სტანდარტებით, რომელთაც რეკომენდაციის დანიშნულება გააჩნიათ, საჯარო ბიბლიოთეკა გახსნილი უნდა იქნეს თითოეულ დასახლებულ პუნქტში, ადმინისტრაციულ ცენტრში და ა.შ. ქალაქად და რაიონულ ცენტრებში, სადაც ცხოვრობს 20-25 ათასი მაცხოვრებელი, ფუნქციონირებს საჯარო ბიბლიოთეკა ბავშვთა მომსახურების განყოფილებით. საერთაშორისო სტანდარტების ნორმებით ქალაქად, სადაც ცხოვრობს 50-250 ათასი მაცხოვრებელი, გახსნილია უნივერსალური ცენტრალური (საჯარო) ბიბლიოთეკა და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკა. თუ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს 500 მაცხოვრებელი 15 წლამდე, მაშინ შესაძლებელია გაიხსნეს ბიბლიოთეკა-ფილიალი ბავშვთა მომსახურებისათვის (ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის ფილიალი):

ქალაქად დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკა იხსნება ყოველ 4-7 ათას 15 წლამდე მაცხოვრებელზე. ქალაქში, სადაც მაცხოვრებელთა რაოდენობა სჭარბობს 500 ათას მაცხოვრებელს, საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი იგება ადმინისტრაციულ ცენტრებში ყოველ 22-25 ათას მაცხოვრებელზე ერთი ბიბლიოთეკის (ფილიალის) გაანგარიშებით.

რუსეთში, მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკების ფონდი ისეთი რაოდენობით უნდა იქნეს წარმოდგენილი, რომ ყოველ მაცხოვრებელზე მოდიოდეს 4-9 გომი საბიბლიოთეკო წიგნისა, ეს არის ე.წ. წიგნით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, საჯარო ბიბლიოთეკის სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 საათს კვირაში, ამასთან სამუშაო საათები ბიბლიოთეკისა, არ უნდა ემთხვეოდეს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სამუშაო დროს;

საჯარო ბიბლიოთეკის ფუნქციონირების პრინციპები, ქსელის აგებისა და თვით ბიბლიოთეკის მოწყობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი

მაჩვენებლის შესახებ ნათლად არის ნათქვამი IFLA-სა და იუნესკოს მიერ საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ შემუშავებულ სახელმძღვანელოში.

როგორც ვხედავთ, საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ორგანიზების, მათი მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შესახებ შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტები, ნორმები, კანონქვემდებარე აქტები და სხვა სახის ნორმატიული აქტები, რომელთა დაცვას უნდა ცდილობდეს თითოეული ქვეყნის შესაბამისი სამსახურები. ამ ნორმების დაცვით მოწყობილი საბიბლიოთეკო ქსელი და ბიბლიოთეკები შეძლებენ მინიმალურად მაინც დააკმაყოფილონ მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნილებები.

საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ გარკვევით არის მითითებული კანონში „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ცივილიზებული ქვეყნებში დაშვებულია ცალკე კანონები საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ, საქართველოს კანონში ამ მხრივ გარკვეული ცვლილებებია შესატანი. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის განლაგებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის ცალკეული მაჩვენებლის ანალიზი საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ნათელი სურათი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებისა, გავარკვიოთ, თუ რამდენად ვუახლოვდებით და რა მანძილითა ვართ დამორეზულნი საერთაშორისო ნორმებს;

საბიბლიოთეკო სტატისტიკა უნდა ეყრდნობოდეს რეალურ მონაცემებს; ბიბლიოთეკების დამფუძნებელთაგან არც ერთი არ უნდა იყოს დაინგერესებული, რომ ეს მდგომარეობა უკეთესად წარმოაჩინოს, ნამდვილი სურათის დახატვა საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ რეკომენდაციები მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. იმ მიზნით, რომ საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობა საგრძნობლად მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს.

აუცილებელია არსებული მდგომარეობის დე-

გალური ანალიზი.

საბიბლიოთეკო საქმის სტაგისტიკური ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს დავადგინოთ ამ საქმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მონაცემები, კერძოდ:

ა) არის თუ არა საბიბლიოთეკო მომსახურებით უზრუნველყოფილი საქართველოს თითოეული დასახლებული პუნქტი: სოფელი, ქალაქი, დაბა, საკრებულო და ა.შ.

ბ) არსებული საჯარო ბიბლიოთეკები რამდენად პასუხობს საერთაშორისო ნორმებსა და ნორმატივებს.

გ) როგორია მოსახლეობის საბიბლიოთეკო წიგნით უზრუნველყოფის მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს ბიბლიოთეკიდან მიიღოს მისთვის საჭირო პროფესიული თუ სხვა სახის

ინფორმაცია.

დ) რამდენად მიზანშეწონილადაა განლაგებული ქვეყანაში სხვადასხვა უწყებისა და გიპის ბიბლიოთეკები; არსებობს თუ არა მათ შორის კოორდინაციული მუშაობა ინფორმაციების გაცვლისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების ურთიერთგამოყენების თვალსაზრისით;

ასეთი მაჩვენებლების ორგანიზებული მოპოვება, მათი სათანადო დამუშავება და ანალიზი პროფესიონალიზმთან ერთად მოითხოვს საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელი ორგანოების კოორდინაციულ მუშაობას; ეკონომიკურ დახმარებას და, რაც მთავარია, პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას იმ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებათა დასაძლევად, რომლითაც ხასიათდება ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმე.



**„თუ წიგნსაცავში უზნესრიგობაა, იგი ისევე არ ჩაითვლება ბიბლიოთეკად, როგორც შეიარაღებული ხალხის ბრძობს ვერ მივჩინევთ არმიად.“**

გაბრიელ ნოდე, მე-17 ს.



## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№246 2003 წლის 7 ივნისი,

ქ. თბილისი

### საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოში საბიბლიოთეკო ქსელში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შემდგომში ამ დარგის განვითარების მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფცია.
2. საქართველოს კულტურის სამინისტრომ და განათლების სამინისტრომ ექვემდებარებულ ერთეულ წარუდგინონ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს წინადადებები საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფციის რეალიზაციის შესახებ.

**ედუარდ შევარდნაძე**

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 ივნისის №246 ბრძანებულებით

# საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფცია

## 1. ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმეში არსებული მდგომარეობა 1991/92-2001 წ.წ.

მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, თუ რა მნიშვნელოვანი როლი აკისრია ბიბლიოთეკებს საზოგადოების კულტურული ჩამოყალიბების, მისი განათლებისა და განვითარების საქმეში. საბიბლიოთეკო სისტემა აქტიურად უწყობს ხელს ქვეყნის ინტელექტუალური სიმდიდრის, ინფორმირებული პიროვნების პოტენციალის ზრდას.

საბიბლიოთეკო საქმის წარმოება განსაკუთრებულ ფაზაში შევიდა მეოცე საუკუნის 80-90-იან წლებში. დღეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში წარმოდგენილია ბიბლიოთეკის გარეშე სასწავლო-სამეცნიერო პროცესების განვითარება და წინსვლა.

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელი მნიშვნელოვნად დააზარალა. ამასთანავე, ბოლო წლებში ცენტრალიზებული დაფინანსების მოშლამ, სტიქიურმა უბედურებებმა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა მთლიანად საბიბლიოთეკო ქსელი.

ჩვენი ინფორმაციით მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე განახევრებულია ბიბლიოთეკების რაოდენობა. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საქართველოს განათლების სამინისტროს სასკოლო საბიბლიოთეკო ქსელში, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეინარჩუნა სტატუსი, ისევე როგორც ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, საშუალო და სპეციალური განათლების დაწესებულებებთან არსებულმა ბიბლიოთეკებმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკურმა პედაგოგიურმა ბიბლიოთეკამ, როგორც განათლების სამინისტროს სისტემის მეთაურმა საბიბლიოთეკო დაწესებულებამ.

საბიბლიოთეკო საქმიანობაში შეინიშნება მთელი რიგი ხარვეზები:

1) სუსტია საქართველოში საბიბლიოთეკო სა-

ქმის იურიდიული ბაზა. ირღვევა კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ (11.06.1996), რის შედეგადაც ბევრი დასახლებული პუნქტი და სასწავლო დაწესებულება დარჩა ბიბლიოთეკების გარეშე. არ არის შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები, ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ნორმატიულ-იურიდიული დოკუმენტაცია;

2) ხარვეზებით ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აპრილის დადგენილება „ბეჭდვითი სიგევის არასაიღუმლო გამოცემათა უფასო საკონტროლო და ფასიანი ეგზემპლარების დაგზავნის მოწესრიგების შესახებ“; არ სრულდება საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 21 აპრილის 160 ბრძანებულება ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკების სავალდებულო ცალეებით უზრუნველყოფის შესახებ; არ არის შემუშავებული კანონის პროექტი „სავალდებულო ცალეებით ბიბლიოთეკების უზრუნველყოფის შესახებ“;

3) ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა და მათ შორის ი. გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკური პედაგოგიური ბიბლიოთეკა და სასკოლო ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა არ კომპლექტდება ახლადგამოცემული ლიტერატურით, რის გამოც საფრთხე ექმნება, როგორც შედარებით შავარა, ისე ღიდი ბიბლიოთეკების არსებობას.

რეგიონებში მოქმედი ბიბლიოთეკების ღიდი ნაწილი, მათ შორის სასკოლო ბიბლიოთეკებისაც, არ ღებულობს ადგილობრივ პრესასაც კი. ასეთ პირობებში ძნელია ბიბლიოთეკებმა შეასრულონ საინფორმაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია;

4) გაუმართავია ბიბლიოთეკების ღიდი ნაწილის გექნიკურ-მაგერიალური ბაზა. ბევრ რეგიონში ბიბლიოთეკები გადაიყვანეს ბიბლიოთეკებისათვის შეუფერებელ შენობაში. თბილისში

პრივატიზაციას დაეჭვემდებარა 12 შენობა, სადაც საქალაქო ბიბლიოთეკები იყო განთავსებული. დიდ სივიწროვეს განიცდიან ახალქალაქის, ყაზბეგის (საერთოდ არა აქვთ საკუთარი შენობა), მარნეულის, მცხეთის, ახალციხის და სხვა რაიონების ცენტრალური ბიბლიოთეკები;

5) ნელი გემპით მიმდინარეობს მსხვილი სამეცნიერო-გექნიკური თუ სამხარეო ცენტრებში მოქმედი ბიბლიოთეკების გექნიკური გადაიარაღება, ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის გარეშე გაძნელებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ არსებული საბიბლიოთეკო ფონდების გაცნობა-გამოყენება. ამიგომ დაბალია მეცნიერთა და სპეციალისტთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ხარისხი;

6) დაბალია ბიბლიოთეკებში დასაქმებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონე. 1992 წლიდან აღარ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივი კურსები. უმაღლესი სასწავლებლები რაოდენობრივად ვერ აკმაყოფილებენ ბიბლიოთეკართა მოთხოვნას კადრებზე. უკანასკნელ წლებში შტაგების პერმანენტული შემცირების გამო ვეღარ ხორცი-

ელდება სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ბიბლიოთეკართა სპეციალობით დასაქმება;

7) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც მეთაური მეთოდური ცენტრი, უსახსრობის გამო, ფაქტობრივად მოწყვეტილია რეგიონებში მოქმედ ბიბლიოთეკებს. მართალია, კოორდინაციული მუშაობა თბილისის მასშტაბით უკანასკნელი წლების განმავლობაში შედარებით გამოცოცხლდა, მაგრამ კომპიუტერიზაციის გარეშე შეუძლებელია სათანადო დონის კოორდინირებული მუშაობა ბიბლიოთეკებს შორის.

მიუხედავად არსებული ვითარებისა, ბიბლიოთეკებში მომუშავე 7000-მდე ბიბლიოთეკარმა და მათთან ერთად სასკოლო ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა ჩვეული ენთუზიაზმით, პროფესიისადმი ერთგულებით დღემდე მოიგანეს ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელი შედარებით ნაკლები დანაკარგებით.

## 2. საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფცია

საქართველოში საბიბლიოთეკო ქსელში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების კონცეფცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს:

1) საბიბლიოთეკო საქმის საკანონმდებლო საფუძვლების სრულყოფისათვის საქართველოს კულტურის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად შეიმუშაოს კანონის პროექტი „ბეჭდური და სხვა სახის გამოცემებით ბიბლიოთეკების სავალდებულო ცალებით უზრუნველყოფის შესახებ.“

2) საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით:

ა) საქართველოს კულტურის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შეიმუშაოს დებულებები საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ;

ბ) ეთხოვით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს საბიბლიოთეკო ქსელის შემდგომი განვითარების მიზნით მეტი ყურადღება დაუთმონ რეგიონალურ დონეზე საკოორდინაციო მუშაობას;

გ) ეთხოვით გამგეობებსა და საკრებულოებს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ საბიბლიოთეკო შენობების მოვლა-პატრონობის საკითხი, რათა მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ბიბლიოთეკების მაგერიალური ბაზა;

დ) ეთხოვით საკრებულოებს შეიმუშაონ ამჟამად გაუქმებული ბიბლიოთეკების თანდათანობით აღდგენის პროგრამა არსებული კანონმდებლობის დაცვით დასახელებული პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის განსახლებისა და მაგერიალური ბაზის გათვალისწინებით, რათა რაიონის მასშტაბით არ დარჩეს არც ერთი დასახლებული პუნქტი საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე, განსაკუთრებული მზრუნველობა, დახმარება და თანადგომა აღმოუჩინონ სასკოლო ბიბლიოთეკებს;



ე) ქალაქის (რაიონის) აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და განათლების სამინისტროში წარადგინონ პროექტი საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმიზაციის თაობაზე (ახალი ბიბლიოთეკის გახსნა, გამსხვილება-გაერთიანება, გაუქმება, სტრუქტურული ცვლილებები და სხვა) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

3) საბიბლიოთეკო დოკუმენტების მოვლა-პატრონობისა და მათი ურთიერთგამოყენების მიზნით კულტურის რაიონულმა განყოფილებებმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად:

ა) შექმნან სათანადო პირობები საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვისა და ორგანიზებული გამოყენების მიზნით;

ბ) უზრუნველყონ, რომ სოფლებში (დაბებში) გაუქმებული სახელმწიფო ბიბლიოთეკებიდან საბიბლიოთეკო ქონების რაიონულ ცენტრში გადატანა და მათი მიზნობრივი გადანაწილება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო ბიბლიოთეკებს შორის;

გ) იზრუნონ საბიბლიოთეკო ფონდების ურთიერთგამოყენებისათვის; ამ მიზნით საკოორდინაციო მუშაობა აწარმოონ რეგიონისა და შეძლებისდაგვარად საქართველოს სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკებთან.

4) საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციის მიმართულებით:

საქართველოში სახელმწიფო ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია სასურველია წარიმართოს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებული „საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემის კონცეფციასთან“ დაყრდნობით.

5) საბიბლიოთეკო კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და განუწყვეტელი განათლების მიზნით:

ა) საქართველოს კულტურის სამინისტრომ, საქართველოს განათლების სამინისტრომ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად შეიმუშაონ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის პრაქტიკულ

ლონისძიებათა გეგმა;

ბ) არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სისტემატური ხასიათი მიეცეს ბიბლიოთეკართა ატესტაციას.

6) ბიბლიოთეკების მართვა

აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად:

ა) საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე შეიმუშაონ ბიბლიოთეკის წესდება, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკების ფუნქციონირების მარეგლამენტირებული დოკუმენტაცია და უზრუნველყონ მათი კონტროლის განხორციელება;

ბ) საბიბლიოთეკო საქმის მართვაში დემოკრატიული საწყისების დამკვიდრების მიზნით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბიბლიოთეკარებმა, საბიბლიოთეკო აქტივმა;

გ) სახელმწიფო ბიბლიოთეკებმა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოონ საბიბლიოთეკო სტაგისტიკა;

დ) აღდგეს და პრაქტიკაში დამკვიდრდეს ბიბლიოთეკების ანგარიშგება მკითხველი საზოგადოების წინაშე; ამაღლდეს ბიბლიოთეკების თვითმმართველობის დონე;

ე) ბიბლიოთეკების ხელმძღვანელმა პირებმა უფრო მეტად გაითვალისწინონ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციები.

საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარების კონცეფცია შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი: საბიბლიოთეკო სფეროში საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დახვეწა, მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და არსებული დოკუმენტების აღრიცხვა;

მეორე ეტაპი: საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

მესამე ეტაპი: ბიბლიოთეკარების პროფესიული დონის ამაღლება და ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია, მომსახურე პერსონალის პროფესიული პოტენციალის ამაღლება. არსებული ბიბლიოთეკების სისტემატიზაციაში მოყვანა.



გულნარა სგურუა

## რას ფიქრობენ ბიბლიოთეკარები

**ა**ხსენდება ბ-ნი ალექსანდრე ლორიას ბავშვობის მოგონებები ბიბლიოთეკასთან მიმართებაში, რომელიც მან ერთ-ერთი შეხვედრის დროს იუმორით და ხატოვნად მოგვითხრო, ბევრიც გვაცინა, არადა კომიკური ელემენტების გარდა ამ ეპიზოდში ბევრი რამ იყო დასაფიქრებელი. ამბავი ეხებოდა ბიბლიოთეკარის უგაქტო დამოკიდებულებას ნორჩი მკითხველისადმი: დასურათებული წიგნი, რომელიც შეურჩიეს და ათი დღის უფლებით შინ გააგანეს, ბავშვმა სწრაფად წაიკითხა და გახარებულმა იმავე დღეს ბიბლიოთეკას დაუბრუნდა – ახლა სხვა წიგნს წავიღებო, რამაც ბიბლიოთეკარის რისხვა გამოიწვია: რაგომ ადრე ჩაგვაბარე, ალბათ არ წაიკითხეო და სხვ. შეურაცხყოფილ ბიჭუნას ამის შემდეგ კარგა ხანს ბიბლიოთეკისკენ არც გაუხედავს.

მსგავსი ეპიზოდების მოსაძიებლად შორეული წარსული არ არის საჭირო, ამქამდაც უამრავ ისეთ კურობებს წავაწყდებით ხოლმე, რომელიც საეჭვოს ხდის ჩვენი ზოგიერთი ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების პროფესიონალიზმს. უხეშობა და არათავაზიანი დამოკიდებულება არსად და არაფისგან არ არის გასაკვირი დღევანდელ საქართველოში, მაგრამ რადგანაც წიგნი ცოდნის, განათლების, კულტურის სიმბოლოა, ამიგომ წიგნთან მომუშავე ადამიანისაგან გაცილებით მეტ ყურადღებას, თავაზიანობას, მრდილობას მოელის მკითხველი, რასაც, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ვერ იღებს.

ადამიანი, თითოეული ჩვენგანი – ბიბლიოთეკარია თუ არა, სასურველია, თავაზიანი იყოს. თავაზიანობა აღმრდის და განათლების თანმიმდევრული მიღების ერთ-ერთი გამოვლენაა. ადამიანის აღმრდა იწყება ოჯახში და შემდეგ გრძელდება სხვადასხვა აღმზრდელობით კერებში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ვერ ვიცევით, რომ ქართული ოჯახი იგნორირებას უწე-

ვდეს ამ ამრს. თავისი გრადიციებით და ადათ-ჩვევებით ქართული ოჯახი გვაძლევს იმის გარანტიას, რომ პირობა, რომელიც ჩვენ ჩამოვყალიბეთ, ყველასათვის მისაღები იყოს. ოჯახიდან საზოგადოების აღმზრდელობით კერებში გადასაცემული მოზარდი უკვე გარესამყაროდან იღებს ადამიანის ეთიკისათვის აუცილებელ და საჭირო მანერებს, თვისებებს, განათლებას, ჭკუას, ცოდნას. რასაკვირველია, ეს ვეებერთელა და რთული თემა დიდი სოციოლოგიური, პედაგოგიური, გნებავთ, ფილოსოფიური კვლევის ობიექტია და ავგორს სულაც არა აქვს პრეტენზია ამ საკითხებს შეეჭიდოს, მაგრამ ფაქტია, რომ ოჯახი – სკოლა – საზოგადოება ის გზაა, სადაც ადამიანი ფორმირდება, შემდეგ კი უერთდება და ავსებს იმ საზოგადოებას, რომელმაც შექმნა ის და რომელიც უნდა შექმნას მან თავისი სახით, ქცევით, მოღვაწეობით, ამროვნებით. ყველაფერი ეს მიდის იქეთკენ, რომ ადამიანი გახდეს მოქალაქე, მიმოიხელოს ირგვლივ ისე, რომ თავი იგრძნოს არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის, არამედ საკუთარი საზოგადოების და საკუთარი სახელმწიფოს წევრად, ადამიანი თავად ქმნის და აყენებს (უნდა აყენებდეს) მოთხოვნებს, პრეტენზიებს, ვალდებულებებს სახელმწიფოს მიმართ. სახელმწიფო გამოწვლილვით შეისწავლის ყოველივე ამას და ქმნის და აშენებს ისეთ სახელმწიფოებრივ შენობას, სადაც თავის მოქალაქეს შეეძლება ცხოვრება პლანეტაზე უკვე არსებული, განვითარებული ცივილიზაციის მსგავსად და შესაბამისად. აი, ამ ხედვით ჩამოყალიბებულ ამრში სათქმელი ის არის, რომ ადამიანი ადამიანებთან ერთად, ჯგუფად და შემდეგ კი საზოგადოებად ქცეული თავად, თავისი ნებით, თავისი შინაგანი კულტურით და ამროვნების საწიერით სხვებთან ერთობლიობაში ქმნის იმ ცხოვრებას, იმ საზოგადოებას, იმ სახელმწიფოს, რომელიც მის გონებრივ, გნურ მონაცემებს და შესაძლებლობებს შეეფერება.

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაშია, დაწესებულია თუ მისი დამწესებელი, წარმოება თუ მწარმოებელი, მრეწველობა თუ მრეწველი, მეცნიერება თუ მეცნიერი, პოლიტიკა თუ პოლიტიკოსი და ა.შ. – ყველაფერი ყველაფრის შემქმნელი ჩვენა ვართ, ჩვენ – სამოგადოება და მისი წევრები, თითოეული ჩვენთაგანი, ჩვენ ჩვენი ხასიათით, ჩვენი შრომის უნარით, ჩვენი ჭკუით, ცოდნით, შევქმენით ის, რაც შევქმენით – ჩვენი საცხოვრისი, ჩვენი ყანა, ჩვენი მეურნეობა, ჩვენი ბაღი, ჩვენი სკოლა, ჩვენი ბიბლიოთეკა, ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო, სამედიცინო, სამართალდამცავი და სხვადასხვა დაწესებულებები.


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ დავუბრუნდებით ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარის საკითხს, ორივე ჩვენია. ჩვენი შექმნილია ბიბლიოთეკა და ჩვენი სამოგადოების წევრია ბიბლიოთეკარი. თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიბლიოთეკარს წიგნის, ადამიანის სიყვარული და პატივისცემა უნდა მოეთხოვებოდეს, თუ ჩვენ, ყველანი თუ არა, უმრავლესობა მაინც ვგრძნობთ, რომ დღევანდელი ბიბლიოთეკარი უკეთესი უნდა იყოს, ბიბლიოთეკარის მოწოდება, შეგნება, ხალხის ანუ მომხმარებლის სურვილს და გემოვნებას უნდა ემთხვეოდეს, მაშინ, შევძლებთ მის ვალწლით უკეთესს, მაგრამ, თუ ბიბლიოთეკა სამოგადოებისათვის თავს მოხვეული დაწესებულებაა, მაშინ უკეთესობაზე ლაპარაკი ბედმეგია.

ქართველი სამოგადოების მიმართებით ვერც ერთს იტყვი და ვერც მეორეს. ვერ იტყვი, რომ ბიბლიოთეკა მომხიბვლელი, აუცილებელი და სანაგრელი დაწესებულებაა ხალხისთვის ისე, როგორც მაგალითად თეატრი და... რესტორანი! მაგრამ, ვერც რადი კალურს იტყვი რამეს. გამოკითხვებიდან და გამოცდილებიდან ერთი კი ფაქტია, რომ ბიბლიოთეკაში მომსახურე პერსონალის უმეტესობა ცივი და გულგრილია. ცივი და გულგრილია თავად ბიბლიოთეკისადმი იმ უწყებებისა და ხელმძღვანელი ორგანოების დამოკიდებულება, რომელთა ხელშეწყობით და რუღუნებით ბიბლიოთეკები უნდა არსებობდნენ.

რატომ არიან ბიბლიოთეკარები გულგრილნი და რაში გამოიხატება მათი გულგრილობა. ჩვენ თემა ამით დავიწყეთ. როგორ „გაუმასპინძლდა“ კითხვას მოწადინებულ პატარას უტაქტო ბიბლიოთეკარი. მაგრამ, ეს არ იყო მხოლოდ

უტაქტობა, ეს უფრო მკითხველის ფსიქოლოგიის უცოდინრობა და საერთოდ, ბიბლიოთეკარის არაკვალიფიციურობა იყო. პროფესიონალმა ბიბლიოთეკარმა იცის თავისი მოვალეობა – მოემსახურო მკითხველს ისე, როგორც მკითხველს ესამოვნება და რაც შეიძლება მეტი მკითხველი მიიზიდო ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკარს უნდა შეეძლოს მკითხველთან წარმატებული მუშაობა. ეს წარმატება, მომხმარებლის დაკვალიანებაა, სასურველი წიგნის და საჭირო ინფორმაციის სწრაფად მოძიებაა. ყოფილა შემთხვევა, რომ მომხმარებელს ბიბლიოთეკარები წიგნების უინტელექტო მცველებად უფრო მოგვლენიან, ვიდრე განსწავლულ ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფებად შესაბამისად, ბიბლიოთეკაც მოგჯერ ცივ აკლდამას უფრო ჰგავს, ვიდრე ინფორმაციით დაგვირთულ დაწესებულებას (შიგ სანთლით უნდა იარო, რომ სადმე წიგნს ან საინფორმაციო დაფებს და გამოფენებს მიაგნო).

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ბიბლიოთეკარის მუშაობას ამჟამინდელ საქართველოში მრავალმხრივი სახე აქვს: შეიძლება ყველაზე დაბალკვალიფიციური და პასიური მუშაკიც კი გაამართლო, ან პირიქით, ყველაზე მაღალკვალიფიციური გააკრიტიკო, სოციალური გარემოა უცნაური და იმიტომ. მართლაც და რა უნდა მოითხოვო გეჭნიკურად გაუმართავ ბნელ და ცივ საცავებში თუ დარბაზებში მომსახურე ბიბლიოთეკარისაგან, რომელსაც მხოლოდ გზის ფულის ამანამლაურებელ ხელფასსაც კი დროულად არ უხდიან და რაც მთავარია, მისგან წლების მანძილზე არავის მოუთხოვია კვალიფიკაციის ასამაღლებელი არანაირი კურსების გავლა, იგი როგორც ზემდგომი ორგანოებისაგან, ასევე სამოგადოებისაგან მივიწყებულია. მეორე მხრივ, ასეთ პირობებში მყოფ ბიბლიოთეკარზე, თუ ის საერთოდ დადის სამსახურში, შეიძლება სახოტო ოდებიც შეთხზა და გმირობაც მიაწერო. მაგრამ ასეთმა რადიკალურმა სიგუაციებმა ბიბლიოთეკის მესვეურები არ უნდა დააბნიოს, სიფხიბლე და იმ ეპოქის აქტიური შეგრძნებაა საჭირო, რომელშიც თანამედროვე ადამიანებს ერგოთ ცხოვრება: დაინგრა ძველი სოც. პოლიტიკური წყობა და შენდება ახალი. და ამ ახლის ამენებაში თითოეული პროფესიის ადამიანმა მხოლოდ თავისი ადგილის შენარჩუნებაზე კი არ უნდა იფიქროს, არამედ მის ხელახლა მოპოვებაზე იბრძოდეს, ახალ სიგუაციებს ალლო აულოს



სრულიად ახლებური ცოდნით და სრულიად სხვაგვარი მუშაობით. თუ ეპოქალურ ცვლილებებს ვერ გავითვალისწინებთ და ფაქტებს რეალურად არ შევხედავთ, ჩვენ ვერასოდეს ვერ ჩავდგებით იმ მზის წრეში, რომლის გარშემოც დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიო გრიალებს.

ბიბლიოთეკარები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი მოვალეობა წიგნის მიღება და გაცემას, რომელთაც არ ესმით და არც უნდათ გაიგონ ღროის ვითარება, ჰგონიათ, რომ არაფერი არ მომხდარა, არაფერი არ შეცვლილა, უკვირთ რატომ არ შეიძლება დღესაც იმუშაონ და იცხოვრონ გუშინდელი წესით, ცდებიან, და არა მარტო ცდებიან, არამედ დიდ დაბრკოლებებსაც უქმნიან საბიბლიოთეკო საქმეს. ბიბლიოთეკარი სიახლეების შესახვედრად უნდა იყოს განწყობილი და სწავლისათვის შემართული. ამას მოითხოვს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესი, მსოფლიო ინტეგრაციის პროცესი. ამ პროცესების ხელშეწყობი უპირველესი დაწესებულება ბიბლიოთეკაა.

ჩვენ ვიცი, რომ ბიბლიოთეკა ფაქტიში, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც გამუდმებით მოვლას, ხელშეწყობას საჭიროება. მისი სიცოცხლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული წიგნადი ფონდის შევსება-განახლებაზე, ტექნიკურ აღჭურვილობაზე, ინფორმაციულობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. ამ ელემენტებსა და პროცესებზე მაღლა დგას ადამიანი-ბიბლიოთეკარი.

ბემოთ აღნიშნულ წერილში ჩვენ შევეხეთ ბიბლიოთეკარის ეთიკას და ამავე ღროს, საზოგადოებას, მის განვითარებას და კულტურას ლოგიკურად დავეუკავშირეთ ის ხარვეზები, რომლებიც არსებობენ დღევანდელ ჩვენს ბიბლიოთეკებში და რომლებსაც საზოგადოებისაგან და იმ ბემდგომი ორგანოებისგან მოუწყვეტილ, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ბიბლიოთეკებს, ვერ განვიხილავთ. არ შეიძლება განვითარებელ საზოგადოებას ჰქონდეს უაღრესად განვითარებული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და პირიქით – მაღალი

ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკების და კვალიფიციური ბიბლიოთეკარების საჭიროება საზოგადოებიდან უნდა წამოვიდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიბლიოთეკების სპეციალისტები, რომლებმაც იციან თუ რა დიდი როლი ეკისრებათ ბიბლიოთეკებს საზოგადოების განვითარებაში, დაელოდონ საზოგადოების გააქტიურებას და მათ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკები თავად უნდა ჩაებან საზოგადოების განვითარების პროცესში და ყველას ყურადღება უნდა მიიპყრონ, როგორც ხალხისთვის აუცილებლად საჭირო დაწესებულებამ.

იმისათვის, რომ საზოგადოება დავარწმუნოთ ჩვენი არსებობის და მოღვაწეობის აუცილებლობაში, თავად ჩვენ უნდა გვესმოდეს რა არის ბიბლიოთეკა და მისი დანიშნულება და როგორ უნდა გამოიყურებოდეს იგი ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

ამ თემაზე საუბარს განვაგრძობთ შემდეგ ნომერში.

22.10.03

**რედაქციისათვის:**

*ქნი გულნარას გურუა თავის წერილში ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების დღევანდელ ყოფითს პრობლემებს შეეხო, თავისი აზრი და შეხედულება პირდაპირი და თანაც დიდი გულისგკვივლით გამოთქვა.*

*ჩვენი ბიბლიოთეკების დიდი ნაწილის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემითაა გამოწვეული. ჩვენ გამოსავალი უნდა ვეძებოთ, ვეძებოთ ერთად – საზოგადოებამ, ოფიციალურმა ორგანოებმა, არასამთავრობო ორგანოებმა; რედაქცია იმედოვნებს, რომ წერილში აღბრულ საკითხს – ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, გამოიხმაურებიან ბიბლიოთეკარები, კულტურისა და განათლების დარგის მუშაკები, წიგნითა და ბიბლიოთეკით დაინტერესებული პირები.*



სოფიკო გულიაშვილი

## გამგებლის ასეთი უნდა

**ზ**აგარა შესავლის გარეშე მიჭირს ვისაუბრო კაცზე, რომელიც ამ წერილში ჩვენი საუბრის თემა იქნება.

ვისაც კომუნისტების პერიოდში მო-



მცხეთის რ-ნის სოფ. ქსოვრისის გამგებელი ხეთისო სააკაშვილი

უწია კულტურის სისტემაში მუშაობა, კერძოდ, სოფლის ბიბლიოთეკაში, ყველა, დიდი ტიპივით გაიხსენებს ალბათ, ბიბლიოთეკის სამეურნეო მხარის მოგვარების სირთულეებს. სირთულეებს იმ პერიოდშიც კი, როცა კანონი

კანონობდა და ხელმძღვანელის მოვალეობის შეუსრულებლობა უმეტეს შემთხვევაში სამსახურის დაგოვების დიდ საშიშროებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, მაშინდელი საბჭოს თავმჯდომარეებისთვის კულტურისა და განათლების გასაჭირი – მათთვის ღობის ჩხირი იყო.

დღეს კი, როცა ხალხის ნება ჯერ კიდევ ძალას ვერ იკრებს და არის ძალთა ჭიდილი. მცხეთის რ. სოფ. ქსოვრისის გამგებელი ხეთისო სააკაშვილი ამოღებული ხმლით იბრძვის სოფლის აღორძინებისათვის და ფინანსების მოძიებისათვის.

მას ვერასდროს ვერ ნახავთ კაბინეტში. რომ იკითხოთ, სად არის გამგებელიო, გეგყვიან:

– ხეთისოს გაზი შემოყავს სოფელში, აქ ვერ ნახავთ, ვინ იცის რომელ უბანშია.

– ხეთისოს ეძებთ? მაგას ეხლა აქ იპოვით? მამთრისთვის საწვავის მომარაგებაზე დარბის.

– გამგებელს დღეს ვერ ნახავთ, ვარდისუბნის დაწყებით სკოლაში და ბიბლიოთეკაში სახუ-

რავს აცვლევინებს და იქ არის წასული.

ხეთისო სააკაშვილის კულტურის სფეროში გაწეული ღვაწლის შესახებ სჯობს თვით თანამშრომლებს მოუსმინოთ.

ნონა ბუთხუბი – ქსოვრისის საკრებულოში შემავალი, ვაზიანის დასახლების ბილიოთეკარი.

– არ ვიცი, საიდან დავიწყო, ან მაღლიერება როგორ გამოვხატო ამ პიროვნების მიმართ. ჩემი მუშაობის პრაქტიკაში არასოდეს არ მახსოვს ერთი განცხადება საკმარისი ყოფილიყოს და ჩვენი გასაჭირი გულთან მიეგანოს გამგებელს. ხეთისომ კი ლამის განაახლა ჩემი ბიბლიოთეკა. შეაკეთა ფანჯრის ჩარჩოები. ჩაასმევინა შუშები. შემადენინა ახალი ფარდები, შემიცვალეს მორყეული საკეტი. წარმოიდგინეთ საწვავით მამთრისთვის არც ერთი პერიოდი არ ვიყავი მომარაგებული ისე, როგორც ხეთისოს გამგებლობის პერიოდში.

ქსოვრისის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი სოფიკო გულიაშვილი:

– ხეთისო სააკაშვილზე სათქმელი სხვებზე ნაკლები როდი მაქვს. როცა დამწვარი ჩემი ბიბლიოთეკის განახლების საკითხი დაისვა. სისტემატიურად თან დამდევდა საკუთარი გრანსპორტით. ჩვენთან ერთად არჩევდა ფონდის შესავსებ ლიგერაგურას, ჩვენთან ერთად ფუთავდა კიდევ და გვირთავდა მანქანაში. თვითონ დარბოდა ინვენტარის შესავსებად. გამგებლის ასეთი თანადგომით განცვიფრებული მცხეთის რაიონული ბიბლიოთეკის დირექტორი გენო გარსევანიშვილი, რამდენიმე სემინარი ქება-დიდებათ ამკობდა ხეთისო სააკაშვილს და ხუმრობით დასძენდა ხოლმე – ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი გამგებლებიო.

ქსოვრისის საკრებულოში შემავალი ვარდი-





სუბნის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ქარდავა იამბე:

მიმდინარე წლის დასაწყისში, გამგებელთან საკმაოდ ალელვებული მივედი და შეეჩიველე. ღონისძიება გვაქვს დაგალებული, თან შეგვამოწმებენ ალბათ. იქნებ რაიმე სიახლე შემაგანინო ბიბლიოთეკის ინტერიერში?

– რა გინდა, რა გჭირდებაო. ძალიან ბუნებრივად შემეკითხა.

გათამამებულმა, ვითომ თავშეკავებით, მაგრამ იმეღინადად ჩამოვთვალე ჩემი პრობლემები: ორი ფანჯარა საქარებეა, მინდა მისი გაუქმება და შეწეულ კედელში თაროების ჩატანება. ფანჯარებზე ფარდების გამოცვლა. კარის შეკეთება და საკეტის გამოცვლა. ჭერიდან მტვერი იყრება, იქნებ ღიქტი ამიკრათ. თქვენ


ხომ ეს საქმე, ვარდისუბნის დაწყებით სკოლას გაუკეთეთ?

– განცხადების სახით ჩამოაყალიბე შენი მოთხოვნები. ვნახოთ იქნებ რაიმე გზები გამოვნახოთო...

წელს, ბაფხულისთვის ყველა დანაპირები შესრულებული იყო. მარგო ერთი ფაქტი – ჭერზე ღიქტის აკერა ჩემი ოცწლიანი ოცნება იყო.

ეს გახლავთ ის მოკლე ნუსხა, ბაგონ ხვთისო სააკაშვილისა, მის მიერ მოკლე პერიოდში კულტურის სფეროში გაწეული ღვაწლიდან.

სოფლის გამგებელს მაღლიერებით მოიხსენებდნენ იამბე ქარდავა, ნონა ბუთხუბი, მარინე კობაიძე, მარინე ღვალიძე და სხვები.





ღალი ჯანიაშვილი

## ნაფიქვან ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის არ დაავიწყდება

**ს**აგარეჯოს №1 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალი 1954 წელს დაარსდა. თავდაპირველად იგი გალმა უბნის ბიბლიოთეკად იწოდებოდა. ბიბლიოთეკის გახსნაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მამინდელმა კულტურის განყოფილების გამგემ ირაკლი ძაბილაშვილმა და ინსპექტორმა ვანო გოპეშაშვილმა. ბიბლიოთეკის პირველი გამგე იყო ნადია ივანიანი. ბიბლიოთეკის გახსნისათვის მცდელობა არ დაუკლია საგარეჯოს მამინდელ საბჭოს თავმჯდომარეს ვანო ჩაფიძეს. პირველი წიგნები საქალაქო ბიბლიოთეკაში პირადი ბიბლიოთეკებიდან და საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდებიდან დაიდო. ბიბლიოთეკა თანდათანობით იზრდებოდა, ფართოვდებოდა, მკითხველთა რაოდენობა მაგულობდა. ქალბატონი ნადია ხომ



მოწოდებით ბიბლიოთეკარი იყო. საბიბლიოთეკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ერთუბიანებით მოეკიდა ბიბლიოთეკის გახსნისა და მისთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნის საქმეს. საზოგადოების თანადგომამ ნაყოფი გამოიღო. ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკას დაემსგავსა. მისი წიგნობრივი ფონდი 800 ეგზემპლარიდან 20 ათასამდე გაიზარდა. საქალაქო ბიბლიოთეკის პირველმა გამგემ 34 წელი შეაღია ამ საქმეს; მან მკითხველთა და მთლიანად საგარეჯოელთა დიდი სიყვარული დაიმსა-

ხურა. უანგარო პიროვნებამ კარგად იცოდა წიგნის ყადრი და მკითხველთა სურვილები, მათი პროფესიული და ინფორმაციული მოთხოვნილებები.

საქალაქო ბიბლიოთეკის მეორე ბიბლიოთეკარი იყო ცისმარი მამისაშვილი (ცენგრაღური ბიბლიოთეკის ამჟამინდელი დირექტორი).

დაარსების დღიდან ბიბლიოთეკამ ბევრჯერ გამოიცვალა ბინა. ხან დაწყებითი სკოლის შენობაში იყო განთავსებული, ხან საგარეჯოს სა-

მშენებლო-სარემონტო კანგორაში. ამჟამად ბიბლიოთეკა იმყოფება გალმა უბნის საბავშვო ბაღის შენობაში. ბიბლიოთეკის ფართობი აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებებს. საშუალება გვაქვს მოვაწყოთ გამოფენები, ჩავატაროთ ღონისძიებები.

ბიბლიოთეკის საერთო ფონდში მკითხველთა ოპე-

რაგიული მომსახურების მიზნით ცალკე გვაქვს გამოყოფილი წიგნები ქანრების მიხედვით: „სათავგადასავლო ლიტერატურა“, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, „საყმაწვილო ლიტერატურა“, „ცნობარები“ და ა.შ. ხოლო მთლიანად საბავშვო ფონდი ცალკეა სისგემატიზირებული ასაკობრივი პრინციპით; ვმუშაობთ გრადიციული ფორმებით; წიგნის პოპულარიზაციის საქმეში გვეხმარებიან აქტიური მკითხველები. მასობრივი ღონისძიებების გრადიციულ ფორმებში: მკითხველთა კონფერენცია, მიმოხილვები,



ლიტერატურული დილა და სხვ. ახალი შინაარსი ჩავედეთ; ღონისძიებები კომპლექსური ხასიათისაა; მათს სცენარს მკითხველები წერენ; ამ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სკოლის ბიბლიოთეკარები, მშობლები, პედაგოგები: დაზიანებული წიგნების აღსადგენად ბიბლიოთეკაში შემოვიღე „წიგნის მკურნალობის დღეები“, სადაც მკითხველთა აქტიური მხარდაჭერით სიცოცხლეს ვუხანგრძლივებთ წიგნებს.

ბიბლიოთეკაში მოწყობილი მუდმივი გამოფენები ეძღვნება ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს გამოფენები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მკითხველებში, ეგ არის, რომ ისინი არ იყვანა ახლადგამოცემული მასალებით; დიდი მოთხოვნილებაა პერიოდულ გამოცემებზე, რომლებიც ნაკლებად მოეპოვება ბიბლიოთეკას.

პრობლემები, რომლებიც ჩემს ბიბლიოთეკას გააჩნია, ვფიქრობ საერთო საკვივარია საქართველოს თითქმის ყველა ბიბლიოთეკისათვის:

ამის შესახებ ინფორმაციას ვღებულობთ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ფურცლებიდან. ჟურნალმა ახალი სიცოცხლე შემოიგანა ჩვენი ბიბლიოთეკის ცხოვრებაში. თუ კი რაიმე სიახლე ინერგება ბიბლიოთეკებში, თუ კი რაიმე პროგრესულია სამღვარგარეთის ქვეყნების საბიბლიოთეკო სფეროში; სწორედ ჟურნალის მეშვეობით ვიმალღებთ ჩვენს პროფესიულ კვალიფიკაციას, რისთვისაც მაღლიერების სიგყვები მინდა ვუთხრა მის დამფუძნებლებს – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციას და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას დიდი გასაჭირი აქვს, მკითხველები მაინც გყვავს; წიგნი ყველას სჭირდება. დიდს, პაგარას, პენსიონერს, ინვალიდს, ბიზნესმენს, იურისტს, ეკონომისტს და ა.შ. ნამდვილ მკითხველს მართლაც არ დაავიწყდება ბიბლიოთეკის გზა.



საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნანა ქავთარაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრის მთ. სპეციალისტი

## კონფლიქტები ბიბლიოთეკაში: მისი თავიდან ასწილებისა და გადაწყვეტის გზები

**ს**



აქართველოში მიმდინარე სამოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა მთლიანად შეცვალა საბიბლიოთეკო საქმის მართვის მექანიზმები. ყველაზე დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აღარ არსებობს მკაცრად რეგლამენტირებული მართვის ვერტიკალური სისტემა. ბიბლიოთეკების მართვას ადგილებზე უმრუნველყოფენ ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით. შესამუშავებელია უამრავი საკანონმდებლო დოკუმენტი, რომლებიც ბიბლიოთეკების მართვას მოაწესრიგებენ თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფცია სამ ძირითად მეთოდს ეყრდნობა, რომელთა რეალიზაცია საბოლოოდ მიზნის ეგაპობრივად მიღწევას ნიშნავს. ეს მეთოდებია: 1.ადმინისტრაციული მეთოდი; 2.ეკონომიკური მეთოდი; 3.სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი. ამ სამი მეთოდიდან მე-2 ნაკლებად გამოიყენება. სამაგიეროდ პირველი-ადმინისტრაციული და მესამე- სოციალ-ფსიქოლოგიური ერთმანეთს უნდა ავსებდეს და საბოლოო მიზნის განხორციელებას ხელს უწყობდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის დირექციის ნებისმიერი განკარგულებითი აქტი თუ დოკუმენტი უნდა ემყარებოდეს თანამშრომელთა შეგნებასა და ქცევას, მოვალეობისადმი შეგნებულ დამოკიდე-

ბულებას. მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდში იგულისხმება კოლექტივში ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორის გავლენა და წარმართვა. ადამიანთა ფსიქოლოგიური დატვირთვა, ცალკეულ ადამიანთა ხასიათისა და მიღრეკილებების გათვალისწინება, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება – ყველაფერი ეს ბევრად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელზე.

ბიბლიოთეკა რთული მექანიზმია. მისი ხელმძღვანელის შრომა ხშირად აღსავსეა მოულოდნელობებით და გაუთვალისწინებელი გარემოებებით, რასაც ხშირად მიეყავართ კონფლიქტურ სიტუაციამდე. შეიძლება თუ არა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები, როგორც ბიბლიოთეკის კოლექტივში, ისე მომხმარებლებთან? რა არის კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზები ბიბლიოთეკაში? როგორ აღვკვეთოთ ის? და შეიძლება თუ არა კონფლიქტი ბიბლიოთეკაში იყოს სასარგებლო და სავალდებულო თუ არა ყოველი კონფლიქტი შეფასდეს ნეგატიურად?

ასეთი კითხვები შეიძლება დადგეს ყველა ხელმძღვანელის წინაშე, როდესაც ის აწყდება კონფლიქტურ სიტუაციას. შეუძლებელია ჩამოითვალოს კონფლიქტის ყველა ვარიანტი, როგორც ბიბლიოთეკის კოლექტივში, ასევე მკითხველის მომსახურების დროს. ძირითადი მიზეზი ბიბლიოთეკის შიგნით წარმოქმნილი კონფლიქტისა არის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, რიგითი თანამშრომლებისა და მკითხველების ინტერესებს შორის არსებული უთანხმოება.

კონფლიქტი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ნეგატიური მოვლენა. შეიძლება ითქვას, რომ ის აუცილებელიც არის ბიბლიოთეკისათვის, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის.



კოლექტივი არ არსებობს შინაგანი დაძაბულობის, სხვადასხვა პოზიციების შეჯახების, წინააღმდეგობების გარეშე. კონფლიქტი არის წინააღმდეგობების, ნაკლოვანებების გამოვლენისა და გადაჭრის საშუალება.

კონფლიქტი მრავალნაირია თავის წარმოქმნის მიზეზებისა და ფაქტორების მიხედვით. ის შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური. ვერტიკალური კონფლიქტი მიმდინარეობს ხელმძღვანელსა და ხელქვეითებს შორის. ჰორიზონტალურია კონფლიქტი, როდესაც მასში მონაწილეობენ მხოლოდ ბიბლიოთეკის თანამშრომლები. კონფლიქტი შეიძლება იყოს საქმიანი ან პირადი (ემოციური), წარმოქმნილი პირად ურთიერთობებში. კონფლიქტები წარმოქმნის მიზეზების ფაქტორების მიხედვით კლასიფიცირდება: მმართველობითი, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, სტრუქტურული, ინფორმაციული, კოლექტივში ურთიერთობების ფაქტორი და სხვ. გადამწყვეტი როლი კონფლიქტური სიტუაციის აღკვეთაში, მიუხედავად იმისა, საქმიანია ის თუ პირადული, ობიექტურია თუ შემთხვევითი, ეკუთვნის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს. მას უნდა შეეძლოს კონფლიქტების მართვა. ხელმძღვანელის მოვალეობაა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი კონფლიქტი და დროულად გადაწყვიტოს ის ბიბლიოთეკის ინტერესების სასარგებლოდ.

კონფლიქტების მართვას გააჩნია მთელი რიგი თანმიმდევრული ეტაპები. პირველი მათ შორის არის მოსალოდნელი კონფლიქტის პროგნოზირება. ამ ეტაპის მიზანია ხელმძღვანელმა რაიმე მმართველობითი, ორგანიზაციული ან ტექნიკური გადაწყვეტილების მიღებისას გაანალიზოს კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა. მის წინაშე დგება პრობლემა იმ თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებისა, რომელთაც ეს გადაწყვეტილება შეეხება. მეორე ეტაპზე აუცილებელია გამოვლენილი იქნას მიზეზები, ჩაგარდეს მისი ანალიზი და გამოიძებნოს გზები კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ხელმძღვანელი უნდა ეცადოს სიტუაცია არ დაიძაბოს და არ გადაიზარდოს ჯგუფურ კონფლიქტში. მან უნდა მიმართოს არა ადმინისტრაციულ, არამედ უფრო სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდს,

დაეხმაროს კონფლიქტის მონაწილეებს გამოჩახონ საერთო, რაც ორივე მხარეს აწყობს. შემდეგ ეტაპზე ხელმძღვანელის მოვალეობაა კონფლიქტის რეგულირება. მასში იგულისხმება ხელმძღვანელის მოქმედება კონფლიქტის ჩახშობისათვის. რისი მიღწევაც შესაძლებელია ცრუ ინფორმაციის გამოვლენით, ოპონენტებზე დახმარების გაწევით, რათა მათ მიიღონ საერთო პოზიცია და გამოვიდნენ კონფლიქტიური სიტუაციიდან.

კონფლიქტის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ შუამავლებსაც, რომელნიც მოლაპარაკებებით აწარმოებენ მათ შერიგებას. ხშირად ასეთი შუამავლები ბიბლიოთეკებში არიან ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (პროფკავშირები), არაფორმალური ლიდერები.

ლიტერატურაში კონფლიქტოლოგიის შესახებ განხილულია ხელმძღვანელების სხვადასხვა სტრატეგიული ქცევა კონფლიქტურ სიტუაციებში, რომელთაგან უფრო ხშირად გვხვდება: გაქცევა (კონფლიქტური სიტუაციის სრული იგნორირება), შეგუება (ხელმძღვანელი მიდის დათმობაზე), კომპრომისი (ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილების მიღება), მეგობრობა (კონფლიქტის გადაწყვეტა ერთი მხარის სასარგებლოდ, რომლის დროსაც საკითხი მაინც რჩება გადაუწყვეტილი, თანამშრომლობა – ეს არის გადაწყვეტილების ისეთი ძებნა, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს. კონფლიქტის გადაჭრის მხოლოდ ეს სტრატეგიაა ხელმძღვანელისათვის მისაღები.

ბიბლიოთეკის კოლექტივი, როგორც მართვის ობიექტი ფლობს სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ საქმიანი და ემოციური დაპირისპირებები. ეს განსაკუთრებით ეხება საჯარო ბიბლიოთეკებს, ცენტრალურ საბიბლიოთეკო სისტემებს, რომელნიც თავისებური ფუნქციონირებით ხასიათდებიან. ერთი მხრივ ის მთლიანია, მეორეს მხრივ კი დაყოფილი ტერიტორიულად, რაც რა თქმა უნდა შლის მის მთლიანობას. ხშირად ეს არის მიზეზი წინააღმდეგობებისა, რადგან ცბს-ი იშლება ფილიალებად თავის ერთმანეთის საწი-



ნააღმდეგო ინტერესებითა და უპირატესობებით.

ბიბლიოთეკის კოლექტივების ერთ-ერთი თავისებურებაა ფემინიზმის მაღალი ხარისხი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკების მუშაკთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ. ისინი მამაკაცებთან შედარებით უფრო ემოციურნი, ადვილად გასაღიზიანებელნი არიან. ამასთან ერთად ოჯახზე ფიქრი სამსახურშიც არ ასვენებთ. ხშირად უხდებათ სამსახურის გაცდენა სხვადასხვა ოჯახური მდგომარეობის გამო, რაც იწვევს ნეგატიურ რეაქციას სხვა თანამშრომლებისაგან, რომელთაც უწევთ მათი სამუშაოს შესრულება.

შემდეგი მნიშვნელოვანი თავისებურება ბიბლიოთეკის კოლექტივისა არის მისი პროფესიული ხასიათი. ბიბლიოთეკებში მუშაობენ ისეთებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო პროფესიული განათლება. ზოგიერთი მათგანი არ ცდილობს შეისწავლოს საქმე. ასეთი მუშაკები კი იწვევენ გაღიზიანებას სხვა თანამშრომლებისაგან და წარმოიქმნება კონფლიქტები. თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც შეიყვარეს საბიბლიოთეკო საქმე და მთელი ცხოვრება მას მიუძღვნეს.

მართვის სოციალ-ფსიქოლოგიური ასპექტის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს „დაბინძურებასთან“ ბრძოლას. ასეთი „დაბინძურების“ მიზეზია ინფორმაციის ნაკლებობა, ხმების, ჭორების გავრცელება, რაც ნაწილობრივ წარმოადგენს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის მიზეზს. კონფლიქტური სიტუაციის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ბიბლიოთეკარის შრომის მრავალფუნქციონირება, მრავალ ადამიანთან ურთიერთობა, რაც იწვევს მის ემოციურ დაძაბულობას, გაღიზიანებას, კონფლიქტებს კოლეგებთან და მკითხველებთან.

ბიბლიოთეკის კოლექტივში ძირითადად ანსხვავებენ სამი სახის კონფლიქტს:

1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის;
2. პიროვნებათა შორის და ჯგუფებს შორის;
3. ბიბლიოთეკის მკითხველებთან ურთიერთობისას წარმოქმნილი კონფლიქტები.

კონფლიქტი ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის უფრო ხშირად წარმოიშევა მმართველობითი რაიზე გადაწყვეტილების მიღების გამო. თუ ხელმძღვანელი იღებს არასწორ გადაწყვეტილებას, მას არ ეთანხმებიან თანამშრომლები. ის ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას. კონფლიქტი მაშინაც შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ხელმძღვანელი იღებს სწორ გადაწყვეტილებას, მაგრამ არ უხსნის თანამშრომლებს მისი სისწორის ამრს. ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მიზეზი ხშირად თვით ხელმძღვანელია, თავისი მმართველობითი საქმიანობით (შეცდომებითა და ნაკლოვანებებით). ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მმართველობითი დოკუმენტაციის არასწორი ან არახარისხიანი წარმოებით. მაგალითად, თუ თანამდებობრივ ინსტრუქციაში არ არის მითითებული სამუშაო, რომლის შესრულებაც მას დაავალეს, ის უარს აცხადებს ამ სამუშაოზე, რაც იწვევს კონფლიქტს ხელმძღვანელთან. ამიგომ თანამდებობრივი ინსტრუქციის შედგენისას აუცილებელია მუშაკი ინფორმირებული იყოს მის მიერ დაკისრებულ მოვალეობებზე.

მეორე გვიპური მიზეზი კონფლიქტისა და კავშირებულია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოქმედებასთან. აქ კიდევ ორნაირი შემთხვევა განიხილება. ერთია, როდესაც ხელმძღვანელი თვითონ იღებს ყველა გადაწყვეტილებას და ართმევს უფლებას სტრუქტურული ქვეგანყოფილების ხელმძღვანელს მონაწილეობა მიიღოს მასში, მეორეა, როდესაც პირიქით, დირექტორი ნაკლებად იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას. ორივე შემთხვევაში კონფლიქტური სიტუაცია გარდუვალია.

კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის მიზეზებს მიეკუთვნება აგრეთვე დირექტორის ისეთი ქმედება, როდესაც სამუშაოს განაწილება ხდება არაგეგმიურად ან გადასაწყვეტია საკადრო საკითხები (დაუმსახურებლად თანამშრომლის მოხსნა, გადაყვანა, დაწინაურება და ა.შ.). კონფლიქტური სიტუაციის მიზეზების მოგვარებაზე ბევრად არის დამოკიდებული მოქნილი მმართველობითი ქმედება, თუნდაც ძველად მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებამდე კი. ხშირად ხელმძღვანელი პირები თავის პრესტიჟის გა-

ფრთხილების მიზნით არ ცდილობენ გადაწყვეტილების შეცვლას, ძალას აგანენ ხელქვეითებს შეასრულონ დავალება და ცდილობენ კონფლიქტი მათ სასარგებლოდ გადაწყდეს. ამ შემთხვევაში ღირეულებები ვერ გრძნობენ, რომ ისინი არიან მთავარი დამნაშავენი და კონფლიქტი საქმიან საფუძველზე გადაიზრდება პირადი შეურაცხყოფის საბაბად. ამიტომ პირველი ნაბიჯი კონფლიქტის მოსაგვარებლად თვით ხელმძღვანელმა უნდა გადადგას. თუმცა ყოველთვის ხელმძღვანელები არ არიან დამნაშავენი. ბიბლიოთეკის მუშაკებს შორისაც არიან ისეთები, რომლებიც არა კეთილსინდისიერად ეკიდებიან თავის მოვალეობას, არღვევენ შრომით დისციპლინას.

კონფლიქტის მოგვარებისათვის ხელმძღვანელი ეძებს ეფექტურ გზებს. იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ორივე მხარეს აწყობს. მან უნდა გაითვალისწინოს არა მარტო უმრავლესობის, არამედ უმცირესობის აზრიც. აუცილებლობის შემთხვევაში ჩართავს ავტორიტეტულ ექსპერტებს გარედან. ასეთ ექსპერტებად გამოდიან ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერები.

კონფლიქტური სიტუაციის თავიდან აცილება ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელის ქცევის ინდივიდუალურ სტილზე, მის საქმიან და პირად ღირსებებზე, ავტორიტეტზე, იმაზე თუ თანამშრომლები რამდენად აფასებენ მის ცოდნას და დამსახურებას.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის სახელმძღვანელოში დასახელებულია მართვის სამი ძირითადი სტილი: ავტორიტარული, დემოკრატიული და ლიბერალური. ავტორიტარული სტილი ხასიათდება მართვის მკაცრი მეთოდების მიღებით და გადაწყვეტილების ერთპიროვნულობით. სრულიად განსხვავებულია დემოკრატიული სტილი, როდესაც ხელმძღვანელი იქცევა მშვიდად, ყურადღებით უსმენს და პატივისცემით ეპყრობა ოპონენტს. მართვის ამ სტილის დროს კონფლიქტი წყდება ურთიერთ კეთილგანწყობილების ფონზე. მართვის ლიბერალური სტილისათვის დამახასიათებელია ხელმძღვანელის უმოქმედობა, არ ცდილობს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზის გამოსწორებას. მართვის ამ სტი-

ლთაგან ყველაზე მისაღებია დემოკრატიული სტილი.

ბიბლიოთეკებში იშვიათი არ არის „ჰორიზონტალური“ ტიპის კონფლიქტები, როდესაც ის წარმოიშობა თანამშრომლებსა და ჯგუფებს შორის და მას არავითარი კავშირი არა აქვს ხელმძღვანელობასთან. პიროვნებათაშორისი კონფლიქტი კოლექტივში უფრო ხშირად საწარმოო საკითხებსა და სამსახურებრივ ვალდებულებებზე წარმოიშობა. ასეთ კონფლიქტებს ეწოდება – კონსტრუქციული. ბიბლიოთეკებში, იმ თანამშრომლებს შორის, რომლებიც მჭიდრო კავშირში იმყოფებიან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას არა მარტო სამსახურებრივ, არამედ შინაგანი, ფსიქოლოგიური მიზეზებითაც. ასეთ კონფლიქტებს ეწოდება – ემოციური. მისი მიზეზი შეიძლება იყოს ანტიპათია, უნდობლობა, ერთმანეთის არაობიექტური შეფასება და ა.შ. ასეთი კონფლიქტი ხშირად არის გაუგებრობის მიზეზი და თუ ის დროზე არ იქნა მოგვარებული, გადაიზრდება პიროვნულში ან პირიქით პიროვნული კონფლიქტი გადაიზრდება საქმიანში.

ტიპური მიზეზი პიროვნებათაშორის და ჯგუფებს შორის კონფლიქტისა და კავშირებულია ნოვატორობასა და კონსერვატიზმთან. ეს გამოიხატება იმაში, რომ რიგით ბიბლიოთეკარს სურვილი აქვს მუშაობის გასაუმჯობესებლად შემოიღოს რაიმე სიახლე, რაზეც აწყდება წინააღმდეგობას სხვა თანამშრომლებისაგან. ამის მიზეზი კი სხვადასხვაა. ერთ-ერთია კონსერვატიზმი ანუ მას არ სურს იმუშაოს ახალი მეთოდებით. ან შეიძლება პირიქით მოხდეს: ბიბლიოთეკარი აყენებს მიუღებელ წინადადებას, რომელსაც კოლექტივი არ ეთანხმება. ამ შემთხვევაში კონფლიქტი მოგვარდება იმით, რომ დაარწმუნონ კოლექტივის მის არასწორ წინადადებაში.

როდესაც კონფლიქტური სიტუაცია ძალიან დაიძაბება, მაშინ აუცილებელია მასში ჩაერიოს ხელმძღვანელი, რომელზედაც ბევრად იქნება დამოკიდებული, დაეთანხმება თუ არა ის წამოყენებულ ნოვატორულ წინადადებას. ამისათვის კი მიზანშეწონილია ჩაატაროს მან ექსპერიმენტი, რომელიც დაადგენს რომელი მხარეა სწორი.

ერთ –ერთი დამახასიათებელი მიზეზი კონფლიქტური სიტუაციებისა ბიბლიოთეკაში არის წინააღმდეგობები საქმიან საფუძველზე ახალგაზრდა და „ძველ“ თანამშრომლებს შორის. ასეთი კონფლიქტი გადაწყდება პრობლემის ერთობლივი განხილვით, ხელმძღვანელისა და მეთოდისგის მონაწილეობით. გიპიურია აგრეთვე კონფლიქტი შრომითი დისციპლინის დარღვევის გამო. თავის მოვალეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, სამუშაოს არახარისხიანი შესრულება და ა.შ. იწვევს პასუხისმგებელი, კეთილსინდისიერი თანამშრომლების გაღიზიანებას და ნეგატიურ რეაქციას.

რთული გადასაწყვეტია ისეთი კონფლიქტები, რომლებიც არასამსახურებრივი ურთიერთობების საფუძველზე წარმოიქმნება ან თანამშრომელი თვითონ არის „კონფლიქტური ადამიანი“. მათთან ურთიერთობა რთულია. ისინი ყოველთვის ცდილობენ აჩვენონ თავის უპირატესობა და კონფლიქტის ყოველთვის თავის სასარგებლოდ გადაწყვიტონ. ასეთი ბიბლიოთეკარები თავისი ქცევით საბიბლიოთეკო ეთიკის ნორმებს არღვევენ. თავისი ჩვევებით, თვისებებით, ფსიქიკური მდგომარეობით თანამშრომლებში იწვევენ გაღიზიანებას, მის გარიყვას, კონფლიქტურ დაპირისპირებას. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა კონფლიქტური სიტუაციის შესწავლის დროს უნდა გაითვალისწინოს ბიბლიოთეკარის ფსიქოლოგიური თავისებურება, დაიცვას სიმშვიდე და ნეიტრალიტეტი, რაც მოხსნის კონფლიქტური პიროვნების აგრესიას.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს სწორად შეაფასოს კონფლიქტის პრობლემა, ორივე მხარეს ყურადღებით მოუსმინოს, მიიღოს ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება და არ გაამწვავოს მდგომარეობა.

ბიბლიოთეკის მკითხველსა და ბიბლიოთეკარს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს ობიექტური (ფონდის მდგომარეობა, ტექნიკური საშუალებები, მუშაობის პირობები და ა.შ.) და სუბიექტური, რომელიც ხშირად ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის გამო ხდება. მკითხველებთან კონფლიქტური სიტუაციის აცილება შეიძლება თუ გამოვლენილი იქნება მისი ძირითადი მიზეზები.

ასეთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე და აღმზრდელობითი მუშაობა იმ ბიბლიოთეკარებთან, რომლებიც მკითხველებს ემსახურებიან.

ხშირად კონფლიქტის მიზეზი არის მკითხველის ინტერესებისა და ბიბლიოთეკის შესაძლებლობების შეუთანხმებლობა. შეზღუდული დაფინანსება, მაგერიალურ-ტექნიკური რესურსების უქონლობა არ იძლევა იმის საშუალებას სრულად დაკმაყოფილდეს მკითხველთა მოთხოვნები, რასაც მიყვარათ კონფლიქტურ სიტუაციამდე. გიპიური მიზეზებიდან უნდა გამოიყოს მიზეზების ჯგუფი, რამაც გამოიწვია მკითხველის უკმაყოფილება. უარი ბიბლიოთეკაში ჩაწერაზე, ლიტერატურის შინ გაგანაზე, ასლის გადაღებაზე და ა.შ. შეიძლება სხვადასხვა მიზეზებმა გამოიწვიოს, რომელიც არის საფუძველიანი (არ არის ბიბ-ში, გაცემულია და სხვ.) ან არასაფუძველიანი (ბიბლიოთეკარის დანაშაულით). კონფლიქტური სიტუაციების სრულად აღკვეთა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ იმის გაკეთება შეიძლება, რომ სიტუაცია შერბილდეს და არ გადაიზარდოს კონფლიქტში. ასეთი სიტუაციებიდან კი მხოლოდ კომპრომისებით შეიძლება გამოსვლა. მკითხველმაც უნდა გამოიჩინოს მოთმინება და ბიბლიოთეკარმაც. ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის არსებობს და დავაც, შესაძლებლობის ფარგლებში, მის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. აქ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მკითხველი თავის მხრიდან უნდა დემორჩილოს ბიბლიოთეკის კანონებს.

ბიბლიოთეკების პრაქტიკაში ფასიანი მომსახურების შემოღებამ მომსახურების ხარისხის გასწავთრებული აქტუალობა შეიძინა. ერთ-ერთი მიზეზი კონფლიქტის წარმოქმნისა არის უხარისხოდ შესრულებული მოთხოვნა, რომელზედაც მკითხველი იხდის ფასს. ხშირად წიგნის გაცემაზე ფასის გადახდა იწვევს მკითხველის უკმაყოფილებას, რადგან ბიბლიოთეკა უფასო უნდა იყოს. რაც სრული სიმართლეა.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის თეორიაში აღნიშნულია, რომ ფასიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის მომსახურება, რომელიც ბიბლიოთეკარისაგან ბედმეგ შრომასა და დროს მოითხოვს.





სამწუხაროდ ეს მოთხოვნები არ სრულდება, რაც იწვევს კონფლიქტს. კონფლიქტი მაშინაც წარმოიქმნება, როდესაც შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ შეესაბამება მის ფასს.

ყველა სიტუაციაში კონფლიქტის გადასაჭრელად საუკეთესო გამოსავალია ორმხრივი შეთანხმება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონფლიქტი შეიძლება იყოს გაუგებრობის ან მკითხველის არაინფორმირების მიზეზი. ბიბლიოთეკარმა უნდა აირჩიოს ისეთი სტრატეგია, რომელიც მოხსნის დაძაბულობას და დაარეგულირებს ურთიერთობას. კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ბიბლიოთეკარის პროფესიული არაკომპეტენტობა, როდესაც მას არ შეუძლია მკითხველს კვალიფიციური პასუხი გასცეს მის მოთხოვნაზე და იქცევა ამბიციურად, უხეშად, ამცირებს მას. ასეთ შემთხვევაში წარმოიშევა დაძაბულობა და მკითხველს აღარ სურს ამ ბიბლიოთეკართან ურთიერთობა. მეორე მხრივ, კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს მკითხველის კონფლიქტური ხასიათი, საინფორმაციო კულტურის დაბალი დონე, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების უცოდინარობა, რის გამოც ის უსაფუძვლო პრეტენზიებს გამოთქვამს ბიბლიოთეკარის მიერ მიცემულ შენიშვნაზე, რაც ხშირად გამოწვეულია წიგნის დაგვიანებით, დაკარგვით, გაფუჭებით, ხმაურით სამკითხველო დარბაზში და იწყებს აგრესიულ მოქმედებას. ბიბლიოთეკარი ფრთხილად უნდა მოექცეს ასეთ მკითხველებს, არ უნდა ჩაერთოს მათთან კამათში, არამედ წყნარად გამოირკვიოს წამოყენებული

პრეტენზიის არსი და თუ ის მართალია, ჩქარა შეეცადოს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას.

ბიბლიოთეკარი მკითხველთა მომსახურების დროს ვალდებულია დაიცვას ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის ნორმები, სადაც აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკარს ევალება თავის ურთიერთობა მომხმარებელთან ააგოს პიროვნების პატივისცემის საფუძველზე. ბიბლიოთეკარის მნიშვნელოვანი თვისებაა თავშეკავება ნებისმიერ სიტუაციაში, თავის ქცევის კონტროლირება. ნერვიულობა, გაღიზიანება, მისი ცუდი ხასიათი ერთ-ერთი მიზეზია მკითხველებთან კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნისა.

**წერილისათვის გამოყენებული იყო:**  
**Ванеев А.Н. – Конфликты в библиотеке: предупреждение и разрешение. – СПб, Профессия, 2002.- 128 с. – (Серия "Библиотечный практикум")**

*ამ წიგნში განხილულია კონფლიქტური სიტუაციების გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები, მოყვანილია რეკომენდაციები. იგი განკუთვნილია ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთათვის და ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აგრეთვე მათთვის ვინც შეისწავლის საბიბლიოთეკო მენეჯმენტს და მარკეტინგს.*



ზუმრედ გოდერძიშვილი

მირმა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის  
მეთოდური განყოფილების გამგე

## მეთოდის ბიბლიოთეკის გადასახედიდან

**მ**ანამედროვე საბიბლიოთეკო პროცესების სრული ავტომატიზაციის პირობებში კომპიუტერულ კატალოგიზაციისა და ქართული ინგერნეგის შექმნის პერიოდში, ბუნებრივია, რომ საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაობა რამდენადმე მოითხოვს რეორგანიზაციას. თანამედროვე ტექნიკის დანერგვა და დამკვიდრება თვითოეული ბიბლიოთეკის აუცილებელ პირობას წარმოადგენს და რეფორმის სწრაფ რეალიზაციას ექვემდებარება. ეს პროცესი გარდაუვალია და რამდენადაც სწრაფად დამკვიდრდება საბიბლიოთეკო ცხოვრებაში, იმდენად სწრაფად პროგრესირდება საბიბლიოთეკო მუშაობა.

თუ რა მეტამორფოზას განიცდიან ბიბლიოთეკები თანამედროვე ვითარების ფონზე, რა გენდენციები ყალიბდება მეთოდური მუშაობის პროცესში, ამის შესახებ სისტემატურად ქვეყნდება ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“, რომელიც საბიბლიოთეკო მუშაობის სარკეს წარმოადგენს და ეხმარება ბიბლიოთეკარებს საორგანიზაციო და წიგნის პროპაგანდის საკითხებში.

2003 წლის №1 ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ გამოქვეყნებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტის ქალბატონ ინგა ფილაური-ლორიას წერილი „მთავარია სიახლე“, რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ბიბლიოთეკართა ერთი ჯგუფის სტაჟირებაზე გაგზავნის შესახებ შეერთებულ შტატებში. ავტორი საქმიანი ენთუზიაზმით აცნობს მკითხველს ამერიკის სხვადასხვა შტატის ბიბლიოთეკებისათვის დამახასიათებელ სა-

ინგერესო ფაქტებს, რაც თავისთავად სიახლეს წარმოადგენს და თანამედროვე საბიბლიოთეკო პროგრესის ახსნას იძლევა, მაგრამ წერილში ერთმა საყურადღებო ფრაზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომლის გაცნობიერება თვითოეული ბიბლიოთეკარისათვის მეტად საყურადღებოა.

„პირდაპირ უნდა ითქვას, რომ – ნათქვამია წერილში, – ჩვენს საბიბლიოთეკო სისტემაში ფაქტობრივად მეთოდური მუშაობა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე სრულყოფილად ვერ არის მოგვარებული“. ეს ფრაზა რამდენადაც რეალურია, იმდენად მკვიფრეულიც არის, რომლის შესახებ გულგრილი საუბარი ყოველად შეუძლებელია და საყოველთაო აუდიტორიის აზრს ითხოვს. ავტორის გულისგვიფილი გასაგებია, მით უფრო როდესაც პარალელი იქმნება შეერთებული შტატების და საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაობას შორის, რაზეც ალბათ არავითარ ანალოგიაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

ცხადია, საქართველოს ბიბლიოთეკების მეთოდურმა სამსახურმა რამდენადმე განიცადა ცვლილება, – ინერტულობის თვალსაზრისით, თუ არ ჩავთვლით ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდური ცენტრის ნიადაგ სიახლეთა ძიების „მაჯისცემას“, არადა მეთოდური მუშაობა ყოველთვის ნიშნავდა ბიბლიოთეკართა მაკონტროლებელი სამსახურის მნიშვნელოვან პროცესს, რაც თავისთავად მეთოდური მუშაობის მისიას წარმოადგენს.

თანამედროვე ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის პირობებიდან გამომდინარე თითქმის შეწყდა კონტაქტი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებთან, ვაკუუმში აღმოჩნდა ბიბლიოთეკათმორისო კოორდინაცია, სამიველინებო ღონისძი-

ებები, მოწინავე გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული და მეთოდური დახმარება. ამემაღლ მთელი ყურადღება გადაგანილია კომპიუტერული მუშაობის შესწავლასა და დამკვიდრებაზე, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის ბიბლიოთეკაში უკვე დაინერგა და დამკვიდრდა. ეს მისასაღებელია და საამაყო, რომ ბიბლიოთეკის მესვეურებმა გაჭორვების მიუხედავად სათანადო სახსრები გამოძებნეს პერიფერიებში კომპიუტერული სისტემის დასამკვიდრებლად.

ამ წერილის მისია იმაში მდგომარეობს, რომ განაცხადოს: – მეთოდურ სამსახურს მაინც არ დაუკარგავს თავისი ენთუზიაზმი და მოწოდება ბიბლიოთეკების მიმართ და თავგამოდებით ცდილობს შეინარჩუნოს გემპი და ახლის ძიების ინტერესი. ამის მაგალითია თუნდაც გასული 2002 და მიმდინარე 2003 წლების საბიბლიოთეკო ღვებების შინაარსიანად ჩაგარება და მისი ორგანიზაცია – საიუბილეო და მნიშვნელოვანი თარიღების მხაგვრულ ესთეგიკურ ღონებზე აღნიშვნა, ახალი წიგნების პრეზენტაცია, ვიქტორინების მოწყობა, შეხვედრები მწერლებთან და ცნობილ პიროვნებებთან, რომლის დროსაც ყველაზე დიდი როლი ეკუთვნოდა წიგნის პროპაგანდას. ალბათ, ეს არის ყველაზე მთავარი და სასიცოცხლო რესურსი – წიგნი ყველგან და ყველა ვითარებაში.

თანამედროვე ახალგაზრდა თაობის წინაშე დიდი არეალი გადაიშალა მეცნიერების სხვადასხვა დარგის დასაუფლებლად, რაშიც უდაოდ დიდი პრიორიტეტი ელექტრონულ მანქანას ეკუთვნის როგორც საინფორმაციო წყაროს, მაგრამ მომავალ თაობას, ახალგაზრდობას სჭორდება სულიერი საზრდო, ცოდნა, განათლება და კულტურა, რაც მას წიგნმა უნდა შესძინოს.

დიდი კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „თუ აღამიანი თავისი დროის ინტელექტისა და კულტურის ღონესთან არ არის გათანაბრებული, იგი თანადროულ ეპოქას ვეღარ დაამშვენებს“.

ამ სიტყვების არსი თავისთავად ნათელია, – კულტურა და ინტელექტი განათლებიდან მოდის

და განათლება წიგნმა უნდა შეიგანოს ყველა დროის ყველა საზოგადოებაში.

თუ მეთოდური სამსახური მიზნად დაისახავს წიგნის პროპაგანდის სხვადასხვა ეფექტური ღონისძიებების შესახებ შექმნას მეთოდური ლიტერატურა – ეს თავისთავად დიდად შეუწყობს ხელს ბიბლიოთეკების მიზნობრივ მუშაობას და გამართლებული იქნება მისი ფუნქციონალური მისია.

დიდი როლი ენიჭებათ ამ მხრივ უმაღლესი საბიბლიოთეკო სასწავლებლის ლექტორთა ჯგუფს, რომელთა აკადემიურმა ცოდნამ უნდა განაპირობოს მომავალ ბიბლიოთეკართა ცოდნის მასშტაბურობა.

აქვე მინდა ამრი გამოეთქვა იმის შესახებ, რომ გრადიციულობა არ ნიშნავს კონსერვატივობს და თუ წიგნის პროპაგანდის გრადიციულ ფესვებზე სიახლის რადიუსით იქნება მეთოდური მუშაობა წარმართული, ეს თავისთავად ნაყოფიერი, მიზანმიმართული შრომის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ასე სჭირდება დღეს საბიბლიოთეკო სამსახურს.



ნინელი მელქაძე. ალექსანდრე ლორია

**ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მატინა\***

1903 წლის 4 სექტემბერს კავკასიის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვი, სანკგ-პეგერბურგის გუბერნიის მკვიდრი, წარმოშობით გვერის გუბერნიის თაფალი, პაქთა საიმპერატორო კორპუსის აღმრდილი (28). ისე, როგორც ერთ დროს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ციმბირის ექსპედიციის შემადგენლობაში წარმატებული მეცნიერულ ექსპედიციაში მოღვაწეობა გახდა გ.ი. რადეს კავკასიაში გაღმოყვანის რეკომენდაციის საფუძველი (10), ასევე ა.ნ. კაზნაკოვის კავკასიის მუზეუმის ხელმძღვანელად დანიშვნის რეკომენდაციის საფუძველად იქცა მისი 28 წლის ასაკში დაწყებული წარმატებული მოღვაწეობა თბილისში 1899-1901 წლების ექსპედიციაში მონაწილეობის მხარეში. აქ ის წარმოჩინდა როგორც ღრმად ჩახედული მეცნიერი, ორგანიზატორი და დიპლომატი. ის გახლდათ პირველი ევროპელი, ვისაც ლამებმა პაგივი დასდეს დარგეგონჩენის სამონასტრო კომპლექსი ენახა. (22:277).

კარგად რომ შევიცანით სამეცნიერო შესაძლებლობათა დონე პიროვნებისა, რომელსაც მიანდეს კავკასიის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება, როგორც კავკასიის მუზე-

უმი და ბიბლიოთეკა იყო, აუცილებელია გავეცნოთ, თუ რითია ასე გამორჩეული მონაწილეობის სამეცნიერო ექსპედიცია. ამ გიბეგურმა ექსპედიციამ მეგალ დირებული სამეცნიერო გამოკვლევები ჩაატარა ბუნებისა და იმ ხალხის შესახებ რომლებიც ხუანხეს, იანძისა (ჩინ-ძიანი) და მეკონგის სათავეებში ცხოვრობდნენ და მცირედად ნაცნობ ან სულაც უცნობ გომებს წარმოადგენდნენ (11, 21, 22).

ამ ექსპედიციის დროს ა.ნ. კაზნაკოვმა ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად შეაღწია თითქმის შეუსწავლელ კამთა ქვეყანაში – ზემოწვევით დაღარულზედაპირიან მაღალმთიან ალპურ მხარეში, აღმოაჩინა ევროპელთათვის უცნობი მთაგრეხილი, რომელსაც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების სახელწოდება მიენიჭა (11), აქ მოახდინა მან მთელი მხარისა და გბების შესწავლა (22), თავი მოუყარა მდიდარ ეთნოგრაფიულ ცნობებს გიბეგის გომების შესახებ (21, 22). ჯერ კიდევ იმ პერიოდში იგი სისგებმა-

გურად აქვეყნებდა მეცნიერულ სტატიებს ИРГО-ს შრომებში, ხოლო შემდეგში უკვე 1907 წელს აღრე შეგროვილი მასალების საფუძველზე სანკგ-პეგერბურგში გამოაქვეყნა სამეცნიერო მონოგრაფია „ჩემი გზასავალი მონაწილეობისა და კამათი“. ამ გამოცემამ მას სამეცნიერო წრეები დიდი



A. Kasanov

\* (გაგრძელება. დასაწყ. იხ.: საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2002, №3; 2003, №2.


ალიარება მოუგანა და გამოაჩინა მისი ანალიტიკური უნარი. 1909 წელს საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიამ ჩათვალა, რომ უკვე ა.ნ. კაზნაკოვისათვის შეუფერებელი იყო მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი და ის კავკასიის მუზეუმებისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად დაამტკიცა. (28) ამავე წელსვე ა. კაზნაკოვმა პოლკოვნიკის ჩინიც მიიღო, მაგრამ როდესაც კავკასიის მუზეუმი განათლების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიას დაუქვემდებარეს, ის სამხედრო რეზერვისში გახდა. პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიგნა მის სამეცნიერო კარიერაშიც.

32 წლის ასაკში შეუდგა ის კავკასიის მუზეუმის დირექტორად მუშაობას; მთელი თავისი ენერჯია და ორგანიზაციული ნიჭი 14 წლის განმავლობაში იმას მოანდომა, რომ კავკასიის მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობის დაწესებულებად ექცია. ათი წლის განმავლობაში არ შეუწყვეტია ცდა, რომ სუფსიდიები გამოყოფილიყო მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი შენობის ასაგებად (1-9; 12-19; 24; 30).

1904 წლის 27 თებერვალს №16 ბრძანებით კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა რიჰარდ გერმანეს ძე შმიდგი – სანკტ-პეტერბურგის ბოლოლოგიის მუზეუმის ყოფილი ბიბლიოთეკარი, პროფესიით ექიმი (29). ამ დროს ბიბლიოთეკარებად მუშაობდნენ: ლ.ი. შერშოვი, კ. პეგროვი,

მ.გ. გოგიჯანოვა (1904-1910 წწ.). მასალებიდან ცნობილია, რომ როდესაც რ. შმიდგმა პ.ე. მელერისაგან ჩაიბარა ბიბლიოთეკა, ფონდს 30 წიგნი ჰკლებია. 22 წლის განმავლობაში ეს დანაკლისი იმდენად მცირედ მიიჩნია რ. შმიდგმა, რომ პ.ე. მილერის ღვაწლი არამც თუ საეჭვოდ გახადა, პირიქით, მის დასაფასებლად მან ა. კაზნაკოვისაგან მელერისათვის ჯილდოდ 600 მანათი ვერცხლით გადაცემა მოითხოვა, რაც კაზნაკოვმა დააკმაყოფილა (1:135).

ა. კაზნაკოვი კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზაციასა და პრესტიჟის ამაღლებაზე თანაბრად ზრუნავდა. მან



1904 წელს პირველმა შემოიღო კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული ნივთების კატალოგი (აღრე მხოლოდ საერთო ხარჯთაღრიცხვის დავთარი იყო). ამგვარად, 1904 წლიდან დაიწყო მუზეუმის ნივთების სარეგისტრაციო აღრიცხვა. მოგვიანებით გიორგი ჩურსინმა – ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსმა მცველმა და კავკასიის განყოფილების რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების

საქმეთა მმართველმა და ბიბლიოთეკარმა – შეადგინა მუზეუმის კოლექციათა საგნობრივი კატალოგი, აგრეთვე ეთნოგრაფიული ნივთების კატალოგი. კაზნაკოვის ერთ-ერთი წერილი, რომელიც მან კ.გ. კურლოვს მიწერა, ნათლად გვისურათებს კაზნაკოვის თავგამოდებულ მუშაობას მასალების მოპოვებისა და დაცვისათვის.

1905 წლის 4 მაისით დათარიღებულ წერილში

ან. კაზნაკოვი კ.გ. კურლოვს წერს: „გავიგე რა ბ.ფ. ადლერისაგან, რომ თქვენ ეწვეით მეცნიერულ კვლევა-ძიებას კავკასიის ეთნოგრაფიის შესახებ ვფიქრობ, თქვენ თანახმა იქნებით, თქვენი ცოდნა და შრომები გაგვიზიაროთ კავკასიის მუზეუმის სასარგებლოდ. ნება მომეცით, მოგმართოთ თხოვნით, შემაგყობინოთ, ხომ არ გამოყოფდით თქვენი ღრვის რაღაც ნაწილს ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაზე კავკასიის მუზეუმისათვის და ამგვარად ხელს შეგვიწყობდით როგორც კავკასიის მხარის შესწავლაში საერთოდ, ასევე მეცნიერებისათვის კავკასიის ხალხთა კოსტუმებისა და ყოფითი კუთვნილების საგნების შეგროვებაში, რომლებიც თანდათან ქრება, და წლითი წლობით სულ უფრო ძნელი ხდება მათი მოპოვება“ (2:154).

1904 წელს კაზნაკოვმა შეძლო გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის მოსკოვის არქეოლოგიური სამოგადოების თბილისის განყოფილების ძვირფასი არქეოლოგიური კოლექციები და ბიბლიოთეკა მიეერთებინა (15). კაზნაკოვის მიერ გადადგმული ნაბიჯები ცხადყოფს მის ღრმა ცოდნასა და წინამორბედთა ძალისხმევისადმი პატივისცემას, მათ მიერ გაწეული საქმის თანმიმდევრულ განვითარებასა და ხორცშესხმას. ისე როგორც 40-იან წლებში გაზეთი „კავკაზი“ აცნობდა მკითხველებს მუზეუმის შენაძინების შესახებ, კაზნაკოვიც აკეთებს ხოლმე ამგვარ შეგვარებებს. ასე მაგალითად, იგი ემოციურად აღნიშნავდა გაზეთში, რომ გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის შეიძენს არქანჯელო ლამბერგის 1654 წელს გამოცემულ „მოგზაურობა სამეგრელოში“ (14:3).

1905 წლის 1 ივლისს კაზნაკოვი დ.ფ. კომენკოს წერდა: „...კავკასიის მეფისნაცვლის სამოქალაქო საქმეთა თანაშემწემ ე.ა. სულთან-კრიმ-გირეიმ მამცნო, რომ საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის თავის წიგნთა ღებლი კაგები გააჩნია წიგნები კავკასიისა და მის მომიჯნავე ქვეყანაზე. იმის გამო, რომ გფილისის საჯარო ბიბლიოთეკას დიდი ხანია მიზნად აქვს ამგვარი ლიგერატურის შეგროვება და უახლოეს ხანებში კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკად გარდაქმნა სურს, მაქვს

პატივი, კონკრეტული თხოვნით მივმართოთ თქვენს აღმაგებლებას, გადმომცეს ჩემდამი რწმუნებული ბიბლიოთეკისათვის საჭირო ის წიგნები, თხზულებები, რომლებიც კავკასიისა და მის მოსაზღვრე ქვეყნებს შეეხება; აგრეთვე საერთოდ სამეცნიერო თხზულებები“ (2:114).

XX საუკუნის დასაწყისში მუზეუმის ბიბლიოთეკას უკვე საკმაოდ სოლიდური წიგნაღი ფონდი გააჩნია, რომელიც ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. 1904 წლისათვის აქ 29.536 ერთეულია. 1904-1908 წლებში იგი 17.867 ტომით გაიზარდა. 1909 წლის ბოლოსათვის აქ 26.790 წელს შემოვიდა 597 დასახელების წიგნი, მათგან 405 კავკასიის შესახებ, ანუ დაახლოებით 78%. 1909 წელს მკითხველთა რაოდენობამ 10.219 შეადგინა. ამავე წელს სამკითხველო ღარბაში გაიყა 4,902 წიგნი, ამასთან, 31 პირს მიეცა საშუალება სახლში სარგებლობისათვის წიგნების გაგანისა. მათზე გაცემულ იქნა 124 დასახელების 149 ტომი. (27).

აღსანიშნავია, რომ კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის გაერთიანების შემდეგ ერთიანი წიგნაღი კოლექცია არსებობდა, მუზეუმს თავისი სპეციალური ბიბლიოთეკა არ შეუქმნია. 1904 წელს რადეს ქვრივისაგან შეიძინეს მუზეუმის ძირითადი მიმართულებების – მოლოგიის, ბოგანიკის, ეთნოგრაფიისა და ბიოლოგიის 258 დასახელების წიგნი, რის საფუძველზეც კავკასიის მუზეუმში გაიხსნა საცნობო-საინფორმაციო განყოფილება. გაიხსნა „მუზეუმის ბიბლიოთეკა“, როგორც გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მე-17 განყოფილება. იგი მუზეუმის შენობაში იყო განთავსებული.

კავკასიის მუზეუმის „უწყებათა“ გამოცემის შემდეგ (1897-1919 წწ.) გფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ დაკომპლექტებისათვის წიგნგაცვლის ფორმას მიმართა. 1902 წელს „წიგნის გაცვლის კონვენციაზე“ რუსეთის ხელმოწერის შემდეგ „კავკაიის მუზეუმის ცნობარი“ რუსეთის სამეცნიერო გამოცემათა ოფიციალური რეესტრში შეიგანეს, რამაც ბიბლიოთეკას საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საშუალება შეუქმნა (5:111). 1909 წელს იგი რუსეთის 23 ქალაქის 54 და მსო-

ფლიოს 16 სახელმწიფოს 44 ორგანიზაციასთან აწარმოებდა წიგნების გაცვლა-გამოცვლას (24, 27). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ა.ნ. კაზნაკოვის მიერ წიგნგაცვლასთან დაკავშირებით ჯონ კრერარის ბიბლიოთეკისადმი ინგლისურ ენაზე მიწერილი წერილი, რომელშიც იგი საქმიანად წერს წიგნების ურთიერთგაცვლის შესახებ (4:85).

ბიბლიოთეკა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნების მიღებას სახელმწიფოებრივად მიღებული წესის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ეს წესები ხშირად ირღვეოდა. მაგალითად, თბილისის საცენზურო კომიტეტი სავალდებულო ცალეებს არარეგალურად აგზავნიდა. 1910 წლის 19 იანვარს №30-ე აღრესით რ.გ. შმიდტი მკაცრად მიმართავდა თბილისის ბუჭდვითი სიგყვის კომიტეტს. ის შეახსენებდა კომიტეტის ხელმძღვანელობას მეფისნაცვლის მ.ს. ვორონცოვის 1852 წლის 10/14 ივნისის №2249 ბრძანებას (4:13-14), რომლის თანახმად კავკასიაში ყოველ გამომცემლობას ევალებოდა 2-2 ეგზემპლარის დაკავება კავკასიის მუზეუმისათვის გადასაცემად, რაც არ სრულდება თანმიმდევრულად. შმიდტი ითხოვდა პასუხს, რათა მოეხსენებინა საქმის ვითარება ახლანდელი მეფისნაცვალისათვის (1910 წ. 19 იანვ. №30).

1910 წლის 28 იანვრის საპასუხო წერილში საყველურია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ კომიტეტისადმი მოწერილი წერილი შეიცავდა ერთგვარ მუქარას კომიტეტის მიმართ.

ამასთან, წერილის ავტორი ვ. კოლობოვი იცხოვნიებოდა, რომ ვორონცოვის მიერ მიღებული ბრძანების შემდეგ 1905 და 1906 წლებში მიღებული იქნა ახალი კანონები ბუჭდვითი სიგყვის შესახებ, რომლებიც საფუძვლიანად ცვლიან ბევრ ძველ წესს. ამავე დროს ვ. კოლობოვი წერს, რომ მის მიერ შექმნილია პროექტი კავკასიის საჯარო ბიბლიოთეკისათვის წიგნების გადაცემის შესახებ; მრავალი ცდის მიუხედავად, ამ პროექტმა ვერ ჰპოვა აღიარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, არის იმედი, რომ საქმე მაინც წაიწევს წინ, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იქნება კავკასიაში დაბეჭდილი წიგნებით. მართლაც, ბიბლი-

ოთეკა შეფერხებით, მაგრამ მაინც კვლავ იღებდა მთელ კავკასიაში დაბეჭდილ წიგნებს, აგრეთვე საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის შრომებს.

უნდა ითქვას, რომ გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის სხვადასხვა გამომცემლობები და რელაქციებიც ბრუნავდნენ, რაზედაც შემორჩენილი წერილობითი საბუთებიც მეტყველებენ. როგორც ცნობილია, 1905 წელს საგამომცემლო ამხანაგობის „ცისკრის“ თავმჯდომარე თუმანიშვილი კავკასიის მუზეუმს წერდა: „მაქვს პატივი გამოგიგზავნოთ პირველი სერია ჩვენი გამოცემებისა, მიძღვნილი პეტრე უმიკაშვილისადმი, მიმართა ჩემს მოვალეობად, გამოგიგზავნოთ თქვენ ჩვენი ამხანაგობის მიერ გამოქვეყნებული ყველა გამოცემა“. (2:131).

ე. თაყაიშვილის ხელმოწერით საქართველოს მუზეუმის არქივში დაცულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელზე მიწერილი წერილი 1910 წლის 6 მარტით დათარიღებული (170), რომელშიც წერია: „საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საბჭოს აქვს პატივი, კავკასიის მუზეუმისათვის გადმოგიგზავნოთ თავისი პირველი გამოცემა „საქართველოს სიძველენი“ და ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო“, და გპირდებით, მომავალში გამოგიგზავნით თითო ეგზემპლარს ჩვენი ყველა გამოცემისა საუკეთესო ქაღალდზე. ამასთან, გთხოვთ გამოგიგზავნოთ საზოგადოების ბიბლიოთეკაში მუზეუმის გამოცემების თითო ეგზემპლარი“ (4:136).

მნიშვნელოვანი შენაძენები ჰქონდა ბიბლიოთეკას პირადი კოლექციების ხარჯზე. საგრძობლად შეივსო მისი ფონდები. ვეის ფონ ვეისენგოფის, ბ.ი. კოსცემ-სგაგკოვის, ე.გ. ვეილენბაუმის, ნ.მ. რომანოვის, ა. სიპიაგინის მიერ შემოწირული წიგნებით. ვეის ფონ ვეისენგოფის მიერ 1902 წ. შემოწირული წიგნები ძირითადად ირიგაციის საკითხებზე იყო. ამ შემოწირულების პირობას წარმოადგენდა ის, რომ წიგნები ბიბლიოთეკაში დაცული უნდა ყოფილიყო ქვეგანყოფილებად და შინ სარგებლობისათვის არ გაცემულიყო, ამასთან, ყოველ ეგზემპლარს უნდა ჰქონოდა დაკრული

ვეის ფონ ვეისენგოფის ექსლიბრისი. 1906 წელს მიღებული შ.ი. კოსცემ-სტაგკოვის კოლექცია გექნიკის დარგის წიგნებისაგან შედგებოდა. რაც, საერთოდ, ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში. ამ შემთხვევაშიც პირობად იყო დათქმული წიგნების შინ სარგებლობისათვის გაუყვამლობა. 1906 წ. ე.გ. ვეიდენბაუმმა 34 დასახელების სხვადასხვა დარგის 374 წიგნი გადასცა ბიბლიოთეკას. 1907 წელს ბიბლიოთეკამ ა. სიპი-აგინისაგან 123 წიგნი მიიღო, ძირითადად ალპინიზმის დარგში, მათ შორის მხოლოდ რამდენიმე იყო კავკასიაზე. ეს კოლექცია სპეციალურად ქვეგანყოფილებად გამოყვეს და მან ღიდალ შეუწყო ხელი კავკასიაში ალპინიზმის განვითარებას. ღიდალმა თავადმა ნ.მ. რომანოვმა ბიბლიოთეკას 24 დასახელების 256 ტომი შეწირა (27).

ამრიგად, როგორც ჩანს, კაზნაკოვი გულმოდგინედ განაგრძობდა რაღეს მიერ დანერგილ გრადიციას – ექცია გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკად. საერთოდ, ის ბევრს ზრუნავდა საქმის აღორძინებისათვის. ფანაგიკური შემართებით ცდილობდა, პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მან თხოვნით მიმართა მეფისნაცვალს, მიეცა მისთვის ნება, საკუთარი ხარჯებით გამგზავრებულიყო სანკგ-პეგერბურგში მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობის საკითხებთან დაკავშირებით. კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შესაფერისი შენობის ძიების საქმე უკვე ღიდ ღროს ართმევდა კაზნაკოვს. სხვა ძალისხმევასთან ერთად, ის ადგილობრივ მთავრობასაც მიმართავდა ხოლმე თხოვნით, დახმარებოდნენ ამ საქმეში. 1904 წლის თებერვალში, ქალაქის მთავრობისადმი მიმართვაში იგი წერდა, რომ პრესაში არაერთგზის გამოთქმული საჯარო ბიბლიოთეკის კრიტიკა ადვილი გასათვალისწინებელია, თუკი ქალაქი თავის თავზე აიღებდა ბიბლიოთეკის ელექტრონით მომსახურების, სახანძრო ონკანების დაყენების და მეორე დარაჯის სახელფასო ხარჯებს. კაზნაკოვის ამრით, ეს თანხა მცირე იყო იმ სარგებლობასთან შედარებით, რისი მოგანაც ბიბლიოთეკას შეეძლებოდა ქალაქისათვის. სამწუხაროდ, ეს საკითხები, ისევე რო-

გორც უმთავრესი – გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გაფართოება – პრესისა და მთავრობის ყურადღების მიღმა დარჩა. კაზნაკოვი ქალაქის მმართველობისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ 1899 წლიდან წიგნებისათვის საკმარისი ადგილი აღარ იყო. არაერთხელ განხილულა საკითხი მე-2 სართულის დაშენების თაობაზე, მაგრამ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო 20 წლის მანძილზე იგი დაღებთად ვერ გადაწყდა. მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, სამშენებლო სახსრების უქონლობა იყო. (1-5). ასევე უგულებელყოფილი იქნა კაზნაკოვის შუამდგომლობა, მუზეუმისათვის კადეტთა კორპუსის შენობის გადაცემის თაობაზე (19).

ბიბლიოთეკის ოღნავ განსაგვირთავად და შემდეგ მისი შრომითი პროცესების გაადვილებისათვის ა.ნ. კაზნაკოვმა ბიბლიოთეკა ახალი, მსოფლიო მსხვილ ბიბლიოთეკებში შემოღებულ არგურ კოპელის ფირმის საბიბლიოთეკო გექნიკით აღჭურვა განიზრახა. იგი ოცნებობდა, რომ წიგნები კარადებში კი არ გაწყობილიყო, არამედ სპეციალურ, რკინის მოძრავ კონსტრუქციებსა და ბურჯებზე დამაგრებულ თაროებზე. ახალი გექნიკა საშუალებას იძლეოდა, წიგნებს გაცილებით მცირე ფართობი დაეჭირა, ადვილდებოდა აგრეთვე მათი სარგებლობაც. ამგვარად, მე-2 სართულის დაშენების აუცილებლობის საკითხიც ერთხანს მოიხსენებოდა, თანაც ფირმა თანახმა იყო, ღიდი შეღავათები მიეცა ბიბლიოთეკისათვის (1;2).

გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკად გარდაქმნა დაკომპლექტების პოლიტიკაზეც იმოქმედებდა. ბიბლიოთეკა მომარაგდებოდა სამხარეო სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო მრავალფეროვანი ლიგერაგურა. ა.ს. პუშკინის სახელობის გფილისის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის მშენებლობის დაწყების მოახლოებასთან დაკავშირებით, ა.ნ. კაზნაკოვმა კვლავ მიმართა თბილისი მმართველობას წინადადებით, საჯარო ბიბლიოთეკის 5.000 ტომიანი ბელეგრისგული განყოფილების სანაცვლოდ, ბიბლიოთეკა ელექტროენერგიითა და სპეციალური რკინის თაროებით მომარაგებულიყო. ამგვარად, ქალაქი მშვენიერ წიგნად კოლექციასა და კეთილმოწყობილ კავკასიის სამე-





ცნიერო ბიბლიოთეკას მიიღებდა. მაგრამ ქალაქის საფინანსო კომისიამ სახსრების უქონლობის გამო, კვლავ უარყო კაზნაკოვის ინიციატივა (17; 18). თუ 1901 წელს საზოგადოება ყურადღებას აქცევდა ბიბლიოთეკას და პრესაც დიდ ინტერესს იჩენდა და გამუდმებით ლაპარაკობდა საჯარო ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანობაზე, ახლა უკვე იმავე პრესამ კაზნაკოვი მარგოლ მიაგოვა ბრძოლის ველზე, რაც პრესის დუმილსა და ზოგჯერ უსაფუძვლო კრიტიკაში გამოიხატება.

1905 წელს კავკასიის მეფინაცვალის პოსტი გენერალ-ადიუტანტმა გრაფ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა დაიჭირა (20). კავკასიის მუზეუმი და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა ახლა ახალი თანდემის – კაზნაკოვ-ვორონცოვ-დაშკოვის ხელში აღმოჩნდა, ამ მომენტისათვის მეტად მძიმე საბიუჯეტო კრიზისი იყო მთელ იმპერიაში. ძნელად თუ ვინმეს რაიმე დამატებით სახსრებს გამოუყოფდნენ. პირიქით, დადგა საკითხი კადრების შემცირების შესახებ. როდესაც დაისვა საკითხი მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის ხარჯების შემცირების თაობაზე, რაც თანამშრომელთა ხელფასების შემცირებას გამოიწვევდა, ვორონცოვ-დაშკოვი წინააღმდეგი წავიდა ამბზე. ის წერდა: „არ შემოდის დავეთანხმო მუზეუმის დირექტორის, კონსერვატორისა და ბიბლიოთეკის შენახვისათვის, აგრეთვე, მუზეუმის მეცნიერულ მუშაობასა და ბიბლიოთეკის შევსებისათვის საჭირო სახსრების შეკვეცას“. მოგვიად ის ასახელებს იმას, რომ პროვინციებში ამგვარ მუშაკებს სხვა რაიმე სახის შემოსავალი და შესაძლებლობები არ გააჩნიათ, თანაც პროფესიონალების ნახვა ადგილზე თითქმის შეუძლებელია (4:50).

1908 წლის 3 სექტემბრიდან 4 დეკემბრამდე ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა კაზნაკოვი დასავლეთ ევროპაში მიავლინა პროვინციული მუზეუმების შენობებისა და შიგამოწყობილობების გასაცნობად (3);

ვორონცოვ-დაშკოვის წინადადებით, 1910 წლის 19 მარტის 7.076 ბრძანებით ა. ნ. კაზნაკოვი მოვლინებული იქნა სანკგ-პეგერბურგში სახელმწიფო ხაზინაში კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის შენობის ასაგებად გამოყოფილი თანხის გადარიცხვის დასა-

ჩქარებლად. ხოლო 1910 წლის 19 მარტის №7.077 ბრძანებით კაზნაკოვს პეგერბურგში ყოფნისას გაუგრძელეს მივლინება დასავლეთ ევროპის მოწინავე მუზეუმების შენობა-ნაგებობების გასაცნობად.

1911 წლის 17 ივლისს კაზნაკოვისა და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ენერგიული მოქმედების შედეგად მთავრობამ დააფინანსა კავკასიის მუზეუმის ახალი ნაგებობის ასაშენებლად ხარჯები 380.000 მანეთის ოდენობით. მშენებლობა დაეკისრათ არქიტექტორ კ. ტაგიშჩევსა და ინჟინერ ა. ნეპრინცევს, რომლებმაც შენობის პროექტი სპარსულ სტილში გადაწყვიტეს, რამდენადაც ეს იყო მუზეუმი და ბიბლიოთეკა მთელი კავკასიისა და მომიჯნავე ქვეყნებისათვის, სადაც აღმოსავლური კულტურა ჭარბობდა. ამავე დროს მხედველობაში იქნა მიღებული მაშინდელი გექნიკის უკანასკნელი სიგყვა, რაც ნაგებობას მოქნილსა და მოხერხებულს გახდიდა. კონსტრუქცია შედარებით იაფი იყო გათვალისწინებული, ამავე დროს მხედველობაში იქნა მიღებული ადგილობრივი ლანდშაფტი და სეისმოლოგიური პირობები. გარეშემოწერილობა გამორიცხავდა ყოველგვარ მინაშენებს შემდგომისათვის, ნაკლებად საჭირო იქნებოდა სარემონტო ხარჯები; სიმაგრისათვის გადაწყვეტილი იყო, აგებულიყო იგი რკინაბეტონის მონოლითურ სისგემაზე, კედლები შეილესებოდა ჰიდრაული კური ბათქაშით და მოპირკეთებოდა ადგილობრივი მეგლახის ფილებით აგურის სტილში, რაც იძლეოდა შენობის სიმაგრის გარანტიას. სულ უნდა ყოფილიყო 4 სართული. მუზეუმის, ჩრდილოეთ ნაწილში ბიბლიოთეკის განთავსება იყო ნავარაუდები (25; 7) გოლივინის პროსპექტისა და ბარონის ქუჩის კუთხეში. დათმობილი ექნებოდა მას ცოკოლი და პირველი სართული. პირველ სართულზე იგეგმებოდა 3 ოთახი-კაბინეტი.

მეცნიერ-მუშაკებისთვის და 1 ბიბლიოთეკისათვის, აგრეთვე სამკითხველო დარბაზი. წიგნსაცავი გათვალისწინებული იყო პირველ სართულზე და სარდაფში, სამკითხველო დარბაზის ქვემოთ, სამკითხველო დარბაზი ორ გაერთიანებულ სართულს დაიჭერდა, საცავი ორიარუსიანი იქნებოდა ერთმანეთისგან რკინის ცხავით გამოყო-



ფილი. განზრახული იყო, თაროები რკინის კონსოლებზე ყოფილიყო დამაგრებული. ზედა იარუსები ქვედასაგან მალლა იქნებოდა 3,5 არშინით.

შენობა ფასადით გოლოვინის პროსპექტზე უნდა გამოსულიყო ნიკოლოზის ქუჩის შესახვევიდან ბარონის ქუჩამდე 12 საკენის სიღრმეთში (4:80-81).

მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ძველი შენობა დანგრევას ექვემდებარებოდა.

როცა 1878 წელს გ.ი. რაღემ მიიღო ნებართვა და სახსრები მუზეუმის შენობაზე მეორე სართულის დაშენების, მან კიბის კედლების ფრესკებით მოსახაგავად საზღვარგარეთიდან მოიწვია მხატვარი ფრანც ბიმი, რომელიც სამი თვის განმავლობაში მუშაობდა დაკვეთაზე და დიდებული ფრესკები შექმნა. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული იყო კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეოსი. მის გაგრძელებაზე დახატული იყო არგონავტების ჩამოსვლა კავკასიაში. ეთნოგრაფიული განყოფილების მარჯვნივ კედელი დათმობილი ჰქონდა იაზონისა და მედეას გამოსახულებებს, მეოთხე ნახატი წარმოადგენდა ნოეს, რომელიც ვაზის ლერწამს რგავდა; ფანჯრებს შორის გადაჭიმულ მოგრძო კედელზეც ამამონკები იყო გამოსახული (24).

სამწუხაროდ, ბიმის ეს შედეგები უნდა დაღუპულიყო, რადგანაც ისინი პირდაპირ კედელზე და მუშავებულ ბათქაშზე იყო შესრულებული.

კაზნაკოვმა ყველაფერი გააკეთა, რომ როგორ

რმე გადმოეღო ფრესკები. მან და კავკასიის მუზეუმისა და გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ამგები კომისიის თათვმჯდომარემ მიხეილ პავლეს ძე გაკელმა მიმართეს მეფისნაცვალის თანაშემწეს სამოქალაქო ნაწილში სენატორ კ. ვაგაცის თხოვნით, გამოენახა საშუალებები ფრესკების შესანარჩუნებლად, მაგრამ რაკი შენობის ნგრევის მოსამზადებელ პერიოდში ვორონცოვ-დაშკოვი არ იმყოფებოდა საქართველოში და რაკი სახსრების მიღება უმისოდ შეუძლებელი იყო, საჭირო გახდა დროის მოგება და ამიგომ ნგრევა დაიწყო გფილისის საჯარო ბიბლიოთეკიდან. ფრესკების ასლები საბოლოოდ მაინც გადაიღეს და სახაზინოთეატრში გადაიგანეს, რისთვისაც ვორონცოვ-დაშკოვმა 1.000 მანეთი გამოყო (4:35).

1912 წლის 8 მაისს გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შტაბელებად შეკრული ფონდები, რაც თითქმის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, სპეციალურად გამოყოფილ ღრობით სათავსოებში ყუთებში ჩაწყობილი გადაიგანეს. 1910 წლისთვის, როცა დაიწყო ფონდის შეკვრა, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მთელი წიგნები 17 განყოფილებადა და 4 ქვეგანყოფილებადა იყო დაყოფილი და 25.946 დასახელების 47.403 ერთეულს შეადგენდა (4:142).

ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე სტაგისტიკური მონაცემი, რაც საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამ პერიოდის გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებსა და საქმიანობაზე.

**ბიბლიოთეკის ფონდებს ზრდა 1903 წლიდან 1909 წლის ჩათვლით**

1903	1904	1905	1906	1907	1908	1909
38.268	39.253	42.427	43.867	46.135	46.547	47.403

წიგნების გაცემის რაოდენობა 1903-1909 წლებში

1903	1904	1905	1906	1907	1908	1909
10.847	8.413	8.743	4.667	2.568	4.724	4.902

1913 წლისთვის დასრულდა მიწის სამუშაოები – საძირკვლის გაჭრა, ფუნდამენტის ჩაყრა; აგრეთვე დამთავრდა პირველი სართულის ამოყვანა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის გამო მშენებლობა შეფერხდა, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა და საბოლოოდ არ შეწყვეტილა. (26).

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



## დამოწმებული წყაროები

1. Архив музея Грузии – 1904.
2. " \_\_\_\_\_ " – 1905.
3. " \_\_\_\_\_ " – 1908.
4. " \_\_\_\_\_ " – 1910.
5. " \_\_\_\_\_ " – 1912.
6. " \_\_\_\_\_ " – 1914.
7. " \_\_\_\_\_ " – 1915.
8. " \_\_\_\_\_ " – 1916.
9. " \_\_\_\_\_ " – 1917.
10. Ган К.Ф. Биография Г.И.Радде: коллекции Кавказского музея; Т. 6, ч.2 – Тб., 1912. – с. 160.
11. Гехтам Г.Н. Выдающиеся географы и путешественники, – Тб.: Изд. А.И.ГССР, 1962. – С.142-143.
12. Кавказ. – 1904 – №31
13. " \_\_\_\_\_ " – 1904 – №254
14. " \_\_\_\_\_ " – 1904 – №266
15. " \_\_\_\_\_ " – 1904 – №305
16. " \_\_\_\_\_ " – 1904 – №334
17. " \_\_\_\_\_ " – 1905 – №14
18. " \_\_\_\_\_ " – 1905 – №44
19. " \_\_\_\_\_ " – 1905 – №245
20. " \_\_\_\_\_ " – 1905 – №57.
21. Казов А.Н. Мои пути по монголии и Каму с 4 мая картами (2 в красках) 9-ю таблицами и 16-ю типажками в тексте Труды экспедиции русского географического общества, совершенной в 1899-1901 22 под руководством П.К. Козлова: Т.2, вып. 1. – 137 с.
22. Козлов П.К. Монголия и Кам (Груды экспедиции Русского географического общества, современной в 1899-1901 гг. под руководством П.К.Козлова: Т.1, част 1. – Спб., 1905, – М.: огиз, 1947. – 538с.
23. Мамацев Хр. Востоковедение и Тифлисская публичная библиотека Новое обозрение. – 1901, 13 янв., №5588.
24. Матиасевич А. Кавкашский музей Исторический вестник. – 1912. – с. 1047-1066.
25. Отчет ИРГО. – 1902. – с. 23-24.
26. Отчет о деятельности музея в 1916 году Сост. А.Н.Казнаков Архив музея Грузии. \_ 1916.
27. Отчет по Кавказскому музею за 1909 сост. А.Н.Казнаковы и Р. Г. Шмидтом. – Тб., 1913.
28. Послужной список А.Н.Казнакова Архив музея Грузии.
29. Послужной список Р.Г. Шмидта Архив музея Грузии.
30. Чуржн. Г.Ф. Кавказский музей Известия КОИРГО: Т.22, №2. – 1913/1914, – с.205-206.



ნინო გომართელი, მარინა სურმავა

## ჯულიო მაზარინის ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიიდან

1644 წლის 30 აინვარს „გაბეგ ლე ფრანსში“ გამოქვეყნდა საინტერესო ინფორმაცია: „საფრანგეთის პირველმა მინისტრმა, ჯულიო მაზარინიმ გადააქცია თავისი მდიდრული სასახლე აკადემიად. ამერიდან, ყველა მეცნიერს უფლება ეძლევა ხუთშაბათობით ისარგებლოს უმშენიერესი ბიბლიოთეკით“. კარდინალმა ბიბლიოთეკარ გაბრიელ ნოდეს უბრძანა წიგნსაცავის კარი ფართოდ გაეღო მსურველთათვის და უხვად გაეზიარებინა მათთვის თავისი „მდიდარი ბიბლიოგრაფიული ცოდნა“.

მას შემდეგ სამსაუკუნეხანგრძლივად განვლო. მაზარინის სახელობის ბიბლიოთეკა დღეისათვის საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ნაწილია. გამოჩენილ მწერალთა და მეცნიერთა პორტრეტების გვერდით აქ საპატიო ადგილი უჭირავს ამ მდიდარი წიგნსაცავის ჭეშმარიტი დამაარსებლის გაბრიელ ნოდეს სკულპტურულ პორტრეტს. როდესაც ამ წიგნსაცავის საინტერესო ისტორიას ეცნობი, გებადება უნებლიე კითხვა: მართებული ხომ არ იქნებოდა, ბიბლიოთეკა გაბრიელ ნოდეს სახელობისა ყოფილიყო და მასში სხვათა გვერდით, მოეთავსებინათ კარდინალ მაზარინის პორტრეტი?


კარდინალ ჯულიო მაზარინისა და ცნობილი ბიბლიოთეკარის გაბრიელ ნოდეს შეხვედრა საფრანგეთის პირველი ეროვნული ბიბლიოთეკის შექმნის საწინდარი გახდა. ნოდეს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა გრაქტატი „რჩევა ბიბლიოთეკის მოწყობისათვის“, რომელიც შემდგომი თაობებისათვის ერთგვარ ანდერძად იქცა. იდეალური ბიბლიოთეკა, ნოდეს წარმოდგენით, უნდა მოიცავდეს არა მარტო კლასიკოსების სკანდარტულ გამოცემებს, არამედ ყველა დროისა და ხალხის ძირითად თხზულებებს ცოდნის სხვადასხვა დარგში. ასეთი განძის ბედნიერი მფლო-

ბელი გახდება სამყაროს ჭეშმარიტი მოქალაქე, რამეთუ ამგვარი ბიბლიოთეკით „მას ძალუძს იცოდეს ყოველივე“. იდეალური ბიბლიოთეკის ხარისხი, ნოდეს მიხედვით, განისაზღვრება მარტივად: „თითოეულმა უნდა მოძებნოს მასში ის, რასაც თვითონ ეძებს“. ნოდეს სურდა, რომ ბიბლიოთეკების კულტურული სიმდიდრე ჩაყენებული ყოფილიყო ხალხის სამსახურში. ამ დროისათვის ევროპაში არსებობდა სამი სახალხო ბიბლიოთეკა: ბოდლეს, რომელიც გაიხსნა 1602 წელს ოქსფორდში, ამბროზიანა, რომელიც 1609 წელს შექმნა კარდინალმა ბორრომეომ მილანში და ანკელიკა, 1614 წელს ანკელო როსის მიერ რომში დაარსებული. ნოდე დასცინოდა იმ აღაშინებებს, რომლებიც წიგნის მდიდრულ სამოსს მეტად აფასებდნენ, ვიდრე მათ შინაარსს, ასევე უაყოფდა ბიბლიოთეკების დარბაზების ანტიკური ქანდაკებებითა და გამოჩენილ პირთა სკულპტურულ გამოსახულებებით მორთვას. ნოდეს აზრით, აუცილებელი იყო წიგნსაცავის დაყოფა 7 ძირითად განყოფილებად (მაზარინის ბიბლიოთეკაში ეს ციფრი 12-მდე იყო გაზრდილი): თეოლოგია, მედიცინა, სამართალი და იურისპრუდენცია, ისტორია, ფილოსოფია, მათემატიკა, კლასიკური ენები და ლიტერატურა. თითოეულ განყოფილებაში ფუნდამენტური თხზულებების გვერდით მოთავსდებოდა კომენტარები და შრომები მათ შესახებ. მომდევნო დაყოფა უნდა მომხდარიყო საუკუნეებისა და ენების მიხედვით. მკაცრი წესრიგის გარეშე ბიბლიოთეკის შექმნაზე გაწეული შრომა ფუჭად ჩაითვლებოდა, რადგან, ნოდეს ღრმა რწმენით, „თუ წიგნსაცავში... უწესრიგობაა, იგი ისევე არ ჩაითვლება ბიბლიოთეკად, როგორც შეიარაღებული ხალხის ბრბოს ვერ მივიჩნევთ არმიად. ნოდემ ასევე შეადგინა სისტემატური და ანბანური კატალოგი-

ბის მოწყობის პრინციპიც. „რჩევის“ ავტორს არც ბიბლიოთეკის შენობის მოწყობის ალჭურვილობის კონკრეტული საკითხებისთვის აუვლია გვერდი. იგი მოუწოდებდა მეცენატებს, დაეარსებინათ წიგნსაცავები, რომლებიც მეცნიერთათვის იქნებოდა ხელმისაწვდომი.

ჯულიო მაზარინის წინამორბედმა კარდინალმა რიშელიემ პირველმა გამოთქვა ამრი სახალხო ბიბლიოთეკის მოწყობის შესახებ, მაგრამ მისი სურვილი განუხორციელებელი დარჩა. თავისი მდიდარი წიგნსაცავი რიშელიემ ნათესავს უანდერძა, ამ უკანასკნელმა კი ბიბლიოთეკა სორბონის უნივერსიტეტს გადასცა. კარდინალმა მაზარინიმ გიუბიოფის სასახლეში განიმზარა ბიბლიოთეკის განთავსება და ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელება გნოდეს დააკისრა. ბიბლიოთეკარი რუდუნებით შეუდგა უნივერსალური წიგნსაცავის შექმნას. პირადი მეგობრის, ლიმოჟელი კანონიკოსის ჟან დე კორდეს პირადი უმდიდრესი ბიბლიოთეკის შეძენის გარდა, ნოდემ უმოკლეს დროში თავი მოუყარა უამრავ ძვირფას წიგნსა და ხელნაწერს. გიუბიოფის სასახლის ბიბლიოთეკა საათობით იზრდებოდა.

ბევრ სხვა უნიკალურ დოკუმენტთან ერთად, აქ ინახებოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის ანრი დე ბრიენოს მიერ თავმოყრილი იშვიათი კოლექცია, რომელიც 40 ათას ლივრად შეიძინა ლუი XIII-მ და დედოფალ ანა ავსტრიელისაგან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ – საჩუქრად მიიღო ჯულიო მაზარინიმ. ამ 360 ტომში მოთავსებული იყო „საფრანგეთის ყველა საიდუმლო“ – მოლაპარაკებათა ტექსტები, ელჩების შეგყობინებები, ორი ათასზე მეტი კერძო წერილი და სხვ. მაზარინის ბიბლიოთეკის გახსნის დღეს – 1644 წლის 30 იანვარს, პარიზში თავი მოიყარა ქვეყნის ინტელიგენციამ. სამკითხველო დარბაზი განკუთვნილი



1. გაბრიელ ნოდეს; 2. მაზარინის ბიბლიოთეკა, ნოდეს დარბაზი; 3. მაზარინის ბიბლიოთეკის ექსლიბრისი; 4. გაბრიელ ნოდეს ავტოგრაფი; 5. ჯულიო მაზარინი.

იყო 100 ადამიანზე. მაზარინიმ 30 წლიანი ომის მიმდინარეობის დროს უბრძანა ფრანგ მხედართმთავრებს, წიგნსაცავის გამდიდრებისათვის ეზრუნათ. „თუ ბედის განგებით, წერდა იგი თავის ერთ-ერთ გენერალს გერმანიაში, – შეხვედებით ნაბეჭდი წიგნების, ან ხელნაწერების კოლექციას, გათხოვთ, იყიდოთ და გამოაგზავნოთ ისინი მითითებულ მისამართზე... წიგნები საკუთრების ის სახეობაა, რომელსაც ჯარისკაცები ძალიან ხშირად სამარცხვინოდ ანადგურებენ“... მარშალ ჟებრიანს მაზარინი აცნობდა თავის გეგმას, „საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ“ და სთხოვდა, გადაეგზა-

ენა პარიზში ყველა დატაცებული წიგნი, სანაცვლოდ აღუთქვამდა უხვად დაჯილდოებას... მარშალ გიურენისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თუ თქვენ დაიპყრობთ რომელიმე ქალაქს, ვალდებული ხართ წიგნებისა და ხელნაწერების რეკვიზირება მოახდინოთ. თქვენ იცით, რომ ბიბლიოთეკა ჩემს ვნებათაგან ერთ-ერთი უძლიერესია“... მარშლები ხალისით ეხმაურებოდნენ „უგვირგვინო მეფის“ წერილებს, რადგან ამაში ხედავდნენ მისი ნდობის მოპოვების იოლ გზას. 1644 წლის 23 ივლისის „გამეგ ლე ფრანსი“ მეცნიერთა სამყაროს აუწყებდა, რომ „მისმა უწმინდესობამ თავისი წიგნსაცავის ახალი ნიმუშებით გასამდიდრებლად გააგზავნა ბიბლიოთეკარი გაბრიელ ნოღე საბლვარგარეთ... მის ჩამოსვლამდე ბიბლიოთეკა წყვეტს ფუნქციონირებას...“ ნოღეს ერთი იგალიელი მეგობარი ჩიოდა: „შეიძლება იფიქროთ, რომ ადამიანი კი არაა, ქარბორბალა ანადგურებს ბუკინისგთა დახლებს... ნოღე ყიდულობს განურჩევლად ყველა წიგნს, ხელნაწერს და დახლებს უმაღლესი აცარიელებს...“ ნოღემ „დაიპყრო“ ფლორენცია, რომი, მანტუა, პადუა, ვენეცია და ლივორნოდან მღვით საფრანგეთს გაგზავნა წიგნების უზარმაზარი ოდენობა, რომელმაც „გამეგ ლე ფრანსის“ შეფასებით „მაზარინის ბიბლიოთეკა ორმაგად გაამდიდრა“. 1646-1647 წლებში ნოღემ იმავე მიზნით შვეიცარიაში, ნიდერლანდებსა და ინგლისში იმოგზაურა. 1647 წლის ბოლოსათვის ბიბლიოთეკის ხარჯების საერთო რაოდენობამ 65 ათასი ლივრი შეადგინა. ამ დროისათვის გიუბიოფის სასახლეს რიშელიეს ქუჩის გასწვრივ მიაშენეს დამატებითი ფლიგელი და 40 ათასი გომი უზარმაზარ გალერეასა და წიგნსაცავის 6 ღარბაში განლაგდა. პირველ ღარბაში მოთავსდა ფილოსოფიის, იურისპრუდენციისა და თეოლოგიური კოლექციის დიდი ნაწილი; მეორეში განლაგდა წიგნები ქიმიაში, ასტრონომიაში, ასევე მოთავსდა საუკეთესო ავტორიგეტული სამედიცინო გრაქტაგები; მესამე ღარბაში ბიბლიის გექსგები და მისი განმარტებები მსოფლიოს მრავალ ენაზე. აქვე იყო ყურანი და თალმუდი; მეოთხე ღარბაში ლათინური და აღმოსავლური ხელნაწერების სამფლობელოს წარმოადგენდა; მეხუთეში კანონიკური სამართლის ავტორთა კრებულები იყო მოთავსებული. აქვე მოთავსებული იყო „მსუბუქი ლიგურაგურა“ – ბელეტრისტიკა; მეექვსე ღარბაში ერეტიკულ თხზულებათა უზარმაზარი კოლექცია (6 ათასზე მეტი) იყო მოთავსებული. ნოღემ შეთავაზა საბეიმო ლათინური წარწერა – მიძღვნა „ლუი XIV-ის მეფობის დროს, საფრანგეთის პირველი მინისტრის, რომის ეკლესიის კარდინალის ჯულიო მაზარინის უშუალო მზრუნველობით იხსნება ეს ბიბლიოთეკა, რათა გადაიტყვეს იგი პარიზის სიამაყედ, საფრანგეთის სამკაულად და მეცნიერებების განვითარების სტიმულად მარადქამს“. თავად ნოღე მაზარინის ბიბლიოთეკას „ჩემს უფროს ქალიშვილს“ უწოდებდა.

მაღე საფრანგეთში იგრიალა ფრონდამ. 1649 წლის 13 იანვარს პარიზის პარლამენტმა აჯანყებული ხალხის სახელით ღეკრეტი გამოსცა ღეღაქალაქიღან გაქცეული მაზარინის ქონების შესახებ. ბიბლიოთეკარის ამრით, წიგნსაცავი სორბონის უნივერსიტეტისათვის უნდა გადაეცათ. პარლამენტმა ბიბლიოთეკაზე მზრუნვა გაბრიელ ნოღეს მიანდო.

1651 წლის 5 სექტემბერს მონარქ ლუი XIV-ს 13 წელი შეუსრულდა და რეგენტობას ფორმალურად ბოლო მოეღო. პარიზის პარლამენტმა კარდინალი კანონგარემულ გამოაცხადა და 150 ათასი ლივრი დააწესა იმისათვის, ვინც მაზარინს ცოცხალს, ან მკვდარს ჩაიყვანდა პარიზში. პარლამენტმა ამ თანხის მოსაგროვებლად ბიბლიოთეკის აუქციონზე გაყიდვა განიზრახა... ბიბლიოთეკა მისსავე პატრონის გამანადგურებელ იბრალად უნდა გამოეყენებინათ! საფრანგეთის განათლებულ ადამიანთა ამრით, უფრო უკანონო და ბარბაროსული გადაწყვეტილება საფრანგეთში არასოდეს მიუღიათ. სასოწარკვეთილი ნოღე ცდილობდა წიგნსაცავის გადარჩენას... „ამ დიდი საგანძურის განთავსება ისგორიის ანაღეღბში შევა, კოსტანტინოპოლის ღაცემის მსგავს უბეღურებად...“ „ნუთუ თქვენ დაუშვებთ, რომ ეს ახალი პარნასი, ეს საუცხოო ყვავილი, რომლის

კეთილსურნელება მთელ სამყაროს უფინება, და ჭკნეს თქვენს ხელში?“ მას აუხსნეს, რომ წიგნსაცავის გაყიდვის აცილება მხოლოდ მონარქის პირად განკარგულებას შეეძლო. 1652 წლის 7 იანვარს ოთხი ექსპერტი, რომელთაც პარლამენტისაგან ინსტრუქციები მიიღეს, შევიდა მაზარინის სასახლეში აუქციონის მოსამზადებლად. ნოდემ „ჯალათების გაყოლაზე“ უარი განაცხადა. მაზარინის ერთ-ერთმა აგენტმა პარლამენტს შესთავაზა მიეღო გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის 40 ათას ლივრად ბითუმად შესყიდვის შესახებ, მაგრამ მისი წინადადება აღშფოთებით უარყვეს. აუქციონზე სრული ქაოსი მეფობდა. „მყიდველებმა“ შეაღწიეს წიგნსაცავის დარბაზებში და იტაცებდნენ უნიკალურ ეგზემპლარებს... აუქციონზე წიგნის ქურდებს გზად არანაირი დაბრკოლება არ ეღობებოდათ... აქ მოხვედრილთა უმეტესობა ამგვარი გზით ცდილობდა გახალისებულიყო „წითელქუდიანი გირანის“ დამხობით... 18 იანვარს მაზარინიმ მისწერა ნოდეს: „ისგორია არასოდეს შეუნდობს პარიზის პარლამენტს ამ ბიბლიოთეკის გაყიდვის ბრძანებას, რომელიც გაიცა ერთი მიზნით – მუხანათურად მოეკლათ მისი მფლობელი... ვერასოდეს დავიჯერებ, რომ გოთები ან ვანდალები, შეძლებდნენ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცა პარიზის პარლამენტი“. ნოდეს მწარე კმაყოფილება მოჰგვარა ცნობამ იმის შესახებ, რომ აუქციონმა მთლიანობაში იმის შესამედი თანხაც კი ვერ შეაგროვა, რამდენსაც პარლამენტი ვარაუდობდა.

მხოლოდ 1652 წლის 1 თებერვალს, ლუი XIV-მ თავის გენერალურ პროკურორ ფუკეს უბრძანა ჩარეულიყო და „გადაერჩინა ბიბლიოთეკა, რომელსაც ძვირფასი... კარდინალი მაზარინი უძღვნიდა ფრანგ ხალხს...“ „ჩვენ გვსურს – აცხადებდა მონარქი ბიბლიოთეკის საჯარო გაყიდვიდან ორი კვირის შემდეგ, – წიგნსაცავი სრულად იყოს დაცული, ძვირფასი და მშვენიერი კოლექცია არც დაიყოს, არც გაფუჭდეს...“ ნოდემ თხოვნით მიმართა მაზარინის დაეწყოთ ბიბლიოთეკის აღდგენა. „რაგომ უნდა გაიგანჯონ ადამიანები იმ აღმაშფოთებული მოქმედებების გა-

მო, რაზედაც ისინი არ არიან პასუხისმგებელი?“ – კითხულობდა ნოდე. გარკვეული დროის შემდეგ მაზარინი ბრუნდება სასახლეში და იწყებს ბიბლიოთეკის აღდგენას – პარლამენტარებმა მიიღეს კარდინალის დაპირება: „ხელახლა ვიყიდი ყველა წიგნს, და არ დაგისვამთ არავითარ შემთხვევებს...“ გარკვეული დროის შემდეგ მაზარინის ბიბლიოთეკა ხელახლა იშვა თავისი ძველი ბრწყინვალეებით, მხოლოდ დიდ ბიბლიოთეკარს არ ეწერა მისი კვლავ ხილება, იგი გარდაიცვალა 53 წლის ასაკში 1653 წლის 29 ივლისს პიკარდიის ქალაქ აბვილში, სადაც დაკრძალეს სენ-ჟორჟის სახ. ეკლესიაში. გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე შედგენილ ანდერძში ნოდემ კარდინალ მაზარინის დაუგოვა რამდენიმე უიშვიათესი წიგნი და ხელნაწერი. 1658 წელს პარიზში გამოიცა ნოდეს სსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ის ჩვენი საუკუნის გონებჩღუნგობას კურნავდა“. დიდმა ბიბლიოთეკარმა ანდერძად დაგოვა არა მარტო მსხვილ წიგნსაცავთა მოწყობის პრინციპები (რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას), არამედ მან დაგვიტოვა სიყვარული წიგნებისადმი, განათლებისადმი, სიკეთისადმი. რაც შეეხება კარდინალ მაზარინის, იგი ალბათ, უნდა მივიჩნიოთ დიდი ბიბლიოთეკის – გაბრიელ ნოდეს ეპოქის საკმაოდ ილბლიან ბიბლიოფილად.

ლიგერაგურა

Clarke J.A. Gabriel Naude (1600-1653) Hamden 1970.

Franklin A. Histoire de la bibliotheque Mazarine et du Palais de l'Institut \_ Paris, 1901.

Smith G. Gabriel Naude \_ Library Association record, 1899. V. I.

В. В. Кунин, Библиофилы и библиоманы, М., 1984.



წიგნის იუბილე


გურამ თაყნიაშვილი

# ბუნების დიდი წიგნი პატარებისათვის

135 წელი იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ პირველი გამოცემიდან

**ა**რთული პედაგოგიკის კლასიკოსს ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია „ბუნების კარს“, რომლის პირველი გამოცემა 1868 წელს განხორციელდა. ამ წიგნში ი. გოგებაშვილი დიდი გულმოდგინებით, მხაგერული ოსტატობითა და პედაგოგიური მიდგომით ხაგავს ბუნების სურათებს; წიგნმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბავშვებში გააღვიძა ბუნების შესწავლისადმი ინტერესი. ბუნებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების აღზრდა, ბუნების კანონზომიერებებში გარკვევა შეადგენდა ამ წიგნის ძირითად დანიშნულებასა და ამოცანას; ბუნების თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან ბავშვი თანდათან შედის ბუნების წიაღში, ეცნობა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სურათებს. სისტემატურობა და თანმიმდევრობა, ადვილიდან ძნელზე და მარტივიდან რთულზე გადასვლის დიდაქტიკური პრინციპით აგებული ეს წიგნი წარმოგვიდგება როგორც ბუნების მეცნიერული სარკე, რომელსაც ადვილად სწვდება ბავშვის გონება. როგორც პირველ, ისე მომდევნო გამოცემებში ი. გოგებაშვილი თანდათან ამდიდრებს ბავშვთა ენობრივ ლექსიკას. „ბუნების კარში“ წარმოდგენილი მოთხრობები, ლექსები, სტატიები, იგავ-არაკები და სხვა სახის ფოლკლორული მასალები თანმიმდევრულად განამტკიცებს ბავშვის მნეობრივ-მორალურ თვისებებს; წიგნი იმავე დროს მხარეთმცოდნეობითი დანიშნულებისაცაა; იგი ასრულებს ერთგვარი ეკოლოგიური ანბანის ფუნქციასაც. წიგნი ასწავლის ბავშვს გზის გაგნების ხერხებსა

და საშუალებებს ცოცხალ სამყაროში. ბუნებისადმი გონივრული შრომითი დამოკიდებულება ცოცხალი სამეცყველო ენითაა დახატული, ისეთი ფორმით, როგორც ეს სინამდვილეშია. მხაგერული თხრობა ბუნების სურათების აღწერისა, იმდენად სადა, მიმზიდველი და მარტივია, რომ ბავშვი გონების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე ახერხებს შეისწავლოს წარმოდგენილი მასალა; ისინი ხომ მის გარემომცველ სამყაროს ხაგავენ, იმ სამყაროს, სადაც ბავშვი გრიალებს, იზრდება, აკვირდება და ვითარდება გონებრივად. „ბუნების კარში“ ი. გოგებაშვილმა დედაენის მეცყველი ფორმით დახატა ქართველი გლეხკაცის ნივთიერი არსებობის ძირითადი საფუძველი – სოფლის მეურნეობა. ადამიანებს შორის შრომითი ურთიერთობა ნაჩვენებია ბუნებისადმი ადამიანის გონივრული დამოკიდებულების ფონზე. ი. გოგებაშვილი ასეთი დამოკიდებულების ცოცხალი სურათების შექმნით ნათლად ხაგავს მიწის აღორძინების გზებს, ბუნების გარდაქმნის აუცილებლობას ისეთი ხერხით, რომელიც ცოცხალ შთაბეჭდილებად რჩება მოზარდის გონებაში. პაგარების თვალწინ იშლება სამშობლო ქვეყნის ბუნება, მისი მთა და ბარი, მიწა და წყალი, ჰავა, ნიადაგი, ნაირფეროვანი მოსავალი, მცხოვრებნი თავიანთი დამოკიდებულებით მიწისადმი. „ბუნების კარი“ საინტერესოა მასალის განლაგების თვალსაზრისით. ბუნების სურათების მეცყველი, ცოცხალი თხრობის ფონს მოსდევს საქართველოს ისტორიის სურათები, მარტივი ენით გადმოცემული და ადვილად დასამახსოვრებელი





ლია. „ბუნების კარს“ საფუძვლად უდევს საგნებისა და მოვლენების მთლიანობაში განხილვის პრინციპი, შეფასების იდეა. ეს იდეა რეალურია და საგნობრივი სწორედ ქართულ გარემოში, იმ სამყაროში, სადაც ბავშვი იზრდება და ბუნებასთან ურთიერთობაში ავარჯიშებს გონებას.

კითხულობთ „ბუნების კარს“ და ბავშვის თვალთ შეჰყურებთ იმ სამყაროს, რომელსაც ქართული ბუნება, საქართველოს წარსული და აწმყო ავსებს. რეალური ქართული გარემო ასეთი მეტყველი ფერებით დახატული, ბავშვში აღძრავს ინტერესს – დაიცვან და ამრავლონ ბუნების სიკეთე, გაუფრთხილდნენ მას, დაეუფლონ მისი გამოყენების ხელოვნებას. წიგნში ნათლად იგრძნობა ხალხისა და ბუნების სიყვარული, ეს გრძნობა ორიგინალური და მასშტაბურია და იმდენად ხატოვნად და სადად არის გადმოცემული, რომ პატარა მკითხველი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე აღიქვამს წაკითხულს. წიგნი ხალხისათა და ინტერესით იკითხება, ხოლო წაკითხული, როგორც ცოცხალი შთაბეჭდილება დიდხანს რჩება მოზარდის გონებაში.

ბუნება შეურყეველი კანონებით ნაშენი სიკეთეა, რომელიც გულს გადაუსხნის მხოლოდ ამ კანონების კარგ მცოდნეს. ამ პრინციპს ი. გოგებაშვილი თანამიმდევრულად იცავს „ბუნების კარში“ და სწავლული ბუნებისმეტყველის თვალთ ალაგებს მასალას, ამასთან მასალის წყობა ლოგიკურია და მარტივი, მაგრამ ეს სიმარტივე არ არის უბრალო, მექანიკური. აქ გონების თვალთ იგრძნობა ავტორის პედაგოგიური აზლი, ბუნების შესწავლის საგანმანათლებლო მისია.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ ბავშვს აქვს ცოცხალი წარმოსახვის ნიჭი, მისი ფანტაზია ემოციურია და მეტყველი.

ი. გოგებაშვილი „ბუნების კარში“ მოხერხებულად ავითარებს ბავშვებში ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების იდეას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოზარდში კეთილშობილური თვისებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის განკუთვნილი საბუნებისმეტყველო კურსი ორგანულად დაკავშირებული საქართველოს გეოგრაფიის მოკლე მიმოხილვასთან. ეს ნაწილი წიგნში ორი ასპექტითაა წარმოდგენილი – ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და ხალხის შრომითი, ეკონომიკური საქმიანობა.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ პირველი გამოცემა საქართველოს სახალხო სკოლებში ბუნების შესწავლის რაციონალურ ნიადაგზე დაფუძნების პირველი წარმატებული ცდა იყო. ამ წიგნში ავტორმა ორგანულად შეაღწა ერთიმეორეს გრძნობადი, ცნობადი, შრომითი და ესთეტიკური საწყისები. ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ ბუნებასთან ადამიანთა მარადიული დამოკიდებულების აღზრდა მკვიდრად უნდა დაემყაროს სათანადოდ შერჩეულ საყმაწვილო მასალის ემოციურად მიწოდებას. ეს ამოცანა ი. გოგებაშვილმა წარმატებით გადაწყვიტა სახალხო სკოლის საერთო ამოცანების გათვალისწინებით.

ბუნების პირველადი შესწავლის საქმეში „ბუნების კარმა“ სწორედ რომ დიდი მისია შეასრულა. ეს იყო პირველი საკლასო საკითხავი წიგნი ბუნებისმეტყველებაში; ამ კუთხით წიგნი ქართული პედაგოგიური აზროვნების ერთგვარ მიღწევად იქნა აღიარებული; წიგნი ორგანულად ემყარებოდა მოწინავე პედაგოგიურ და დიდაქტიკურ დებულებებს.

„ბუნების კარი“ ბრძოლით იკაფავდა გზას სახალხო სკოლისაკენ. ქართველი პედაგოგები და მოწინავე ინტელიგენცია დადებითად გამოეხმაურა წიგნის გამოცემას. პირველი რეცენზია გამოქვეყნდა „დროებაში“ დაბეჭდა ცნობილმა სამოგადლო მოღვაწემ ნ. ნიკოლაძემ. ჟურნალმა „მნათობმა“ დაბეჭდა ვრცელი რეცენზია; „ბუნების კარი“ 1874 წელს აკრძალეს სასულიერო სასწავლებლებში, როგორც 1876 წლის „დროება“ იუწყებოდა, აკრძალვის მიზეზი გახდა ავტორის პოლიტიკური შეხედულებები.

„ბუნების კარის“ მე-4 გამოცემის (1882) გადაქვეყნებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია დიმიტრი ყიფიანს. მეხუთე გამოცემა დაიბეჭდა 1885 წელს. ეს წიგნი პროფ. ა. ცაგარელის დასკვნის საფუძველზე მოწონებული იქნა რუსეთის განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის მიერ.

პატარის თვალთ წაკითხულ „ბუნების კარში“ ნათლად იგრძნობა ცოცხალი კავშირი ბუნებას, ცხოველებსა და სწავლებას შორის. „ბუნების კარს“ დღესაც ხალხით კითხულობს ქართველი ბავშვი და არა მარტო ბავშვი. წიგნს ადვილად შევყავართ ქართულ ბუნებაში, ქართველი კაცის წარსულსა და თანამედროვეობაში; „ბუნების კარი“ ყოველი ქართველის საოჯახო ბიბლიოთეკის მშვენიერია. საუკუნის მიღმა შექმნილი ეს წიგნი დღესაც ცოცხალი, ამეგყველებული ფერებით წარმოგვიდგენს ქართულ გარემოს, რომელსაც ასეთი ცნობისმოყვარეობით შესცქერის ჩვენი მომავალი თაობა.

ნინო მიშელაძე

# შეხვედრა პოპტთან



მიმდინარე წლის საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულმა აშკარად ხელი შეუწყო ბიბლიოთეკების საზოგადოებასთან თუ შემოქმედ მკითხველებთან ურთიერთობის გაღრმავებას, იმ ლექცია-დისკუსიებმა, შეხვედრებმა საზოგადო მოღვაწეებთან, ლიგერატურულმა საღამოებმა თუ სხვა

ამდაგვარმა შინაარსიანმა ღონისძიებებმა, რაც გამსჭვალული იყო ბიბლიოთეკების ახლებური დამოკიდებულებით, როგორც საკუთარი საინფორმაციო წყაროს მიმართ, ასევე მკითხველი საზოგადოების მიმართაც, მართლაც და შექმნა პრეცედენტი – ბიბლიოთეკისაკენ მკითხველი მიახედა იმედიანი თვალთ და იმის რწმენით, რომ ბიბლიოთეკა არის ერთერთი როგორც სამეცნიერო, ასევე კულტურული დაწესებულება, სადაც თავისუფლად შეიძლება შენთვის სასურველი ინფორმაციის მიღებაც და საკუთარი ინფორმაციის რეალიზაციაც. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქალქის მე-12 ბიბლიოთეკაში (გამგე ნინო მიშელაძე) შემოქმედი მკითხველისა და ბიბლიოთეკის ურთიერთობის მეიმი, რომელსაც იქაურ მკითხველთა დიდი რაოდენობა დაესწრო და რომელმაც ბიბლიოთეკის როლი მკითხველის სულიერ ამაღლებაში კიდევ უფრო წარმოაჩინა.

„თუ ასე გურფა იყავი“... ასე ერქვა იმ ღონისძიებას, სადაც ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო თავისივე შემოქმედ მკითხველს, ახალგაზრდა პოეტსა და ლიგერატორს თამარ ბუბუვილს.



ბიბლიოთეკის მიზანი – თუ როგორ წარმოაჩინოს თითოეული მკითხველის ინტელექტუალური პოტენციალი და როგორ იმოქმედოს ამ პოტენციალით მკითხველზე, განხორციელდა.

საზოგადოების ყურადღება მიიპყრო გამოფენამ სათაურით – „დაილოცოს შენი ეგ ხალასი ნიჭი“, სადაც გაწყობილი იყო თამარის ლექსებით, მოთხრობებით, ჩანახატებით, თარგმანებით დამშვენებული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებისას მიღებული დიპლომები, სიგელები.

და ალიფლივდა ბიბლიოთეკის დარბაზში მხატვრული წარმოსახვით მდიდარი სტროფები:

**„მეცის მახლობლად თეთრი ღრუბელი  
გაცოცხლდა  
და დედამიწას ცივი ფანგელი ათოვდა,  
გუშინ ჩამოწვა ნისლი, თვალები და კოცნა,  
გარდამავლობის ჩრდილში სიჩუმე  
გაცოფდა“...**

პოეტი-მგრძობიარე სული დაფრინავს ყველგან და თან ახლავს დროის გარდასახვის, რომანტიკული განცდა:

**„თოვლია,  
მაფხულმა დაგოვა თოვლია,  
სევდაა,**

ძვალ-რბილში ცინვა და სუსხია,  
სუსგია ოცნება...“

ლამაზი და მხოლოდ მისეულია სგროფები:  
„სეველიან ხელეებზე ცრემლები იპოვა  
ფერიამ...“

დარღია,  
სიბრტყეზე გალღებად დადიან...“

როგორც თითოეულ ჩვენგანში და მით უფრო  
შემოქმედში, თამარის სულიერებაშიც ღრმად და  
სათუთად არის შენახული სამშობლოს წა-  
რსული:

„ღმერთო, უფალო, გვადიდგორე და  
გვათამარე,  
ჩვენს ბედკრულ მამულს ნუ მოაკლებ  
გმირებს ამგვარებს...“

პოეტი ევედრება ღმერთის მიწას, ეამაყება  
წარსული და იმედით მოუხმობს მსგავსი ღმდე-  
ბით ამაღლებულ და ბედნიერ საქართველოს:

„ოი, ღმერთო, გიგების ჯარად ქცეული  
მიწავ,  
ოი, მთიებო, ბუმბერაზნო, ცამდის  
აწვდილნო,  
ოი, ბრძოლის ველო, წინაპართა სისხლით  
მორწყულო,  
დაე, აღორძინდეს თავისუფალი ღიდი  
საქართველო“.

დაუფიწყარია პაგრიოტი ქალის გულში წმი-  
ნდა გიორგობის თვის 14 ნოემბერი:

„თოთხმეტი ნოემბერი, თოთხმეტი  
ნოემბერი,  
ისმის გამის ხმა, გუგუნი ერის,  
ნატანჯი, ნაწამები, ბედკრული  
საქართველო  
შინდისფერ ღრომას ელის.  
\* \* \*

აღსდექ საქართველო, აღსდექ  
საქართველო!

წელში გაიმართე მხნედ,  
ცხრა კლიტულს ვამტრევთ, ჩვენს მიწას  
ვართმევთ  
თხუთმეტთავიან ღვეს...“

სამწუხარო და სავალალოა ქართლის ბედი  
ღვესაც, სიღარიბეს ვინ დაეძებს, არ არის სი-

მშიდე, შემოქმედის შემოთეული პოეტური  
თვალთ გამძაფრებით აღიქვამს ყოველივეს:

„ერთხმად შრიალებენ მწვანე ხენი,  
ლეკვები ყმუიან საალგეთოს,  
ცრემლად დაიღვარენ ეს ღრუბლებიც,  
ერთურთს ნუ დახოცავთ ქართველებო!...“

და ასე, გასუსულ დარბაზში მხოლოდ ფიქრი  
აიშალა, ფიქრი სამშობლოზე, ფიქრი მომავა-  
ლზე...

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსბ-ს მეთოდი-  
სტი ნახული გოგატიშვილი, ბიბლიოთეკარები:  
თინა ჩაგანავა, მაია გონგაძე, ირინა ბერიშვილი,  
ანგელინა შამუგია. კულტურის სამინისტროს წა-  
რმომადგენელი მარინე მოღებაძე, საზოგადო-  
ება „სამგორის“ თავმჯდომარე გულიკო ბუმბაძე  
და ქ. სუხიგაშვილი. საღამო მიჰყავდა ბიბლი-  
ოთეკის გამგეს ქ-ნ ნინო მიშელაძეს. ღმდეებთან  
ერთად დარბაზში იყვნენ და თავიანთი ღველა-  
მაგრობით თავს იწონებდნენ პატარა მკითხვე-  
ლები: გიორგი და მარი ღემონჯავეები, მარიაკა  
ღანელია, აჩი გეგელიძე, მარია მმეტრეველი, სა-  
ლომე სამნიშვილი, აკაკი ღანელია. ამ უკანა-  
სკენელმა საკუთარი ღვექსებიც კი წაუკითხა პო-  
ეტს.

ქ-ნმა მარინე მოღებაძემ საჩუქარი (წიგნები)  
გაღასცა როგორც პოეტს, ასევე ბიბლიოთეკა-  
საც.

„აღსდექ საქართველო“ – თამარის ამ ღვე-  
ქსზე დაწერილი სიმღერის გუგუნით დამთავრდა  
ეს მშვენიერი საღამო.



გუმრუდ გოდერძიშვილი

## ნოდარ დუმბაძის ხსოვნის საღაშო

**მ**ს დღე დასამახსოვრებელია არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულების (კოლონიის) აღსაზრდელებისათვის, როდესაც მათ სგუმრად ეწვივნენ მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლები, – მეთოდური განყოფილების გამგე გუმრუდ გოდერძიშვილი, აბონემენგის განყოფილების გამგე ნელი თავდიშვილი და ბიბლიოთეკარი ცირა ქვლივიძე.

ორი წლის წინ დაიწყო აღნიშნული კოლონიის ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კოლეგიალური ურთიერთობა. ქალბატონმა ნელი თავდიშვილმა ზემოაღნიშნული კოლონიის ბიბლიოთეკის გამგეს მზია ომანიძეს შესთავაზა კოორდინაციული თანამშრომლობა და რამდენიმე ათეული წიგნიც გადასცა საჩუქრად მის ბიბლიოთეკას.

კოლონიის ბიბლიოთეკის გამგე მზია ომანიძე სპეციალობით ბიბლიოთეკათმცოდნეა და დამთავრებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, დიდი ენთუზიაზმით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

სგუმრებს გულთბილად შეხვდნენ კოლონიის ღირექცორი, – ბაკონი გიორგი ასათიანი, დაცვის თანამშრომელი არჩილ ბერიძე, იქ მომსახურე

პერსონალი. სგუმრები გაეცვენენ აღსაზრდელების საყოფაცხოვრებო პირობებს, დაათვალიერეს ლამაზი გამონებით და დეკორატიული მცენარეებით მოწყობილი ეზო, სპორტული მოედანი აუზით, დასასვენებელი ხეივანი, სადაც ყველაფერი სილამაზის და სისუფთავის გარემოს ქმნის.

ბიბლიოთეკა მოთავსებულია კოლონიის ფეშენებლური შენობის მეორე სართულზე, ნათელი მაღალჭერიან ოთახში, რომელიც ახალი ავე-

ჯით, წიგნის თაროებით, საგამოფენო ფარებით და სხვადასხვა ინვენტარითაა უზრუნველყოფილი. დიდი ხანი არ არის რაც ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, მაგრამ იგი უკვე ითვლის 1360 ეგზემპლიარ წიგნს. აღსაზრდელ მკითხველთა რაოდენობა 20-ს ითვლის, მაგრამ ამ ბიბლიოთეკით სარგებლობენ კოლონიაში მოქმედი სკოლის პედაგოგები, აღმზრდელები, იქ მომუშავე პერსონალი. ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს 15 დასახელების სხვადასხვა გაზეთი და ჟურნალი. აქვეა სკოლაც, სადაც სწავლობენ აღსაზრდელები. თვალსაჩინოებითი გაფორმებით გამოირჩევა თვითოეული სა-



კლასო ოთახი, საგნობრივი კაბინეტები, ბიოლოგიის, ფიზიკა-მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის; გამოდის კედლის გაზეთი „მადლი“, – რელიგიურ თემაზე, აგრეთვე საგნობრივი ბიულეტენები, – „ამოცანები ფიზიკაში“,



„ელემენტთა კამათი“. საკლასო ოთახებსა და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ქართველ კლასიკოსთა პორტრეტები, მათი გამონათქვამები და აფორიზმები.

მირზა გელოვანის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მისიას წარმოადგენდა კოლონიის აღსაზრდელებთან შეხვედრა და მათთვის მწერალ ნოდარ ღუმბაძის დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით ხსოვნის საღამოს მოწყობა.

ახალგაზრდებთან შეხვედრა და ნოდარ ღუმბაძის შემოქმედების შესახებ საუბარი შედგა დიდ, ნათელ დარბაზში. მწერლის ცხოვრებისა და ნაწარმოებების – „თეთრი ბაირალებისა“ და „კუკარაჩას“ შესახებ ისაუბრა ზუმრუდ გოდერძიშვილმა. მან ხაზი გაუსვა ამ ნაწარმოებების აღმზრდელობით, დიდაქტიკურ მიმართულებას, დამნაშავე პერსონაჟთა ხასიათებს, პაგიმართა ცხოვრებისეულ შეცდომების მგკივნეულ მხარეს, მწერლის პოზიციას – და დასასრულს აღსაზრდელებს მოუწოლა ეკითხათ წიგნები, დასწაფებოდნენ მხატვრულ ლიგერაგურას.

ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებებზე ისაუბრეს აგრეთვე ნელი თავდიშვილმა და მზია ომანიძემ, აღსაზრდელებმა ბურა ჩიკაშუამ და ჯემალ ღ-

მბაძემ. საუბარმა ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებების პერსონაჟთა შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელთა შორის. იყო სხვადასხვა აზრის გამოთქმის და პარადოქსული შეკითხვების შემთხვევებიც, მაგრამ ეს იყო გულახდილი საუბარი. გამოითქვა სურვილი ხშირად განმეორდეს ასეთი ღონისძიებები, საუბრები აღმზრდისა და ლიგერაგურის შესახებ. დაცვის თანამშრომელმა მამუკა სიხარულიძემ მაღლობა გადაუხადა სტუმრებს საინტერესო საუბრისა და იმ მცირედი საჩუქრისათვის, რითაც სტუმრები იქაურ აღსაზრდელებს გაუმასპინძლდნენ.

აღსაზრდელებმა სთხოვეს სტუმრებს ხშირად სწვეოდნენ მათ ახალი წიგნებით, განსაკუთრებით კი ბლაპრებით.

აცილებდნენ პაგარა პაგიმრები სტუმრებს და თან იქვე ეზოში მოკრეფილ მინდვრის ყვავილებს სთავაზობდნენ ნაღვლიანი თავაზიანობით, მაღლიერების ნიშნად.

ის დღე მაინც მუდმივი გკივილის დღედ აღიქმებოდა როგორც მასპინძელთათვის, ისე იქ მისული სტუმრების შთაბეჭდილებაში.

– დეიდა, ხომ კიდეე მოხვალთ?! – ეს იყო ბოლო სიგყვები იზოლატორში მყოფ ბინადა-რთაგან.





ნანა ფირცხალავა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

## გამომცემლობა „შპრინგერის“ გამოფენა

**ს**აქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 24 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გერმანული გამომცემლობა „შპრინგერის“ სამეცნიერო ლიგერატურის გამოფენა.

გამოფენა გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ თევზაძემ. სტუმრებს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი აკადემიკოსი მალხაზ ბაალიშვილი.



„შპრინგერი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობაა. იგი დააარსა იულიუს შპრინგერი ბერლინში 1842 წელს. გამომცემლობის ემბლემაა ჭადრაკის ფიგურა „მხედარი“. ეს ემბლემა

გამომცემლობას იულიუს შპრინგერის შვილებმა ფრედერიკმა და ფრანცმა შეუქმნეს 1880 წელს მამის პატივსაცემად, რაკი მას ძალიან უყვარდა ჭადრაკი და ამასთანავე თავიანთი გვარის უკვდავსაყოფადაც – გერმანული გვარსიგყვა „შპრინგერის“ ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა სწორედ „საჭადრაკო მხედარია“.

1924 წელს „შპრინგერის“ ფილიალი გაიხსნა ვენაში, 1964 წელს – ნიუ-იორკში, სადაც ამ გამომცემლობის ლიგერატურა ქვეყნდება ინგლისურ ენაზე, 1983 წელს იაპონიაში. აქ „შპრინგერის“ გამოცემები გამოდის იაპონურ და ინგლისურ ენებზე.

აღსანიშნავია, რომ 1912 წელს „შპრინგერმა“

გამოაქვეყნა მსოფლიოში პირველი სამედიცინო რეფერატული ჟურნალი.

გამომცემლობას თავისი წარმომადგენლობები ჰყავს მსოფლიოს მრავალ ქალაქში.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში „შპრინგერმა“ გამოფენები მოაწყო მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ნოვოსიბირსკში, ტაშკენტში, გალინში, რიგაში, ვილნიუსში, ერევანში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში.

ქართველ მეცნიერეთათვის კარგადაა ცნობილი ამ გამომცემლობის ბეჭდვითი პროდუქცია. პირველად „შპრინგერის“ სამეცნიერო ლიგერატურის გამოფენა თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო 1978 წელს, მეორედ – 1984 წელს.

1984 წელს გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 1500-მდე ბეჭდვითი ერთეული (წიგნები, ჟურნალები, დარგობრივი კატალოგები, სარეკლამო ფურცლები) ცოდნის შემდეგი დარგებიდან: მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, გექნიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლეღამიწის შემსწავლელი მეცნიერებანი, ინფორმატიკა, ეკონომიკა, სამართალი და ფილოსოფია. გამოფენის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული იყვნენ გამომცემლობა „შპრინგერის“ გენერალური დირექტორის თანაშემწე ჰორსტ დრეშერი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბიბლიოთეკის დირექტორი ა. ზახაროვი.

გამოფენამ ქართველ მეცნიერთა დიდი ინტე-

რესი გამოიწვია. ბიბლიოთეკის ფოტოლაბორატორიაში მეცნიერთათვის უსასყიდლოდ დამზადდა სტატიების ქსეროასლები, მიღებულ იქნა მკითხველთა მრავალი შეკვეთა. გამოფენის მუშაობა შექდებოდა პრესის, რადიოს, ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

1986 წელს ჩვენს ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოცემლობა „შპრინგერის“ გამოფენა-სემინარი მათემატიკის დარგში, რამაც მეცნიერთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მიზანი იყო – გამოცემლობა გასცნობოდა ქართველ მათემატიკოსთა შრომებს და გამოეცა ისინი გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

გერმანულ გამოცემლობას და ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობა ამჟამადაც გრძელდება, რისი დასტურიცაა დღევანდელი გამოფენა. „შპრინგერმა“ ამჟამად ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამოფინა 100 ათასამდე დოლარის ღირებულების 1350 დასახელების წიგნი მედიცინაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ქიმიაში, დელამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, ბიოლოგიაში, ეკონომიკაში, გექნიკაში, სამართალში, ინფორმაციკაში...


აღსანიშნავია, რომ როგორც წარსულში, ამჟამადაც გამოფენაზე წარმოდგენილი მთელი სამეცნიერო ლიგერატურა ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში რჩება.

გამოფენა ამჯერადაც ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. მათთვის ბიბლიოთეკაშივე კეთდება სტატიების ქსეროასლები.

გამოფენის მოწყობაში განსაკუთრებული და მსახურება მიუძღვის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელს, „გეორგიკის“ განყოფილების გამგეს – თინათინ იმნაიშვილს, რომელმაც ამ გამოფენის მოწყობა ჯ. სოროსის გრანტის მეშვეობით შეძლო – 20% ლიგერატურის ღირებულისა სოროსის ფონდმა გადაიხადა, დანარჩენი 80% – გამოცემლობის საჩუქარია.

დიდი მადლიერება მიხდა გამოვხატო „ღია საზოგადოება – საქართველოს“ იმჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორის ბატონ მისიელ ჩაჩხუნაშვილის მიმართ, რომელმაც დიდი როლი ითამაში ამ გამოფენის მოწყობის ორგანიზებაში.

უღრმესი მადლობა – გამოცემლობა „შპრი-



ნგერს“, მის დირექტორატს,

ქართულ სამეცნიერო საზოგადოებრიობას მიხდა შევასხნო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი დღეისათვის სამ მილიონ ნახევარს აღემატება, სწორედ უცხოური სამეცნიერო ლიგერატურითაა ძალზე მდიდარი. ის დღეისათვის 620 ათას ბეჭდვით ერთეულს აღწევს და უნიკალურია თავისი სამეცნიერო ღირებულებით. ეს ფონდი ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა, იმ დროიდან, როცა ბიბლიოთეკას კავშირი ჰქონდა მსოფლიოს ათასზე მეტ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან, უნივერსიტეტთან და ბიბლიოთეკასთან. მართალია, ბოლო ათწლეულში ეს კავშირები თითქმის შეწყდა, მაგრამ ჩვენს ბიბლიოთეკაში მოწყობილი „შპრინგერის“ სამეცნიერო ლიგერატურის ახალი გამოფენა იმედს აღგვიძრავს, რომ ეს გაწყვეტილი კავშირები კვლავ აღსდგება და ქართველი მეცნიერების ეს კერა უახლოეს მომავალში კვლავ გამდიდრდება როგორც სამამულო, ისე უცხოური ლიგერატურით და შესძლებს იმ მისიის შესრულებას, რომელიც მას ქვეყნის წინაშე აკისრია.



## IFLA – ბერლინი 2003: ლაპარაკობენ კონგრესის მონაწილენი

თინა ჯაჭვაძე

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო  
პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი



ფელს ბერლინიში ჩატარდა მორიგი 69-ე საერთაშორისო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო შეკრება, რომლის დევიზიც გახლდათ: „ბიბლიოთეკა როგორც საწყისი: მედიები-ინფორმაცია-კულტურა“.



IFLA 1928 წელს დაარსდა. მისი კონფერენციები სხვადასხვა ქვეყნებში გარდებოდა და მხოლოდ 1956 წელს ჩატარდა პირველად გერმანიაში, კერძოდ კი – მიუნხენში. გუსტავ ჰოფმანის ხელმძღვანელობით. მაშინ მონაწილეთა რიცხვი მხოლოდ 350 კაცს შეადგენდა. მეორედ გერმანიას 1968 წელს მოუწია IFLA-ს კონგრესის მასპინძლობა ფრანკფურტში, მესამედ – 1981 წელს ლაიპციგში, მეოთხედ – 1983 წელს მიუნხენში. ამ წელს მონაწილეთა რიცხვმა უკვე 1500-ს მიაღწია.

და აი, 2003 წელი – კვლავ გერმანია, კერძოდ კი – ბერლინი. დაახლოებით 130 ქვეყნიდან მოიყარეს თავი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სფეროს წარმამადგენლებმა და მონაწილეთა რიცხვმა ამჯერად 5000 კაცს გადააჭარბა. ახლადგაერთიანებულმა გერმანიამ თითქმის მთელი მსოფლიო გააერთიანა. „იმედი მაქვს, რომ ეს საბიბლიოთეკო შეკრება შეგაერთებთ როგორც მეგობრული თვალსაზრისით, ასევე სპეციალობითაც“ – მიმართა მონაწილეებს კონგრესისი პრეზიდენტმა, ქ-მა ქრისტინ დეშამპმა გახსნის ცერემონიაზე.

მართლაც, სემინარებმა დაგვანახა, როგორ იყრიდა ერთად თავს ერთი მოსაზრების მქონე ადამიანები. IFLA-ს განყოფილებები და სექციები ერთი საერთო თემით დაინტერესებული პირების შეხვედრის საშუალებას იძლეოდა. მაგ.: ეროვნული ბიბლიოთეკებით დაინტერესებულნი, საბავშვო ბიბლიოთეკებით, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებით, ბიბლიოთეკის

ისტორიით და ა.შ. იყო ამრთა გაცვლა-გამოცვლა, საუბრობდნენ პრობლემებზე და ისახებოდა სამომავლო გეგმები.

IFLA-ს მუშაობის მთელმა კვირამ დაგვანახა, რომ ბიბლიოთეკებმა უნდა დააგროვონ ინფორმაცია ყველა სფეროში და შემდეგ ისინი გასცენ მოთხოვნილებისამებრ. ინფორმაცია არ არის მარტო გექნიკური გერმინი. იგი ჩვენს ამროვნებაში მარტივად არსებობდა, მაგრამ მან დღესდღეობით ფართო მნიშვნელობა შეიძინა. ინფორმაციის გაცვლაზე დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნაა და ვინაიდან ბიბლიოთეკები ამას ისეთი გეშპით ვერ ახერხებდნენ, საქმეში ჩაერთო ინფორმაცია და სწორედ ეს ელექტრონული ინფორმაციის დაგროვების და გაცემის საქმე დღეს თავის თავზე აიღო 21-ე საუკუნის ბიბლიოთეკამ, მაგრამ მეუიგყოლი ბიბლიოთეკა – სამეცნიერეო-საინფორმაციო-ცენტრმა. მეცნიერების განვითარების ყველა სფეროში ინფორმაციის საცავეები ბიბლიოთეკებში მოიპოვება და ჩვენს ელექტრონულ საუკუნეში ინფორმაციის მოძიების სისტემასაც ბიბლიოთეკამ მიაგნო.

მსგავსი შეხვედრები გვიჩვენებენ, რომ ინფორმაციის მიღებისა და გაცემის მედიაციორები ბიბლიოთეკები არიან და შესაბამისად მაღალკვალიფიციური ბიბლიოთეკარები, რომლებიც შესძლებენ მოპოვებული ინფორმაციის ინტელექტუალურ გაცემას.

მე მაღლობა მინდა გადავუხადო ჩემს გერმანულ კოლეგებს, ვინც მასპინძლობა გამიწია და იბრუნა ჩემზე, რათა მონაწილეობა მიმელო ამ დიდ ფორუმში.





მზია რაზმაძე

თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე,  
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი



საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და დაწესებულებათა საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) მიმდინარე წლის ბერლინის კონფერენციის მუშაობაში პირველად ვმონაწილეობდი და ამდენად ეს ფაქტი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო.

საქართველოდან კონფერენციის ხუთი მონაწილიდან ოთხი საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი იყო, რომელთაგან სამი დააფინანსა თბილისის გოეთეს ინსტიტუტმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუხდით თბილისის გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და განსაკუთრებით ამ ინსტიტუტის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ სიმონე ბერგრამს.

პირადად ჩემთვის IFLA-ს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა ორმაგად ეფექტური გამოდგა: პირველი – პროფესიული თვალსაზრისით, მეორე – გერმანული ენის სრულყოფილად დაუფლების კუთხით (ბერლინის გოეთეს ინსტიტუტში გავიარე გერმანული ენის შესწავლის ოთხკვირიანი ინტენსიური კურსი).

კონფერენციის მსვლელობისას და მისი დამთავრების შემდეგ მქონდა საქმიანი შეხვედრები საბიბლიოთეკო დარგის ცნობილ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან. გერმანელი კოლეგებიდან გამოვყოფდი შეხვედრას თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორთან პროფესორ ურლიხ ნაუმანთან და ამავე ბიბლიოთეკის ALEPH-ის ადმინისტრატორთან jiri Kende-სთან. შეხვედრისას საუბარი შეეხებოდა საბიბლიოთეკო პროცესების განვითარებას გერმანიასა და საქართველოში. გამოითქვა მოსაზრება, სპეციალისტთა დელეგაციების გაცვლის აუცილებლობის შესახებ;

ბერლინშიც ყოფნისას საფუძვლიანად გავეცანი საუნივერსიტეტო და საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობას, მათ სტრუქტურას, მენეჯმენტს, კადრების კვალიფიკაციას და ა.შ.

ნაყოფიერი იყო ქალბატონ და ბატონ პლასმანებთან შეხვედრა. პროფესორმა ენგელბერდტ პლასმანმა მიგვიწვია ჰუმბოლტის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კათედრაზე, სადაც საბიბლიოთეკო დარგის რამდენიმე სტუდენტს შევხვდით და გავესაუბრეთ.

სხვა შეხვედრებიდან შთაბეჭდავი იყო რუსეთის, უკრაინის, ლიგვის, ყირგიზეთის, სომხეთის, ფინეთის საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები.

მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა პროფესორ მარგარიტა დვორკინასთან (რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა), რომელმაც ოფიციალურად მიმიწვია საერთაშორისო კონფერენციაზე 2003 წლის 21-23 ოქტომბერს.

ერთობლივი პროექტები დაიგეგმა ლიგველ კოლეგებთან შეხვედრების დროს. პროექტების თემატიკა განისაზღვრა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სემინარების ჩატარების თვალსაზრისით.

ასევე საინტერესო იყო უკრაინელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება საბიბლიოთეკო მენეჯმენტისა და ინოვაციური პროცესების განვითარების კუთხით.

IFLA-ს კონფერენციაზე მიღებული შთაბეჭდილებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე დავიწყეთ მუშაობა მიღებული გამოცდილებების რეალიზაციაზე საქართველოს პირობებში, კერძოდ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ შექმნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საჯარო ბიბლიოთეკებთან მეგობართა სამოგადოებების ჩამოყალიბების ბელშეწყობას IFLA-სა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების გამოყენებით.



## დავით სარაჯიშვილის დღეები საქართველოში

2003 წლის შემოდგომაზე ქართველმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი ქველმოქმედისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155-ე წელი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მისი სახელის უკვდავსაყოფად დაწესდა „დავით სარაჯიშვილის დღე“, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება 10-11 ნოემბერს.

რამდენადაც დიდი ღვაწლი და ამაგი დავით სარაჯიშვილისა, იმდენად შეუნელებელია თანამედროვეთა ინტერესი მისი პიროვნებისადმი, ადამიანისადმი, რომელმაც თავისი აშკარა თუ ფარული ქველმოქმედებით სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თითოეული ქართველისა, ძეგლი დაიდგა საკუთარი ქმედებით, შესაშური პატივითა და რაც მთავარია, სასიკეთო საქმეების კეთებით.

დავით სარაჯიშვილის ამაგს და ღვაწლს, მის მნიშვნელობას ერის ეკონომიკური თუ სულიერი აღმავლობისაკენ, ნათლად ხედავდნენ და აფასებდნენ მისი თანამედროვენი: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნოე ჟორდანიას, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. „სახალხო გაზეთი“ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „დავით სარაჯიშვილი შრომობდა და აწვითარებდა თავის საქმეს ქართველებისათვის უჩვეუ სისტემათა დაქინებით, სარაჯიშვილი პიონერი იყო ქართული სამოქალაქო ცხოვრების განვითარებისა“ (1911წ.). დავით სარაჯიშვილი გენით, სისხლით და ხორციით ქართველი იყო, ხოლო პრაქტიკულ ჭკუით, საქმის ცოდნითა და სიმდიდრის მოხმარებით – ევროპელი.

დავით სარაჯიშვილის საიუბილეო დღეებში წინასწარმედგენილი პროგრამით გაიმართა მრავალი ღონისძიება: სპორტული, კულტურული,

სამეცნიერო. ჩაგარდა სპეციალური კონფერენცია, მოეწყო მისი ღვაწლისა და ცხოვრების ამსახველი მასალების გამოფენა, გამოიცა სპეციალური გაზეთი „თანადგომა“. საიუბილეო დღეებში გამოიცა გიზო ნიშნიანიძის მონოგრაფია „დავით სარაჯიშვილი“, გამოვიდა ბევრი საარქივო თუ სამუზეუმო მასალა, რომელთა ნახვამ, დათვალიერებამ თუ გაცნობამ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა დავით სარაჯიშვილის პიროვნება საუკუნე ნახევრის გადასახედიდან. 2002 წელს, თბილისში, მეგობრის ხელის მიმდებარე გერიგორიაზე დაიდგა დავით სარაჯიშვილის ძეგლი (ავტორები: თენგიზ კიკალიშვილი, გიგა ბათიაშვილი, ანრი ყრუაშვილი);



### დავით სარაჯიშვილის შემოწმებანი:

- უსწავლელი კაცი და გამხმარი ხე ერთი და იგივეა;
- რამდენადაც კაცი ნასწავლია, იმდენად უფრო სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია.
- სწავლა უნდა მიიღო; დიდი თუ პაგარა – ყველა ნასწავლი უნდა იყოს;
- ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი, ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატიონი;
- კაცს წინ არ გადაურბინო, სალაში პირველმა მიეცი; გქონდეს სიგყვა თავაზიანი და ბრძოლობიანი;
- სხვისი არაფერი გინდა, და ნურც შენსას გასცემ უაზროდ; ყაირათიან ცხოვრებას უნდა შეეჩვიო – ყველაფერი კაპიკებით კეთდება.
- კაცი სიცოცხლით სავსე უნდა იყოს; უყვარდეს ცხოვრება, ხალხი, კეთილი საქმე.



# სობა რამ სამკითხველო-ბიბლიოთეკების შესახებ და დავით სარაჯიშვილის პირადი ბიბლიოთეკა

გოგი სარაჯიშვილი

ფრიად კეთილი კაცთ-მოყუარისა კაცთა დამონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მო-  
ძღურება არს: მზე და მთოვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩვენთა  
განმანათლებლად მოგუმადლნა.

1305 წელს შატბერდის ტავრისა და ხანძთის ბერის  
დავით ჯიბისძის მინაწერი „დავითნის თარგმანებაზე“.


„ღირსება ლიტერატურისა აღიწონების და დაფასდების არა რაოდენობითა წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა.“

პლატონ იოსელიანი

1879 წლის 15 მაისი ითვლება ქართველთა შო-  
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-  
ების დაარსების თარიღად და ამ დღიდან იწყება  
მისი მრავალფეროვანი მოღვა-  
წეობა, დაახლოებით 50 წლის  
მანძილზე. თბილისის გუბე-  
რნიის საადგილმამულო ბანკის  
შენობაში (ერთოვნი ბიბლიო-  
თეკა გ.ს.) დიმიტრი ყიფიანის  
თავმჯდომარეობით, 45 დამუშე-  
ძნებული წევრის დასწრებით  
შედგა საერთო კრება, რომე-  
ლმაც აირჩია საზოგადოების პი-  
რველი გამგეობა: დიმიტრი ყი-  
ფიანი (თავმჯდომარე), ილია  
ჭავჭავაძე (თავ-რის ამხანაგი),  
წევრები: იაკობ გოგებაშვილი,  
რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ  
ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი,  
ალექსანდრე სარაჯიშვილი. და-  
ვით სარაჯიშვილი დამუშეძნე-  
ლთა შორის მეთვრამეგე ნო-  
მრით არის შეგანილი სიაში და იმ დღიდან იგი  
საზოგადოების წევრია.

მკითხველოების გახსნა საქართველოსა და მის  
ფარგლებს გარეთ. კავკასიის რეგიონში, ქა-  
რთველთა სათვისტომოებში მოსწავლეების  
აღრიცხვა და მათზე ზრუნვის  
საქმიანობა, წიგნების წერა, გა-  
მოცემა და სხვ.

1880 წლის მარგის თვეში,  
კავკასიის მეფის ნაცვალმა  
ახლად შექმნილი, „ღარიბ მოწა-  
ფეთა შემწე, გუილისის გუბე-  
რნიის თავადაზნაურთა საზოგა-  
დოების წესდება“ დაამტკიცა.  
წესდება მიზნად ისახავდა ხელი  
შეეწყო სწავლა-განათლების  
მიღებაში, უმთავრესად „საზო-  
გადოების“ წევრების შვილები-  
სათვის. „საზოგადოების“ კრე-  
ბამ დავით სარაჯიშვილი საპა-  
ტიო წევრად აირჩია. ქართველ  
თავადაზნაურთა სკოლა თავდა-  
პირველად საკუთარ სახლში გა-  
იხსნა. სკოლას მრავალი წელი



უხდებოდა ბინადრობა თბილისის სხვადასხვა უბა-  
ნში, ამიგომ მომწიფდა შენობის საკითხი და ილია  
ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედა-  
ძის თაოსნობით, არქიტექტორ სიმონ კლიაშვი-  
ლის პროექტით, განსაკუთრებით დავით სარაჯი-  
შვილის და სხვათა შემწეობით 1906 წელს აიგო  
ქართული გიმნაზიის შენობა ვაკეში, წყნეთის ქუ-  
ჩის დასაწყისში, უბანი კი ერთი წლის შემდეგ შე-

დავით სარაჯიშვილმა ხელშეწყობის მიზნით  
„საზოგადოების“ საღაროში იმთავითვე დიდი  
ოდენობით ფული ჩადო, რადგან საზოგადოება  
სწავლა-განათლებისათვის იყო შექმნილი. „სა-  
ზოგადოებაში“ იგვირთა სკოლების აშენება, სა-  
ხელმძღვანელოების შექმნა, ბიბლიოთეკა-სა-

უერთდა თბილისს.

დავითის დის მარიამის და „სამშობლოს“ ავტორის დავით ერისთავის შვილი ელისაბედი იგონებს: „სადილად ვიყავი ბიძა დავით სარაჯიშვილთან. ეს სახლი მუდამ ღია იყო ქართველი მოღვაწეებისათვის, საზღვარგარეთელი მოგზაურთათვის. ბევრი დიდი საქმე დაწყებული ამ კურთხეულ ოჯახში, ბევრი ახალი ამრი გამოთქმულა ამ კედელთშორის და განხორციელებულა კიდეც. აქ კვირაობით უზიარებდა თავის მეგობრებს განვლილი კვირის სამუშაო საქმის წინ წაწევაზე. აქ პირველად ნიკო ცხვედაძემ აღძრა საკითხი ქართველ თავადაზნაურთა სკოლისათვის შენობის აგების შესახებ. „ვინ იცის, დათიკო, იქნებ მოვიდეს დრო და ქართულ უნივერსიტეტს მოხმარდეს ეს შენობაო“... ისიც მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ჯერ აგურხანას აგებაზე და წარმოებაზე, შემდეგ რა ჯიშის ვაზი უნდა დარგულიყო შენობის აღმოსავლეთ ფერდობზე... ჩვენმა ერმა არ უნდა დაივიწყოს ის ენერჯია, დაულალავი შრომა, რაც გამოიჩინა ჩვენმა მუდამ სახსენებელმა ნიკო ცხვედაძემ.“

ქართული გიმნაზიის ასაშენებლად ელისაბედისავე გადმოცემით დავით სარაჯიშვილს პირველად 60 ათასი მანეთი შეუტანია, ხოლო გრადიციის თანახმად შენობის საძირკველში მუჭით ოქრო ჩაუყრია. უთქვამს ნიკოსთვის: „აჰა, ჯერ ეს იკმარე, ოღონდ ნურსად გამოიმამქლავნებ. დაიწყე, საქმე და რამდენიც დაგჭირდება, მე აქ ვარო.“ მშენებლობა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა, რადგან დავითისაგან „ძალა მიცემული“ ნიკო ენერჯიას არ იშურებდა.

„სამოგადოებას“ აწუხებდა საკითხი ბიბლიოთეკის უქონლობაზე. ამიგომ იოანე მეუნარგისათვის დაუვალებიან შეედგინა ინსტრუქცია, რაც „დროებაში“ 1880 წელს გამოაქვეყნა კიდეც, შემდეგი ტექსტი:

„1. სამოგადოების ბიბლიოთეკა იხსნება, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების წევრთათვის, ისე ხალხისათვის საკითხავად.

2. ბიბლიოთეკა შესდგება უმეტეს წილად ქართულის წიგნებიდან. სხვა ენაზე შედგენილი წიგნებიდან შეძენილი იქნებიან მხოლოდ ის წიგნები, რომელშიაც რაიმე ცნობა იქნება საქა-

რთველობედ და კავკასიაზედ.

3. ბიბლიოთეკის შესადგენად სამოგადოება: ა) შეიძენს ყოველწლიურ ქართულ ხელნაწერს წიგნებს, კარგებს, გუჯარებს, ქრონოგრაფებს და სხვა ამგვარს; ბ) შეისყიდის ორ-ორ ეგზემპლარს ყოველგვარ ქართულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებს; გ) თუ სადმე აღმოჩნდება შესანიშნავი და იშვიათი წიგნი, რომელსაც ვერც ფასით და ვერც შემოწირულობით ვერ დაისაკუთრებს ბიბლიოთეკა, ეცდება გადაწეროს ამისთანა წიგნები; 4. ბიბლიოთეკის შესანახავად და გასამართავად სამოგადოების მმართველობა არ დაზოგავს არც რაიმე ხარჯს წიგნების მოსაპოვებლად იმ სახით და ზომით როგორც გადაწყვეტს ცალკე ამისათვის შედგენილი კომისია. ა) მიიღებს შემოწირულობას ფულით და წიგნებით; ბ) აირჩევს ბიბლიოთეკარს. 5. ბიბლიოთეკარის ვალია: ა) ჩაწეროს დავითარში ყოველგვარი წიგნი, რომელიც სასყიდლად ან შემოწირულებით შემოუვა სამოგადოებას; ბ) შეადგინოს კატალოგი ბიბლიოთეკისა; ც) დანიშნულ დროზე იყოს ბიბლიოთეკაში და მკითხველებს მოთხოვნილებისამებრ მისცეს წიგნები ბიბლიოთეკაშივე წასაკითხავად; 6. არავითარი სახით და არავის არ მიეცემა ბიბლიოთეკიდან წიგნები შინ წასადებად. 7. იმ შემთხვევაში, თუ სამოგადოება დაიშალა, ეს ბიბლიოთეკა უნდა გადაეცეს სხვა სამოგადოებას უეჭველად მართველობისაგან დამგვიცეხულს, იმ პირობით, რომ საუკუნოდ და სამუდამოდ დარჩეს ქალაქს თბილისში და არასოდეს კერძო პირს არ გადაეცემოდეს. 8. ყოველს გადაცემაზე სხვა სამოგადოებისადმი შეუცვლელად და სამუდამოდ დარჩეს. 9. ბიბლიოთეკის სახალხო გამართვის დღე და საათი იქნება თავის დროზე გამოცხადებული გაზეთებში.“ ამ წესდებაში ორიგინალურადაა დაცული პირობები, რომელსაც სამოგადოების ინგერესები მოითხოვდნენ. „დროება“ ამ დღიდან ეხმაურება ბიბლიოთეკის საკითხს გაზეთის ფურცლებზე, აქვეყნებს მასალებს და პირთა შემოწირულობებს უთმობს ადგილს. პირველი დღიდანვე ბიბლიოთეკას გადასცეს; დიმიტრი ყიფიანმა 8 ხელნაწერი წიგნი, ექვთიმე ხელაძემ 8 თუმნის წიგნები, 620 ეგზემპლარი, ალექსანდრე სარაჯიშვილმა 5 დაბეჭდილი და 18 ხელნაწერი წიგნი: „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული დაბეჭდილი „სა-

მოციქულო“; „სახარება“, დაწერილი ქართული ასოებით სპარულ ენაზე, „საქართველოს ისტორია“ ვახუშტისა და სხვ.

რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს ჰქონდათ საუკეთესო ბიბლიოთეკები, რომელთა ფონდში დაცული იყო იშვიათი კოლექციები. რუსულმა პრესამ გაავრცელა ცნობა, რომ 1880 წლის 15 სექტემბერს გარდაიცვალა პეტერბურგში მცხოვრები იოანე გრუზინსკი, რომელსაც დარჩენილი საუკეთესო ბიბლიოთეკა. იგი ყოფილა შემკრები პეტერბურგში ძველი ქართული ხელნაწერებისა და ნივთებისა. მას შეუდგენია ქართული ლექსიკონი ჩუბინაშვილის ლექსიკონზე ადრე. მის ბიბლიოთეკაში იყო ბევრი ხელნაწერი და დასაბეჭდად გამზადებული წიგნი, როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათისა, რომელიც საქართველოს ისტორიას და კულტურას შეეხებოდა. ფონდში ყოფილა აგრეთვე ქართველი მეფეების სურათებიც. წერა-კითხვის საზოგადოების მესვეურნი მემკვიდრეებზე ამყარებდნენ იმედებს, „რომ ისინი თავიანთ ბიბლიოთეკას ჩვენს წერა-კითხვის დაარსებულს ბიბლიოთეკას შემოსწირავდნენ მანამ, ვემოხსენებულ ისტორიას მაინც გადმოგვცემდნენ“; წერდა „დროება“ (1880, V, №219). იშვიათი ბიბლიოთეკის ჩამოგანა ვერ მოხერხდა საქართველოში. მისი ფონდი სამწუხაროდ 1880 წელს შეისყიდა პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ (ამჟამად რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა) და ამით დაითავრდა ფიქრი ფონდზე.

ცნობილია, რომ იოანე გრუზინსკის განთქმული საოჯახო ბიბლიოთეკისათვის პლაგონ იოსელიანს 180 ხელნაწერი წიგნი დაუთმია, ხოლო ერთი ნაწილი იოსელიანთა დიდი ბიბლიოთეკისა, დედა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშია დაცული. 1919 წლის 28 ნოემბერს, 1974 გომისაგან შედგენილი ფონდი სათავადაზნაურო გიმნაზიიდან გადაცემულა. წიგნის მოყვარე პლაგონი იოანე ბაგონიშვილის დახმარებით პეტერბურგში დაეძებდა თურმე, პირველ ნაბეჭდ წიგნებს. მის კოლექციაში დაცულია ერთმეორტგერლამელის შრომის მე-16 საუკუნის გამოცემა, 70-მდე მე-17 საუკუნეში გამოცემული წიგნები და იშვიათი სხვა ლიტერატურა.

მაქარია ჭიჭინაძის ცნობით: „პ. იოსელიანის

ხელნაწერი წიგნები მცირე ჰქონდა, გუჯარები კი ძლიერ ბევრი, სამ ფუთამდე. მისი სიკვდილის შემდეგ ეს გუჯარები ღიმიერი ბაქრაძეს ჰქონდა დროებით და მალე ისევ პ. იოსელიანის მეუღლეს დაუბრუნდა კუთვნილებისამებრ. არ გავიდა მცირე ხანი, რომ განსვენებულის დანარჩენი წიგნები 40 ფუთამდე, მეწვრილმანეებისათვის მიეყიდნათ, ქალაქის ფასად. ამ წიგნებიდან რამდენიმე ფუთის წიგნები მე ვიყიდე.“

წერა-კითხვის საზოგადოების ბრუნვამ თავისი გაიტანა, სამკითხველო ბიბლიოთეკების დაარსებასთან დაკავშირებით. მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იძლეოდნენ გაზეთები ინფორმაციებს სამკითხველოების გახსნის შესახებ. ასე მაგალითად „კვალი“ აუწყებდა მკითხველებს, რომ „უფასო წიგნსაცავი და სამკითხველო, დაარსებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად, დიდად სასარგებლო აღმოჩნდა მდებრიო ხალხისათვის და განსაკუთრებით ნოქერბისათვის, დიდი თუ პაგარა ხალხით მიისწრაფვის მისკენ როგორც კი დროს იშოვის“ და იქვე წერდა „კვირას ვაჭრობა არი გაჩაღებული საღამომდე, წიგნსაცავი კი 8 საათზე იკვებება და საჭირო იქნება ამ საქმეს ყურადღება მიაქცევიონ“. ილიას „ივერია“ კი მოუწოდებდა ყველას: „სამკითხველოები დიდ სარგებლობას მოიტანენ ხალხში, ძლიერ დაეხმარებიან მის გონებრივ გამოფხიზლებას და განვითარებასო.“

დავით სარაჯიშვილმა კავკაზში (ქ. ორჯონიკიძე გ.ს.), როდესაც არყის სახლელი ქარხანა შეიძინა (1885), მუშებს და მოსამსახურეებს დაუარსა საკვირაო სკოლა, სადაც 10 წლის მანძილზე პედაგოგად მიწვეული ჰყავდა ლუარსაბ ბოცვაძე. მოუსმინოთ მის მოგონებას: „მუდამ თვალებურს ვადევნებდი როგორის სიხარულით ეგებებოდა განსვენებული, როცა მუშები სწავლაში წარმატებას იჩენდნენ. წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნე მუშას ჯამაგირსაც უმატებდა და ამით აქებებდა ყველას, რომ წიგნი ესწავლათ. უყიდა მუშებს საუკეთესო ჯადო-ფარანი ბუნდოვანი სურათებისათვის სახალხო კითხვების გამამართავად და იქვე დაუარსა მათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქართული წიგნებისა.“ ქარხნის მუშამ, დიდუბის პანთეონის გაღაფანში დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის დღეს, წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: „...აღტაცებით შეჭვდი,

როცა ჩვენ სამკითხველოს დაარსება მოვითხოვეთ შენს ქარხანაში. ამისათვის ყოველივე ხარჯები სიამოვნებით იკისრე“-ო.

საქართველოში მენშევიკური მთავრობის დროს, 1918 წლის 26 იანვარს (ახ. სგ. 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის სხენების დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II გადაიხადა ლიგურგია, აკურთხა დედა უნივერსიტეტის მიწა, შენობა და გაიხსნა საქართველოში პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი. 2 თვის შემდეგ, 27 მარტს დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ნების აღმსრულებელმა, ივანე ჯავახიშვილის გიმნაზიის ამხანაგმა ეკატერინეს ძმამ ადამ ფორაქიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა, დავითის დის შვილიშვილთან ნიკა გარსაიძესთან ერთად, უნივერსიტეტს გადასცეს სარაჯიშვილების საოჯახო ბიბლიოთეკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლად გახსნილ უნივერსიტეტს შემდგომში, თითქმის ყველა მეცნიერმა შესწირა წიგნები, მათ შორის ალექსანდრე ცაგარელმა, დიმიტრი ბაქრაძემ, თეოდორე კორდანიამ, კლდიაშვილებმა და სხვებმა.

უნივერსიტეტის გამგეობის დავთარში ჩაუწერიან: „განსაკუთრებით ძვირფასია დავით სარაჯიშვილისეული ბიბლიოთეკა, რომელიც 1449 სახელწოდების 2309 ტომისაგან შედგება. ეს შესანიშნავი წიგნები 3 ძვირფას კარადასთან ერთად უნივერსიტეტს შესწირა სარაჯიშვილის ნების აღმსრულებელმა... თქვენ მიერ შემოწირული განსვენებულის დავით ბაქარიას ძე სარაჯიშვილის წიგნსაცავი ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო.“

უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი ღირსშესანიშნავი და ძვირფასი საჩუქრისათვის.“

1912 წელს ბაქოში დაბეჭდილი წიგნაკი-კატალოგი „Домашняя библиотека Д.З. Сараджева в Тифлисе“ თან ერთვოდა კოლექციას. ამ კატალოგის შექმნის შესახებ ნოე კორდანიას გვიყვება: „...გავსწიეთ საქართველოსაკენ, უკვე ლეგალურათ. ჩემს ცოლს ადგილი ეშოვნა ბაქოს ქალაქის სამმართველოში და იქ გადასული იყო შვილებით. თბილისში ცხოვრობდნენ თურმე მეგათ გაჭირვებულათ. მე დავბრუნდი ბაქოში დ. სარაჯიშვილმა მომანდო (1907-08 წწ. გ.ს.) მისი ბიბლიოთეკის კატალოგის შე-

დგენა და დამინიშნა ფულით ჯილდო. წავედი თბილისში, ავსწერე წიგნები, დავბრუნდი და შეუღე ქი მათ განაწილებას კატალოგისათვის.“

გამგეობას მიღებულ „საჩუქარზე“ მაშინათვე დაუწყია საბიბლიოთეკო-კატალოგის შექმნა, მაგრამ სამუშაოს დიდი მოცულობის გამო, კატალოგის შექმნა მოკლე დროში გართულებულა.

მდგომარეობას ართულებდა ბიბლიოთეკის სპეციალისტის საკითხი. „...გამგეობის სახელზე შესულ ერთ-ერთ ქალაქში წინადადებაც კი ყოფილა, რათა საზღვარგარეთიდან გამოეწვიათ სპეციალისტი.“

ამასობაში ბოლშევიკებიც დაეპატრონენ ქვეყანას და, როგორც მსხვილი კაპიტალისტის „დავით სარაჯიშვილის პირადი ფონდი“ სპეციალურად, კომუნისტების ხელში, აღარ შეიქმნა. კოლექცია „დაშალეს“ და გაიფანტა სხვადასხვა კატალოგებში, რამაც ერთგვარი უხერხულობა შექმნა, დავით სარაჯიშვილის ნაქონი წიგნის მოძებნის თვალსაზრისით, ავგორების წარწერით ნაჩუქარი წიგნების ნახვა შეუძლებელი გახდა.

კორდანიას წიგნაკის მიხედვით კატალოგში 1110 წიგნადი ერთეული არის შეგანილი. გამოდის, რომ ფორაქიშვილს მეტი რაოდენობა გადაუცია უნივერსიტეტისათვის ვიდრე კატალოგშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები ნოეს კატალოგში არ შეუგანია და უცნობია რა მიზეზით. დავით სარაჯიშვილს ბიბლიოთეკაში ჰქონდა ქართველ ავგორთა წიგნები ქართულ ენაზე გამოცემული: ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ პეტრიაშვილი და სხვა მრავალი. ავგორგრაფები ამშვენებდნენ გამოცემებს, ასეთი სამახსოვრო წიგნები უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ინახება და გაუგებარია მათი კატალოგში არ შეგანა, მითუმეტეს მაშინ, როცა ბაქოს ქართველთა სათვისტომოში ქართული წიგნები იბეჭდებოდა.

80-გვერდიან წიგნაკ-კატალოგში, 75 გვერდიდან ცარიელი ფურცლებია დაგოვებული, იმ იმედით, რომ შემდგომში წიგნების შეძენის შემდეგ, ოჯახის წევრს შეძლებოდა შეეგანა ახლად შეძენილი წიგნის სათაური. კატალოგი შედგება 10 განყოფილებისაგან. თითოეულ განყოფილებაში შედის რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე გამოცემული წიგნები.

დავით სარაჯიშვილის პირადი ბიბლიოთეკის

კატალოგი საშუალებას იძლევა, გავიგოთ რა იყო დიდი სწავლულის, დიდი მეწარმის, მსხვილი კაპიტალისტის დაინტერესების სფერო. რა ლიტერატურას ფლობდა, რით იმდიდრებდა სულიერებას, ცოდნას, იძენდა გამოცდილებას თავისი ხანმოკლე (63 წელი) სიცოცხლის მანძილზე.

კატალოგში განყოფილებათა დახაწილება შემდეგნაირია: 1. ბელეტრისტიკა. 2. პოლიტიკა, პოლიტიკური ეკონომია, ფინანსები, სამართალი, სოციალიზმი, სოციოლოგია, სტატისტიკა. 3. ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია. 4. ისტორია, მემუარები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა, ეთნოგრაფია, გეოგრაფია. 5. პუბლიცისტიკა, კრიტიკა, ხელოვნება. 6. სოფლის მეურნეობა, მეწარმეობა, ვაჭრობა. 7. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ბოლოლოგია, ანატომია, ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია და სხვ. 8. კავკასიამცოდნეობა. 9. საცნობარო განყოფილება: ლექსიკონები, წესდებები, კანონები, კალენდრები, გზამკვლევები და სხვ. 10. პერიოდული გამოცემები.

მოგვყავს ადგილები არგურ ლაისტის (1852-1927) პუბლიკაციიდან „ღირშესანიშნავი ნაღიმი“, სადაც ავტორი აღწერს დავით სარაჯიშვილის სახლში სპეციალურად გამართულ სკუმრობას: „...ორი ახალგაზრდა კაცი ონიკაშვილი და ხუციშვილი დაადგა საქართველოსაკენ მომავალ გზას. მათ განზრახული აქვთ თბილისში ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და სპარსულ-ქართულ სკოლებში ქართული სკოლები გახსნან, რათა იქაური ქართველები სამშობლოდან ესოდენ დაშორებულნი მშობლიურ ენაზე ეზიარონ განათლებას და მათს პაგარა სამყაროში ჩვენი დროის შესაფერისი კულტურა ეროვნულ ნიადაგზე გაიფურჩქნოს. ამგვარი ამაღლებული გეგმებით წამოიწყო ამ ორმა უბრალო გლეხმა ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა შუაგულ სპარსეთიდან თავიანთი წინაპრების სამშობლოსაკენ... ამ კულტურული წამოწყების მოთავენი გახლდათ სწორედ საპატიო სკუმროები რამდენიმე დღის წინ გამართული ნაღიმისა, სადაც მათ გარდა მოწვეული იყო აგრეთვე ოცამდე აქაური მწერალი, ხელოვანი, რედაქტორი და სხვანი... ყველაზე მეტად ისინი მასპინძლის მდიდარმა ბიბლიოთეკამ მიიზიდა თითქმის ნახევარი საათი ათვალთქმობა და წიგნებით სავსე კარადებს, მოითხოვდნენ განმარტებებს, რომელი წიგნი რას ეხებოდა და

გაოცებული იყვნენ მეცნიერების არნახული განვითარებით. აქვე მინდა დავსძინოთ, რომ ბიბლიოთეკა განსაკუთრებით მდიდარია გერმანული სამეცნიერო ლიტერატურით და აგრეთვე ყველა გამოჩენილი გერმანელი პოეტის თხზულებებიც შეგიძლიათ იხილოთ აქ... ნაღიმი სასიამოვნოდ წარიმართა. სადღეგრძელოების შემდეგ ქართული სიმღერები იმღერეს და გრიგოლ ორბელიანის ლექსები წაიკითხეს. ბოლოს სპარსეთიდან ჩამოსული ერთ-ერთი სტუმარი, ონიკაშვილი წამოდგა და მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, თხუთმეტ წუთზე მეტი ილაპარაკა და ყველას გული მღელვარებით აუვსო.“

გოეთეს და შილერის სამშობლოს დიდძალი მხატვრული ლიტერატურა არგურ ლაისტს რომ აქვს ნახსენები პუბლიკაციაში, პირველი ნაბეჭდი ორიგინალებია, რომლებიც უნივერსიტეტისათვის გადაცემის შემდეგაც ბევრი დაუტოვებია ადამ ფორაქიშვილს დავით სარაჯიშვილის სახლში. შემდგომში სასახლეში განთავსებულ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას უცხოური მხატვრული ლიტერატურა გადაუცია სათარგმნელად გამოსაყენებლად, დადიანის (ყოფილ ველიამინოვის) ქუჩაზე მდებარე ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის შენობაში განთავსებულ „მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელობით განყოფილებისათვის“, ხოლო ბროკაუზის და ეფრონის გახმაურებული ენციკლოპედია, სრული კომპლექტი (84 ტომი) დღესაც ამშვენებს მწერალთა კავშირის სასახლის ბიბლიოთეკის კაბინეტს სარაჯიშვილის დროინდელი ძვირფასი კარადით და რამდენადაც ჩემთვის უთქვიათ ხანდაზმულ თანამშრომლებს, „დაინტერესებულ გარეშე პირებს ენციკლოპედიით ხშირად უსარგებელიათ.“

უნივერსიტეტისათვის გადაცემულ წიგნებს შორისაა საქართველოში ერთადერთი ეგზემპლარი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, გერმანიის უნივერსიტეტის პროფესორის ადოლფ ვაგნერის 222-გვერდიანი წიგნი, ავტორისეული წარწერით: „უახლოეს მეგობარს, ყოფილ მოწაფეს, სამეურნეო, საწარმოო და კომერციული პრაქტიკის გამოჩენილ მცოდნეს; სახალხო მეურნეობის ზოგადი თეორიის დიდ სწავლულს. დოქტორ დავით სარაჯიშვილს, თბილისში.“ (Adolf Wagner. Agrar in Industriestaat. 1902), ანუ „მიწათმოქმედი და მრეწველი ქვეყანა.“



„ცნობის ფურცელი“ 1902 წლის ახალ ამბებში აუწყებდა საზოგადოებას, რომ მეტეხის ციხის ბიბლიოთეკისთვის ღვათით სარაჯიშვილმა შეწირა ქართული წიგნები.

1911 წელს ღვათით სარაჯიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მასალებს რომ აქვეყნებდა „ՅԱԿԱԲԿԱՅԵ“ ეკატერინე სარაჯიშვილზე მადლობას წერდა სათავადაზნაურო სკოლის შენობის „დასჯეროიკისათვის“ 2500 მანეთის გამოყოფისათვის.

ქართული გიმნაზიის შენობაში მოსწავლეებმ რთულ პირობებში იყვნენ, სწავლას უშლიდა ხელს სამკითხველო ბიბლიოთეკის არ არსებობა, ლაბორატორიების უქონლობა და მრავალი სხვა. ამის გამო „კრებას მოხსენდა, რომ ჩვენი თვალსაჩინო კომერსანტისა და მეცენატის დ.ბ. სარაჯიშვილის (1848-1911 წწ.) ფირმის მოსამსახურეებს, ხელოსნებსა და მუშებს დაუდგენიათ თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოაწყონ ფიზიკის კაბინეტი, რისთვისაც გადაუღვიათ 5 ათასი მანეთი.

მოისმინა რა ბემოაღნიშნული, გამგე კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა: მიიღოს უხვი საჩუქარი, გამოუცხადოს მოსამსახურეებს ხელოსნებსა და მუშებს გამგე კომიტეტის გულითადი მადლობა; კაბინეტს დაერქვას დ.ბ. სარაჯიშვილის სახელი და იქვე დაიკიდოს მისი სურათი.“

გამეთმა „ՅԱԿԱԲԿԱՅԵ“-მ ღვათით სარაჯიშვილის გარდაცვალების მეოთხე დღეს გამოაქვეყნა წერილი (რელაქცია სთხოვდა სხვა გამეთებსაც ამავე ტექსტის გამოქვეყნებას). წერილში ნათქვამი იყო, რომ მათთვის ვინც აპირებდა გვირგვინების მიგანას განსვენებულის საპატივცემულოდ, გვირგვინებში გადასახდელი თანხა შეეგანათ სასტიკენდო ფონდში, სარაჯიშვილის კანტორაში. ღვათის ნათესავი მიმართავდა იმ 150-ზე მეტ ყოფილ სტიპენდიანტს, „რადგან სასტიკენდო ფონდი თავისი მოგებით მრავალ ახალგაზრდას წაადგებოდა.“ შეახსენებდა, 30 წლის მანძილზე განსვენებულის ამაგს ამ მხრივ.

მიხეილ სარაჯიშვილი შეახსენებდა ყველა მათ, რომ ღვათით სარაჯიშვილის ამაგის დასაფასებლად ფონდთან აუცილებელი იყო დაარსებულიყო სასწავლებლებში „ღვათით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია.“

წერილში ავტორი სთხოვდა ღვათით სარაჯი-

შვილის ქარხნების მუშა-მოსამსახურეებს, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებს და პირებს, რომლებსაც უშუალო ნაცნობობა აკავშირებდათ ღვათით სარაჯიშვილთან.

გვინდა პუბლიკაცია დავამთავროთ ციტატით, ალექსანდრე სიგუას წიგნიდან – „იშვიათი ბუნების კაცი“, აკაკი შანიძემ წინასიტყვაობაში რომ დაწერა: „მხოლოდ გულისტკივილით მოსაგონებელ წლებში შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბოროტად ჩაგონებულ შეუგნებელ პირთა ხელი მზაკვრულად შეჭებოდა ამისთანა დიდებული ადამიანის (ლაპარაკია ღვათით სარაჯიშვილზე გ.ს.) საფლავსა და ძეგლს დიდუბის პანთეონში, რაც უნებლიეთ გვაგონებს დიდი ილიას მოწამებრივ ალსასრულს წიწამურში.“

**P.S. ბატონო რელაქტორო!** გაგვაჩნია თხოვნა ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თავკაცებისადმი და პირადად ბატონ შოთა აფაქიძისადმი. ვფიქრობთ, ჩვენ თხოვნას თქვენი რელაქციაც გაიზიარებს.

საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონ ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება რის საფუძველზეც ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება „ღვათით სარაჯიშვილის დღეები“. წელს პირველად, ღვათით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავზე მოხერხდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რადგან, 1921 წლიდან გადაწყვეტილა წიგნსაცავის დალაგება კოლექციების მიხედვით და თითოეულ კოლექციას აქვს თავისი შიფრი, რომელიც გამოხატავს მისი ყოფილი მფლობელის შემოკლებულ სახელს. მაგ.: პ.მ. (პეტრე მგალობლიშვილი); კლდ. (კლდიაშვილების); ა.ჯ. (ალექსანდრე ჯაბადარის); ცგრ. (ალექსანდრე ცაგარელის); Ios (პლ. იოსელიანის) და სხვა მრავალი კოლექციტები. კარგი იქნება თუ დედა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეიქმნება „ღვათით სარაჯიშვილის პირადი ფონდი“, არსებული კატალოგის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არ. სტეფანიშვილი, ღვათით სარაჯიშვილი. თბ. 1968.
2. ალ. სიგუა. იშვიათი ბუნების კაცი. თბ. 1975.
3. ალ. ლორია, ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში. თბ. 1975.



ნანა ფირცხალავა

## ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული საგანძურთსასაჟი

**დ**იდ ქართველ მეცნიერსა და მამული-შვილს ექვთიმე თაყაიშვილს წელს დაბადებიდან 140 წლისთავი უსრულდება. მოღვაწეობდა რა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, წყაროების მოძიების მიზნით მოიარა თითქმის მთელი საქართველო – ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, გაოკლარჯეთი... ამ მხარეებს ის კომპლექსურად იკვლევდა, სწავლობდა სოფლების გოპონიმიკას, აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს, სიძველეებს – ჯვრებს, დროშებს, ხაგებს, საეკლესიო ნივთებს...

ამავე დროს ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1921 წლამდე. 1921 წელს კი იძულებული გახდა თან გაჰყოლოდა მენშევიკური მთავრობის მიერ უცხოეთში გაგანილ ერის საგანძურს, რასაც ფხიზელ დარაჯად ედგა და ბევრი სიძნელისა და უბედურების მიუხედავად ბოლომდე იცავდა მას.

საფრანგეთში 1921 წელს საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გაგანილი ქართული განძის შესახებ არაერთხელ დაიწერა. სიებიცაა ამ განძისა გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტის“ 1931 წლის თებერვლის თვის 45-ე ნომერში.

მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის შეიძლება დღემდე უცნობია ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ წასვლამდე და წასვლის შემდეგ შეგროვილი პირადი ბიბლიოთეკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ინახება ბაგონი ექვთიმეს პირად ნივთებთან ერთად.

უცხოეთში გაგანილ უძვირფასეს წიგნთა შო-

რის აღსანიშნავია: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნეში გადაწერილი სამი მეგად მნიშვნელოვანი ხელნაწერი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან; პროკლე დიალოხოსის „კავშირნი“-ს იოანე პეგრიწისეული თარგმანი კომენტარებითურთ (XII-XIII საუკუნეების ხელნაწერი); X საუკუნის ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოღრეკილის საგალობელთა კრებული, ძველი ქართული სანოგო ნიშნებით, ე.წ. „იაღარი“, ნაწერი კარგად დამუშავებულ ეგრაგზე; გბეთის ოთხთავი – XII საუკუნის ხელნაწერი, ეგრაგზე ნუსხურით ნაწერი, რესგავრირებული მე-18 საუკუნეში; „ბერთის ოთხთავი“ – XII საუკუნის ძეგლი. ეგრაგზე ნაწერი კლასიკური ნუსხურით, შემკული მახარებელთა მინიატურული გამოსახულებებით. ხელნაწერი გაგანილია გელათის მონასტრის საგანძურიდან. ამავე საგანძურიდანაა გაგანილი XII საუკუნის შესანიშნავი ძეგლი „წყაროსთავის ოთხთავი“, ეგრაგზე ნაწერი კლასიკური ნუსხურით; „გელათის ოთხთავი“, XII საუკუნის შესანიშნავი ძეგლი, გაგანილი გელათისავე საგანძურიდან. მისი გექსგი ნაწერია ეგრაგზე იშვიათი სილამაზის კლასიკური ნუსხურით; „ვარძიის ოთხთავი“, XII-XIII სს. ეგრაგზე ნუსხურით ნაწერი, შემკული მახარებლების გამოსახულებებითა და თავსართებით; „მოქვის ოთხთავი“ – მარგვილის მონასტრიდან გაგანილი, ნაწერი ეგრაგზე ღია ყავისფერი მელნით, ნუსხურით, უხვად შემკული თავსართებითა და მინიატურებით.

ცხადია, ყველა ხელნაწერსა და პირველნაბეჭდ წიგნს აქ ვერ ჩამოვთვლით, მითუმეტეს, რომ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული გა-

ნძის სიაც არასრულია.

საეკლესიო მუზეუმიდან სხვა ხელნაწერებთან ერთად გატანილ იქნა აგრეთვე ხელნაწერი სახარება ევრაგზე მე-11 საუკუნისა, ქსნის სახარება ევრაგზე მე-11 საუკუნისა, ურბნისის სახარება ევრაგზე და სხვ.; საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმიდან გატანილ იქნა გარდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი გამოცემებისა: ღავითნი, ხუცური ხელნაწერი მრავალი სურათით მე-17 საუკუნისა; სახარების ნაწყვეტები, ლოცვები და ავგარომის ეპისტოლე (მხედრული ხელნაწერი პაგარა სურათებით);

გარდა ხელნაწერებისა, უცხოეთში გატანილი იქნა რამდენიმე პირველნაბეჭდი სახარება ნუსხურად ნაბეჭდი ვახტანგის სტამბაში. სულ საზღვარაგერეთ გატანილ იქნა 62 უიშვიათესი ქართული ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნი.

ქართული საუნჯის უცხოეთში გატანა ღვალიურადაა აღწერილი ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ლიტერატურულ წყაროებში, სადაც აღსანიშნავია თუ როგორ გროვდება ეროვნული განძი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, როგორ გაიტანეს იგი 21 თებერვალს დილის 9 საათზე რკინიგზის სადგურზე ქუთაისში წასაღებად, როგორ გაფორმდა სათანადო დოკუმენტაცია. ცნობილია, რომ იმავე დღეს ქონება ჩაუტანიათ ქუთაისში, მოუთავსებიათ ქუთაისის ხაზინის შენობაში – ცალკე განყოფილებაში და შეუდგენიათ ოქმი. ქუთაისში ამ ქონებას დამატებია მეტად ძვირფასი განძეულობა დასავლეთ საქართველოს მონსტრების-მარგვილისა და გელათის საცავებიდან. ასე და ამრიგად, 3 მარგს მაგარებლით ბათუმში ჩაუტანიათ 154 მოზრდილი და 19 მომცრო ზომის ყუთი, 12 გომარა, 1 დიდი კალათა და სურათების ერთი შეკვრა. იმავე დღეს ბათუმში ჩასულა კიდევ ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებით დატვირთული რამდენიმე ვაგონი. მთელი ეს ქონება ფრანგული კრეისერით უნდა გატანილიყო საფრანგეთში. ადგილის უკმარისობის გამო ბორჯომიდან ჩამოტანილი ყველა ყუთი საფრანგე-

თში გასამგზავრებ კრეისერზე ვერ მოუთავსებიათ, მაგრამ არ დაუტოვებიათ 27 ყუთში ჩალაგებული 2300 ძვირფასი წიგნი, ანუ რუსეთის ყოფილი დიდი მთავრისეული ბიბლიოთეკა, რომელიც საქართველოს მთავრობის სპეციალური კომისიის მიერ 2000 ოქროს მანეთად ყოფილა შეფასებული. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს, რომ მას ჯერ კიდევ მენშევიკების მმართველობის პერიოდში ჰქონია გადაწყვეტილი ბორჯომის ბიბლიოთეკის საქართველოს მუზეუმში ან უნივერსიტეტში გადატანა, სათანადო ნებართვით, მაგრამ ფიქრის ასრულება ვერ მოუსწრია. მეცნიერი მაღალ შეფასებას აძლევდა ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ბიბლიოთეკას. მისი თქმით, ბიბლიოთეკა „ფრიალ მნიშვნელოვანი ყოფილა იშვიათი გამოცემებით რუსულ და ევროპულ ენებზე. ამჟამად ეს ბიბლიოთეკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია დაცული.“

ბათუმიდან კრეისერები საფრანგეთის ქალაქ მარსელში ჩასულა. ამ ქალაქში განძი ცამეტი წლის მანძილზე ინახებოდა, რის შესახებაც მოთხრობილია ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებსა და ქართულ განძთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებში. გემი მარსელში 1921 წლის 10 აპრილის საღამო ხანს შესულა. განძი ოთხი კაციც გან შემდგარ კომისიას ჩაუბარებია: ე. თაყაიშვილსა და ი. ელიგულაშვილს, რომლებიც განძის მცველებად საქართველოშივე იყვნენ დანიშნულნი და მ. ავალიშვილსა და ლეკანოშიშვილს – მენშევიკური მთავრობის პარიზული დელეგაციის წარმომადგენლებს. კომისიას ერთი თვის მანძილზე უმუშავნია. მარსელში ჩატანილი ქართული განძი გადაურჩევიათ, აღურიცხავთ, ყუთებში ჩაულაგებიათ და ყუთები დაუნომრავთ.

ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის გ. მგალობლისშვილისა და თბილისის უნივერსიტეტის რექტორისადმი 1936 წელს მიწერილი წერილებიდან ირკვევა, რომ ბორჯომისა და ლიკანის სა-

სახლეების ბიბლიოთეკების წიგნებით სავსე 27 ყუთი მარსელიდან გადაუგნინათ პარიზის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი სოფლის (ალბათ ლევილის) საწყობში იმ მოსაზრებით, რომ პარიზში წიგნების შენახვა გაცილებით ძვირი დაუჯდებოდათ. როგორც ირკვევა, ახალ სამყოფელ ადგილას წიგნების შენახვისა და გადაგანაზე დახარჯულა 10 000 ფრანკამდე, გარდა განძის საქმისა, წერს გ. ჟორდანიას თავის ნაშრომში „დაბრუნებული საუნჯე“ (თბ., მეცნიერება 1983) ექვთიმე თაყაიშვილი წუხდა ბორჯომის ბიბლიოთეკაზეც და განძთან დაკავშირებულ ოფიციალურ პირებს აჩქარებდა, წამოელო იგი საქართველოში: „დიდხანს მარსელში ინახებოდა ეს წიგნები, მერე პარიზის მახლობლად სოფელში გადმოიტანეს, ათი ათას ფრანკამდე არის მის შენახვაზე და ჩამოგანაზე დახარჯული.“

ექვთიმე თაყაიშვილის დიდმა მცდელობამ შედეგი გამოიღო. 1936 წლის მაისში საბჭოთა წარმომადგენლობამ ექვთიმესგან ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებისეული ბიბლიოთეკების წიგნების ჩაბარება დაიწყო.

ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ბიბლიოთეკების წიგნებთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილს თბილისში გამოუგზავნია წიგნები, ლევილში შექმნილი საკუთარი ბიბლიოთეკიდან. წიგნებიდან, რომელთა ოდენობა 135 ეგზ. ყოფილა, ყურადღებას იპყრობს 82 ეგზ. მის მიერ 1933 წელს პარიზში გამოცემული თხზულებისა „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში“ და „საამიო ჟურნალის“ 1925-1935 წლების, ე.ი. 11 წლის სრული კომპლექტი – სულ 44 ეგზ. ჟურნალი. მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მან ემიგრაციაში წასვლისას თბილისში დატოვა, დიდი ხანია შესული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში. ეს იყო ექვთიმე თაყაიშვილის დიდი ოცნება.

ე. თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას გადმოეცა მისი პირადი ბიბლიოთეკა 1500 ეგზ. წიგნითა და ჟურნალით და ასევე ამონარიდებით ჟურნალებიდან. ესაა ქართული, რუსული და უცხოური წიგნები და ასევე ქართული, რუსული და უცხოური ჟურნალების ცალკეული ნომრები. ე. თაყაიშვილის კოლექციაში დაცულია ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, კ. კეკელიძის, ი. აბულაძის, ვ. ბერიძის, აკ. შანიძისა და სხვა ქართველ მეცნიერთა შრომები. არის თვით ექვთიმე თაყაიშვილის შრომებიც: „ძველი საქართველოს“ ოთხივე ტომი, „საქართველოს სიძველენი“-ს პირველი ტომი, „КАВКАЗСЕЙН КALENDAP“-ის ცალკეული წლების გამოცემები, რუსულ ენაზე გამოქვეყნებული თავისი, ნიკო მარის, გიორგი ჩუბინაშვილის და სხვა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შრომები. ბაგონ ე. თაყაიშვილის კოლექციაში დაცულია აგრეთვე მისი ქუდი და ლოტო. ეს ქუდი, ისევე, როგორც მთელი კოლექცია, ბიბლიოთეკის რელიქვიაა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩვენი საუნჯე საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკის, ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობაში ყოფილა გადახანული. ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ამ ბიბლიოთეკის შენობაში მოუთავსებია ჩვენი საუნჯე, მათ შორის ქართული ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნები, ფრანგ პიერ ჟოდონს, ადამიანს, რომელსაც ე. თაყაიშვილთან ერთად უდიდესი დამსახურება მიუძღვის საფრანგეთში ჩვენი საუნჯის შენახვისა და შემდგომ საქართველოსთვის მის დაბრუნებაში.

ე. თაყაიშვილის არქივში დაცულია მასალა, საიდანაც ვიგებთ, რომ განძი, ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობაში დაფარული ყოფილა ნაგვითა და ღორღით. ასე უცდიათ დაცვათ იგი ფაშისგებისგან, რომელთაც სლომებიან ქართული საუნჯის დაუფლება და გერმანიაში გაგანა. დაუკითხავთ კიდევ პიერ ჟოდონი,

მაგრამ მას განძის ადგილ-სამყოფელი არ გაუთქვამს: „ქონება სასამართლო წესით კი მაქვს ჩაბარებული, მაგრამ ბანკიდან (სადაც იგი ინახებოდა), საღ წაიღეს არ ვიციო“. ბურაბ ავალიშვილიც უმტკიცებდა თურმე გერმანელებს: „ეს განძი საქართველოსთვის არის საჭირო, როგორც ისტორიული საბუთი და არა სხვებისთვის, ასე გადარჩენია ჩვენი უძვირფასესი ქართული ხელნაწერები და პირველნაბეჭდი წიგნები გემანიაში გაგანას.“

ე. თაყაიშვილის საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის ა. გუმოვკისადმი მიწერილ 1946 წლის 4 ივნისის დათარიღებული წერილიდან ირკვევა, რომ ყველაფერი, რაც საფრანგეთიდან იყო წამოსაღები, თვითმფრინავზე ვერ მოუთავსებიათ და იგი იძულებული გამხდარა თავისი წიგნებით სავსე რამდენიმე ყუთი საელჩოში დაეგოვებინა. ამ ყუთებში, ძირითადად: მის მიერ გამოქვეყნებული წიგნები ყოფილა მოთავსებული, მათ შორის პარიზში, 1938 წელს გამოცემული წიგნი: „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ და სხვა წიგნები, რომლებიც დიდი გაჭირვებით შეუგროვებია ემიგრაციაში ყოფნისას. ბაგონ ექვთიმეს ბემოთდასახელებული ნაშრომის ორი ეგზემლარი მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის აკადემიკოს ე. თაყაიშვილის კოლექციაშია დაცული, რაც გვაფიქრებინებს, რომ საფრანგეთის საელჩოში დარჩენილი წიგნები მოგვიანებით ბაგონ ექვთიმესთვის გამოუგზავნიათ.

ქართული განძით დაგვირთული ორი თვითმფრინავი პარიზიდან თბილისში გამოფრენილა 1945 წლის 5 აპრილს და ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ თბილისში დაფრენილა.

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი იგონებს, რომ, როცა ბაგონი ექვთიმე თვითმფრინავიდან ჩამოსულა, ძალიან აღელვებულსა და თვლცრემლიანს მიუმართავს მისთვის: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მე ძალიან ბედნიერი ვარ და

არა მაქვს უფლება ბელს დევემდურო“. როგორც თვითმხილველნი გადმოგვცემენ, ქართული განძი ორი საგვირთო მანქანით მიუგანიათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ასე დამთავრდა ქართული განძისა და მათ შორის ქართული ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნების ხიფათითა და განსაცდელით სავსე დიდი მოგზაურობა საზღვარგარეთ.



## შეჯამდა კონკურსის შედეგები

საქართველოს განათლების სამინისტროს, საქართველოს მწიგნობართა და საბიბლიოთეკო ასოციაციების ინიციატივით 2002 წლის ნოემბრიდან საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის გამოცხადებული იყო კონკურსი დევიზით: „სასკოლო ბიბლიოთეკა – №1 კაბინეტი.“ საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ქიურიმ შეჯამა კონკურსის შედეგები და გამოავლინა გამარჯვებული ბიბლიოთეკები. კონკურსის მასალებს ჩვენს მკითხველებს შევთავაზებთ უახლოეს ნომერში.

## 50 წელი წიგნის სამყაროში

სასწაულებითა და მოულოდნელობებითაა სავსე ქვეყანა. გრიალებს ბედის ბორბალი, ვისთვის როგორ... ზოგს ფრთებს შეასხამს ცაში ასაფრენად, ზოგს კი მწარე ამოთხვრით ათქმევინებს: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მგერია“. აღამიანიც, შესაბამისად, მეგს ესწრაფვის და ეწაფება, ეძებს ხსნის გზას. ვის აუვლია გვერდი ამ დროის საოცარი სამყაროსათვის, ბედნიერ მფლობელად რომ გახდის აღამიანს საუნჯისა, რომელიც „არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარებს“.

ჩვენი წერილის გმირი, ამაგდარი ბიბლიოთეკარი ქნი თინა სალაყაია, რომელიც 50 წელია წიგნის სამყაროში გრიალებს, ალბათ, დამეთანხმება, თუკი ვიგყვი, რომ აქ, ბიბლიოთეკაში, არ არსებობს არც ღავიწყება, არც უკვდავება და არც სიკვდილი. სიცოცხლის დიმი გაშლილა დღევანდელობად. ამ სამყაროში აწმყოს მხარს უმშვენებს წარსული, მომავლის ჭვრეტა. აქ სიგყვას ამბობს დღევანდელი დღე. ეს კი ქნი თინას დიდი დამსახურებაა. უკვე რამდენი წელია, ამ ჩუმი, უპრეტენზიო, ფუტკარივით გამრჯე საოცარი ქალბატონის წყალობითაც უძვირფასესი მეგობრების – წიგნების ერთგულებას ნაზიარევი მკითხველები, სულში მზებანთებულნი, ამბობენ, ჩუმად თუ ხმამაღლა: „იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ რა უნდა იყოს



ამაზე დიდი მადლი ამქვეყნად, ამაზე დიდი სიკეთე? არც ის ღავივიწყოთ, რომ ერისა და ქვეყნის მომავლის ყოველივე იმის ცოდნა უყრის მტკიცე საფუძველს, რაც კი აქამდე შეუქმნია კაცობრიობას. ეს „უხილავი საუნჯე“ კი ბიბლიოთეკაში ღავანებულა. ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა აზიარა ცოდნის ამ უშრეტ წყაროს და სამუდამოდ ღავყვევა წიგნის სამყარომ ქნი თინას წყალობით. იმკის კიდევაც დათესილ სიკეთეს. წიგნის ნათელით ნასაზრდოვებთ არ შეიძლება, აღარ სწამდეთ: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ასე იყო მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ცოტაა განა? ავი და ბო-

როგი არ შეეცდება თავისას, როცა მი ირგვლივ ამ ფუსფუსა ქალბატონის წყალობით ამდენი მადლი ღავღვრებოდა წყვდიადის, უკუნეთის დასათრგუნავად? მაგრამ მარტო არასოდეს ყოფილა ქნი თინა სალაყაია. არც თანადგომა და ღაფასება დაკლებია. ამაზე მეტყველებს უამრავი ჯილდო, სიგელი სამაგალითო საზოგადოებრივი საქმიანობისათვის: I ხარისხის დიპლომი საკავშირო ღავვალეირებაში გამარჯვებისათვის, რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარისა და შრომის ვეტერანის წოდებები და მრავალი სხვა...

დღეს ქნი თინა ქ. ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილებაში მუშაობს.

ფილების გამგეა, მკითხველებისა და კოლეგების ერთგული მეგობარი. თითქოს სწორედ მასზე უთქვამს პოეტს: „შენ არასოდეს არა ხარ მარგო, გყავს მგერ-მოყვარე ყველაზე მეტი“. ყველაფერი კი დაიწყო 1953 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა: ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული №3 ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად დაინიშნა, ხოლო 1970 წელს კი №6 ახალგაზრდული ბიბლიოთეკის გამგედ იქნა გადაყვანილი. მის ცხოვრებაში იყო ლამაზი სტუდენტური წლებიც. 1968 წ. მან დაუსწრებლად დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის

ბიბლიოთეკის ფაკულტეტი. მთელი 50 წლის მანძილზე იყო უამრავი სიძნელეები, უდიდესი შრომა, მაგრამ იყო სიხარული, თანამშრომელთა მხარდაჭერა – ამიგომ ამაგდარს მემატიანი ჰქვია.

წელს ამ ლამაზ ქალბატონს 75 წელი უსრულდება. ქალაქის საბიბლიოთეკო დარგის უნაგარო და უპრეგენზიო მოღვაწეს სულის სიმხნევეს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ კოლეგები. მის უშრეტ ენერჯიზზე კი მისივე საქმეები ილაღადებენ.

ფოთის საბიბლიოთეკო ბაერთიანების კოლექტივი



თინათინ რუსაბიძე

მიუხედავად საქართველოში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეებისა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები არ იშურებენ ენერჯიას და დაუღალავად ემსახურებიან ბიბლიოთეკას და მის მკითხველს.

ანთ მდიდარ პროფესიულ გამოცდილებებს უშურველად გადასცემენ ახალგაზრდა თაობებს, კოლეგებს. ყველას მიმართ ყურადღებიანები არიან. ენთუზიანზმით მომუშავენი აქტიურად მონაწილეობენ როგორც უნივერსიტეტის, ასევე სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამოგალოებრივ საქმიანობაში, დიდი სიყვარულით სარგებლობენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა, თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის.

საინტერესოა ისიც, რომ ორივე ქალბატონმა – ეთერ ქურდიანმა და თინა რუსაბიძე ერთდროულად დაიწყეს მუშაობა თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში რიგით ბიბლიოთეკარებად. ქალბატონმა ეთერმა აქვე დაამთავრა თსუ-ს ფოლოლოგიის ფაკულტეტი. 1962 წლიდან დღემდე

იგი მუშაობს ბიბლიოთეკის სპეციალური ფონდის ლიგერაგურის განყოფილების გამგედ. მიღებული აქვს რექტორისა და დირექციისაგან მრავალი მადლობა. 1966 წელს მიენიჭა „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება, 1971 წელს „რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის“, ხოლო 2003 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

თინა რუსაძემ 1938-39 სასწავლო წელს დაამთავრა ქ. წულუკიძის პედაგოგიური სასწავლებელი, 1940 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი. 1940 წელს შევიდა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1948 წელს. 1961 წელს დაინიშნა სამკითხველო დარბაზების განყოფილების გამგედ, სადაც მუშაობს დღემდე. უმაღლესი ხარისხის სპეციალისტს ბევრჯერ აქვს მიღებული უნივერსიტეტისა და ბიბლიოთეკის დირექციის მადლობები, ასევე მიღებული აქვს „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ და „რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ წოდებები.

2003 წელს მან მიიღო უმაღლესი ჯილდო მთავრობისაგან – „ღირსების ორდენი“, რამაც არა მარტო ქალბატონი თინა, არამედ ჩვენც – მისი კოლეგებიც ძალიან გაგვახარა.



**„გულთ გვინდა  
მოგილოცოთ  
დიდი ჯილდო წარმატება,  
ღმერთმა ჯანმრთელობა მოგცეთ,  
ჩვენგან სიტბო, ერთგულება.“** – მიმართავს მათ კოლეგა – ნაზი თავბერიძე.

კეთილსინდისიერი და კვალიფიციური ბიბლიოთეკარების დაფასება, საბიბლიოთეკო დარგის ყველა მუშაკის დაფასებაა. ვუერთდებით მათ სიხარულს, დავლოცავთ: იყვნენ ჯანმრთელები და მარად ახალგაზრდები!

**ბიბლიოთეკარი – ლარისა სორბაძე**



რეცენზია, პუბლიკაციები



**სწოპარი სამსრეთ კავკასიის  
ბიბლიოთეკების შესახებ**




მიმდინარე წლის ნოემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ინიციატივით მოეწყო პრეზენტაცია წიგნისა „Библиотеки Южного Кавказа и кто есть кто в библиотечной Сфере.“ წიგნი გამოიცა ერევანში, სომხე-

თის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ. წიგნის შედგენასა და გამოცემაში ეკონომიკური მხარდაჭერა გაწეული იქნა ფონდლი „ევრაზიის“ მიერ. ცნობარი მომზადებულია სამივე ქვეყნების: სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციების მიერ. საქართველოს ბიბლიოთეკებისა და ამ სფეროში მოღვაწეთა

შესახებ ინფორმაციების მოპოვებისა და დამუშავების ორგანიზაცია გაუკეთა საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციამ (აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შათირაშვილი).

ცნობარი გვაძლევს ზუსტ ინფორმაციებს სამივე ქვეყნის დიდი სამეცნიერო, უნივერსალური, მთავარი საჯარო და ეროვნული ბიბლიოთეკების შესახებ. დაინტერესებულნი პირი ნახავს თითოეული ბიბლიოთეკის მისამართის, საკონტაქტო ტე-



ლეფონებს, დირექტორების ვინაობას, დაარსების წელს, თანამშრომელთა რაოდენობას; ვებგვერდის მისამართს და ბიბლიოთეკის მუშაობის სხვა ძირითად მახასიათებლებს. საქართველოდან ცნობარში წარმოდგენილია 60 დიდი ბიბლიოთეკა და ცნობები და ინფორმაციები ამ სფეროში მომუშავე 100 სპეციალისტისა და თანამდებობის პირის შესახებ.

ცნობარი გამოიცა რუსულ ენაზე; განზრახულია მისი გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.



## დიდბანიანი წიგნი პატარა სოფელზე



გოგი სარაჯიშვილი


ვინმეს რომ უთხრათ, პატარა საქართველოში, პატარა სოფელზე 822-გვერდიანი დიდი ფორმის, დიდი რაოდენობით დასურათებული, ბახვის ენციკოლოპედია გამოცემა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, სოციალ-ეკონომიურად აწიოკებულ, დაბეჩავებულ საქართველოში არ დაიჯერებს მანამ, სანამ 3-კილოგრამიანი წონის წიგნის ნახვით გულს არ იჯერებს.

სათაურით „მადლობაში“ (გვ. 805) გამოთქმულია მადლობა ყველა იმ პირისადმი, ვისაც წვლილი მიუძღვის, რომ ნაშრომს ენახა „დღის სინათლე“. განსაკუთრებული მადლობა ეძღვნება ბაგონ ბურაბ ჩხაიძეს იმისათვის, რაც გასწია მადლი „სოფელ ბახვის“ გამოცემაში. ჩვენის მხრივ კი, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ავგორებს – ცირა ნიკოლაიშვილს, მალვა თავართქილაძეს, გამოცემაში რამდენიმე თვით ადრე რომ გარდაიცვალა და ვერ მოესწრო სურვილის აღსრულებას; წიგნის რედაქტორს პროფესორ ლევან ფრუ-

იძეს; გამომცემლობა „მერიდიანის“ თანამშრომლებს; გბამკველეთა შემოქმედებით ჯგუფს; კომპიუტერულ ცენტრ „ვესტას“ კოლექცივს...

347 გვერდამდე წიგნის ნაწილებად დაყოფილ თავებში, განხილულია სოფლის ისტორია-ცხოვრება. შეიძლება ითქვას, ავგორთა სასახელოდ, რომ არც ერთი საკითხი არ არის გამორჩენილი. წამოწეულია ყველა კუთხით, ის ამაგი „რამდენიც გაბრიელმა (იმერეთის ეპისკოპოსმა) სოფელ ბახვს დასდო“ (თედო სახოკია. გვ. 3). ავგორები თავიანთ მოკრძალებულ წიგნს უღვნიან „სოფელ ბახვის გაბრიელ ქიქოძის სახ. საშუალო სკოლის ყველა თაობის მასწავლებელთა ფასდაუდებელ შრომასა და მოღვაწეობას.“

წერილში „რედაქტორისაგან“ ბაგონი ლევანი წერს: „წიგნი დაწერილია ნათელი და დახვეწილი სტილით, შესანიშნავადაა გამოყენებული უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი ქართული ენის შესაძლებლობანი, დამორჩილებულია ფრაზა და სიგყვები მოზაიკის



ცირა ნიკოლაიშვილი  
მალვა თავართქილაძე

### სოფელი ბახვი

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი, 2003



ოსტაგვიით შერჩეულ ადგილებზე დასმულიო“ (გვ. 10) და იქვე დასძენს, ნაშრომი „ქართული სოფლის სრულფასოვნად წარმოჩენის თვალსაჩინო ნიმუშიო.“ ამით ყველაფერია ნათქვამი, წიგნის შესახებ.


აღსანიშნავია, რომ წიგნის პრეზენტაცია, ღონისძიების თავგაცემბა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ხსენების დღეს (19 სექტემბერი) და ამთხვეის და სპეციალური გაზეთი „გაბრიელობა“ გამოუშვეს. ღონისძიება დიდებულად ჩატარდა, დაესწრო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული სტუმრები და რა თქმა უნდა, სამღვდლოების წარმომადგენლები.

სოფლის ისტორია არაფერია, თუ არა მისი ადამიანები, ვინც ადიდა და ასახელა სოფელი. დიდი ილია ამბობს, ბედნიერია სოფელი, სადაც დაიბადა „პირველი ქართველი ამა ქვეყნისა“ (გვ. 347). გვიხდება ბოდიშის მოხდა, რადგან ვერ ვიხილავთ სარეცენზიო წიგნში მოყვანილ ამაგდარ ადამიანებს, რადგან ამდენ სახელოვან ადამიანში ვინმე გამოეყოთ, უხერხულად გვეჩვენება. ამიტომ, გადავწყვიტეთ მათი გვარების ჩამოთვლით დაგვკმაყოფილდეთ: ანდლულაძე, ანთაძე, ბოლქვაძე, ბურჭულაძე, გარაყანიძე, გაჩეჩილაძე, გორდელაძე, დოლიძე, დონღუა, ვა-

შალომიძე, თენიშვილი, თალაკვაძე, ინწკირველი, კანდელაკი, კალანდაძე, კაპანაძე, კვაჭანტირაძე, ლომთათიძე, მამეიშვილი, მანჯგალაძე, მახარაძე, უგულავა, მგალობლიშვილი, მეუა, მგელაძე, მეგრელიშვილი, ნათიძე, ნაკაიძე, ნაკაშიძე, ნიკოლაიშვილი, ქლენგი, სალუქვაძე, სულუხია, სურგულაძე, ქიქოძე, შავიშვილი, შარაშიძე, შევარდნაძე, შუბლაძე, ჩიგაიშვილი, ჩხაიძე, ცეცხლძე, ცქვიგინიძე, წულაძე, ჭანგურიშვილი, ჭელიძე, ხომერიკი.

100-მდე ფოტომასალა, უნიკალური ხელნაწერები, ჩანართები, მხატვრული ნაწარმოებები ამშვენებენ ზემოთ მოყვანილი გვარების შემოქმედებას.

ავტორების მიერ „ბოლოთქმაში“ მოყვანილ ნოდარ დუმბაძის გამოხატულებამა, „...ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეულიო...“ (გვ. 808) და ერთ ადგილზე დაწერილმა, „...დედამ მასწავლა მოთმინება, ჭირთა გაძლება, სიკეთეო,“ გული ამიძგერა! როცა ბაგონმა ზურაბ ჩხაიძემ „სოფელი ბახვი“ გვისახსოვრა, მივიგანე სახლში და ჩემიანებს ვუთხარი მოვიგანე ჩემი სულის სამყოფელი და ვთქვი: – ამ წიგნმა დედა გამიცოცხლა.



## ნაშრომი სახელმწიფო მუზეუმის შესახებ

ა. სიჭინავა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სარედაქციო საბჭოს დადგენილებით, გამოიცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდაგის ბაგონ გურამ ჩხაიძის წიგნი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932).“

ნაშრომში მრავალრიცხოვან სხვადასხვა სახის წყაროებზე, არსებულ სამეცნიერო ლიგერატურაზე დაყრდნობით, შესწავლილია კავკასიაში

პირველი მუზეუმის დაარსებისა და მრავალფეროვანი საქმიანობის ისტორია; ნაჩვენებია XIX საუკუნის შუახანებისათვის საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება; აღნიშნულია, რომ რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო „დაემთავრებინა საქართველოს დაპყრობა და იგი გადაექცია მორჩილ კოლონიათ; აეთქვიფა მისი მცხოვრებლები იმპერიის

მოსახლეობაში. ამ ამოცანის შესასრულებლად და „საქართველოს მორალური დაპყრობის განსახორციელებლად კავკასიის მეფის ნაცვლად დანიშნული მ. ვორონცოვი აგარებდა „მათრახისა და გკბილი კვერის“ პოლიტიკას. ვორონცოვისეულ დათბობის წლებს უკავშირდება საქართველოში პროფესიული სამუშეუმო საქმიანობის ჩამოყალიბება.

ავგორი აღნიშნავს, რომ „ამ დროს შექმნილი მცირე მუზეუმების საფუძველზე დაარსდა „კავკასიის მუზეუმი“, რომელიც ამჟამინდელი ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ.“

ნაშრომში ნაჩვენებია მუზეუმის დაარსებასა და საქმიანობაში ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა დამსახურება; შესწავლილია აქ გაშლილი შემკრებლობითი, საფონდო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო-საექსპოზიციო საქმიანობა.

ავგორს მოჰყავს ფაქტები თუ როგორ იბარცვებოდა უცხოელთა მიერ ქართული ეკლესია ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისიდან.

წიგნში ნაჩვენებია კავკასიის მუზეუმის „გა-

ეროვნულების“ პროცესი და ამ საქმეში ქართველი საზოგადო მოღვაწეების წვლილი; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისგორიო და საეთნოგრაფიო და საეკლესიო მუზეუმების დაარსება-საქმიანობა და მათი საქართველოს მუზეუმში გაერთიანება.

ავგორი დაწვრილებით აღწერს ექსპონატებით მუზეუმის შევსების პროცესს, სათანადოდ აღნიშნავს ნივთების შემომწირველთა ღვაწლს.

ნაშრომი გამოირჩევა მოწოდებული ინფორმაციის სიუხვით, საინტერესო-იშვიათი ფოტო ილუსტრაციებით; ყურადღება მისაქცევია გამოყოფილი ჩართვები, სადაც ავგორი იძლევა ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიებს; ბოგიერთი შემთხვევის, სა-

მუზეუმო ნივთების ისტორიულ აღწერას... სასურველი იქნებოდა წიგნს დართული ჰქონოდა საძიებლები. კარგი იქნებოდა XIX საუკუნემდე საქართველოში სიძველეთა დაცვის გრადიციების აღნიშვნა.

გურამ ჩხაიძის წიგნი ქართული კულტურის წარსულით დაინტერესებული მკითხველებისათვის კარგი შენაძენია.

გურამ ჩხაიძის წიგნი ქართული კულტურის წარსულით დაინტერესებული მკითხველებისათვის კარგი შენაძენია.

გურამ ჩხაიძის წიგნი ქართული კულტურის წარსულით დაინტერესებული მკითხველებისათვის კარგი შენაძენია.





# რეცენზია

**ქ**ენრი კუპრაშვილს ეძღვნება შესანიშნავ პოლიგრაფიულ ღონებზე გერმანი- აში დასტამბული წიგნი „დარდანელის გმირი. შვიდი უნიკალური მოვლენა“. წიგნის მთავარი რედაქტორია საქართველოს ფიზიკური აღმზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი. სამ ენაზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე) შედგენილი წიგნის გამომცემელია მედია-ჰოლდინგის „ჯორჯიან გაიმსი“.

ეს არის მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი მრავალმხრივ განვითარებულ ადამიანზე – სპორტსმენზე, მეცნიერზე, საზოგადო მოღვაწეზე.

ჰენრი კუპრაშვილმა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ლეპარტამენტის დირექტორმა, ახალ ათასწლეულში მსოფლიოს უჩვენა ქართველი ხალხის უმდიდრესი სპორტული ტრადიციების კიდევ ერთი, აქამდე დავიწყებული ბურუსით მოსილი მიმართულება, ცურვის უნიკალური სტილი – „ჩვეულებრივი კოლხური“ (სპორტული სტილი) და „ხელფეხშეკრული კოლხური“ (სამხედრო-საწვრთნელი სტილი).

წიგნში დამაჯერებლად და საინტერესოდ არის მოთხრობილი, თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მი-

იწველა იგი ამ წარმატებისაკენ, როგორი სიძნედეების დაძლევა უხდებოდა და, რა თქმა უნდა, – აპოთეგური – გამარჯვება, რომელსაც საერთაშორისო რემონანსი ჰქონდა.

ხაზგასასმელია ერთი გარემოებაც: ეს წიგნი ამა-სთანავე მძლავრი აღმზრდელობით მუხგის მაგარებელია, იგი არის კონკრეტული ფაქტით დადასტურებული სახიერი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოლოს ადამიანმა, უწინარესად ახალგაზრდობამ, დასახული მიზნის მისაღწევად, რომ ცხოვრების აქვს აზრი, ხოლო თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შესძლოს და მონახოს თავისი ადგილი და მოღვაწეობის ასპარეზი ამ, მრავალი პოტენციური შესაძლებლობის მქონე ცხოვრებაში.

**არმამ სანებლიძე**

## დარდანელის გმირი

HERO OF THE DARDANELLES

ГЕРОЙ ДАРДАНЕЛЛ

შვიდი უნიკალური მოვლენა  
Seven Unique Developments  
Семь уникальных явлений



2003



## საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

15 ოქტომბერს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა შეხვდა საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშეს მოადგილეს ვენდი კენელის. სტუმარი გაეცნო ასოციაციის საქმიანობას; საუბარი შეეხო საელჩოსა და ასოციაციის შესაძლო თანამშრომლობის საკითხებს.

17-20 ოქტომბერს გერმანიის სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით თბილისში, დიდუბის საგამოფენო კომპლექსში მოეწყო გამოფენა „მრდასრულთა განათლების ხელშეწყობა“. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას დათმობილი ჰქონდა ცალკე სტენდი, სადაც მსურველებს შეეძლოთ დაეთვალიერებინათ მასალები „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკისათვის“ და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ნომრები.

18-21 ოქტომბერს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი იგალიის ქალაქ კალიარშიში ესწრებოდა პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკისათვის“ კოორდინატორთა გენერალური ასამბლეის სხდომას; აქ 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მსჯელობდა ახალ ელექტრონულ რესურსების მიღებას, გამოყენების, ელექტრონული წიგნებისა და ადგილობრივი სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის პრობლემებზე.

11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი ქართველი მეცენატის, ქველმოქმედისა და მეწარმის დავით სარაჯიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების გამოფენა. იგი მიეძღვნა დ. სარაჯიშვილის დაბადებიდან 155-ე წლისთავს. გამოფენის ორგანიზატორები

იყვნენ: საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

14 ნოემბერს გერმანიის საელჩომ საქართველოში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა მიკროფირების საკითხავი აპარატი.

15 ნოემბერს თსუ სამეცნიერო ფონდამენტალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის – ინიციატივით მოეწყო პრეზენტაცია წიგნისა „Библиотеки Южного Кавказа“, Ереван, 2003“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები მებობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ქვეყნებიდან.

□ 17 დეკემბერს ქ. საგარეჯოში საბიბლიოთეკო აქტივს შეხვდნენ და ბიბლიოთეკის მუშაობის თანამედროვე პრობლემებზე ისაუბრეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ასოციაციის გამგეობის წევრებმა: გურამ თაყნიაშვილმა და გულნარა სგურუამ.





# 2004 წლის ღირსშესანიშნავი და საინჟინერო თარიღების კალენდარი

(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)


## ი ა ნ ვ ა რ ი

- 1 – გილოცავთ ახალ წელს! საახალწლო დღესასწაული.  
110 წლის წინათ (1894) დაიბადა როდიონ ქორქია – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1984.
- 3 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა ანა ღვინიაშვილი. ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1981.
- 4 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა ზურაბ წერეთელი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე.
- 7 – შობა – უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. (ძველი სტილით 25 დეკემბერი).
- 9 – 115 წლის წინათ (1889) დაიბადა პეგრე ჭაბუკიანი. ცნობილი მხარეთმცოდნე და საზოგადო მოღვაწე. (სათაფლიის მღვიმის აღმოჩენი). გარდაიცვალა 1982.
- 12 – 75 წლის წინათ (1929) დაიბადა გურამ სალარაძე, ქართველი მსახიობი, საქ-ს სახალხო არგისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 13 – 95 წლის წინათ (1909) დაიბადა სოლიკო ვირსალაძე – გამოჩენილი ქართველი თეატრალური მხატვარი. გარდაიცვალა 1989.
- 14 – ქართული თეატრის დღე.
- 19 – ნათლისღება – გაცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
- 27 – ნინოობა.
- 30 – მიმდინარე წელს სრულდება 375 წელი (1629) რომში პირველი ქართული წიგნის „ქართულ-იგალიური ლექსიკონის“ დაბეჭდიდან.
- 90 წლის წინათ (1914) დაიბადა ჭიჭიკო ბენდელიანი – საბჭოთა კავშირის გმირი. გარდაიცვალა 1944.
- 31 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა თენგიზ აბულაძე – ცნობილი ქართველი კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1994.

მიმდინარე წელს სრულდება 120 წელი (1884), რაც გამოიწვია სულხან-საბა ორბელიანის „სიგყვის კონა“ – ქართული ლექსიკოგრაფიის ძეგლი.

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

- 2 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა ოთარ იოსელიანი – ცნობილი ქართველი კინორეჟისორი.
- 5 – 85 წლის წინათ (1919) თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა დიმიტრი არაყიშვილის ოპერა – „თქმულება შოთა რუსთაველზე“.
- 6 – 110 წლის წინათ (1894) დაიბადა მიხეილ ჭიჭინაძე – ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, საქ. სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1974.
- 7 – 95 წლის წინათ (1909) დაიბადა სერგო ქობულაძე – ცნობილი ქართველი მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, საქ. სახალხო მხატვარი. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი. გარდაიცვალა 1978.



8 – დავითობა. სსენება წმიდა დავით მეფისა აღმშენებლისა (1073-1125).

150 წლის წინათ (1854) დაიბადა ივანე მაჩაბელი – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. უგზოუკვლოდ დაიკარგა 1898.

14 – 95 წლის წინათ (1909) დაიბადა მაცყვალა მრევლიშვილი – ცნობილი ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1992.

15 – 440 წლის წინათ (1564) დაიბადა გალილეი გალილეი – იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი, ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1642.

17 – 145 წლის წინათ (1869) დაიბადა ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1894.

19 – 180 წლის წინათ (1884) დაიბადა ლეო ქიაჩელი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1963.

21 – 85 წლის წინათ (1919) თბილისში დაიბადა გაქარია ფალიაშვილის ოპერა – „აბესალომ და ეთერი“.

130 წლის წინათ (1874) დაიბადა დიმიტრი გულია – აფხაზი მწერალი, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, აფხაზეთის სახალხო პოეტი, გარდაიცვალა 1960.

## მ ა რ ტ ი

3 – დედის დღე.

5 – 85 წლის წინათ (1919) დაიბადა არჩილ ჩიმაკაძე ქართველი კომპოზიტორი, საქსახალხო არგისტი.

7 – 60 წლის წინათ (1944) დაიბადა ქიული შარგავა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნული გმირი. დაიღუპა 1993.

8 – ქალთა საერთაშორისო დღე.

9 – 1956 წლის 9 მარტს რუსის ჯარმა დაარბია ქართველი ახალგაზრდობის მშვიდობიანი მიგინგი თბილისში.

60 წლის წინათ (1944) დაიბადა ნუგზარ შაგაძე ქართველი მწერალი.

190 წლის წინათ (1814) დაიბადა გარას შევჩე

ნკო უკრაინელი პოეტი. გარდაიცვალა 1861.

18 – 75 წლის წინათ (1929) დაიბადა შოთა ნიშინიანიძე, გალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურეატი. გარდაიცვალა 1999.

21 – საქართველოს მესამეზღვრის დღე.

ქართული ჟურნალისტიკის დღე.

23 – 60 წლის წინათ (1944) დაიბადა ჯემალ აჯიშვილი – ქართველი მწერალი.

25 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა ვახტანგ ბოჭორიშვილი – მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 2002.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917).

27 – თეატრის საერთაშორისო დღე.

## ა პ რ ი ლ ი

2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.

3 – 85 წლის წინათ (1919) დაიბადა გიორგი ნაფეგვარიძე – ქართველი პოეტი. დაიღუპა 1942.

100 წლის წინათ (1904) დაიბადა ნატო ვა

ჩნაძე, ცნობილი ქართველი კინომსახიობი, გარდაიცვალა 1953.

4 – ბზობა.

7 – ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა.

70 წლის წინათ (1934) დაიბადა მინდია არა

- ბული – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1998.
- 9 – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.
- 11 – აღდგომა.
- 100 წლის წინათ (1904) დაიბადა ღვთისმეტყველი – ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1976.
- 12 – 75 წლის წინათ (1929) დაიბადა მუხრან მაჭავარიანი – ქართველი პოეტი.
- კოსმონავტიკის დღე.
- 14 – ქართული ენის დღე.
- 18 – ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.
- 19 – 110 წლის წინათ (1894) დაიბადა ქეთევან მაღალაშვილი – ცნობილი ქართველი მხატვარი, საქ. სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1973.
- 20 – 85 წლის წინათ (1919) დაიბადა ლალო სულამბერიძე – ქართველი პოეტი.
- 21 – 180 წლის წინათ (1824) დაიბადა რაფიელ ერისთავი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1901.
- 22 – დედამიწის მსოფლიო დღე.
- 23 – წიგნის საერთაშორისო დღე.
- 24 – 115 წლის წინათ (1889) დაიბადა იოსებ გრიშაშვილი – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქ-ს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1966.
- 28 – 440 წლის წინათ (1564) დაიბადა უილიამ შექსპირი – ინგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1616.
- 30 – ბიბლიოთეკარის დღე.

## მ ა ი ს ი

- 1 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა დოდო აბაშიძე. ქართველი მსახიობი, საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1990.
- 2 – 115 წლის წინათ (1879) დაიბადა ვანო სარაჯიშვილი – ქართველი მომღერალი, საქ. სახალხო არტისტი, გარდაიცვალა 1924.
- 6 – გიორგობა – ხსენება დიდებულისა, დიდისა მოწამისა ძლევა მოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისა.
- 9 – ფაშისგურ გერმანიაზე გამარჯვების დღე-სასწაული.
- 11 – 140 წლის წინათ (1864) დაიბადა ეთელ ლილიან ვოინიჩი – ინგლისელი მწერალი ქალი. გარდაიცვალა 1960.
- 140 წლის წინათ (1864) დაიბადა არგურ კონანდოილი – ცნობილი ამერიკელი მწერალი, გარდაიცვალა 1930.
- 13 – 415 წლის წინათ (1589) დაიბადა თეიმურაზ პირველი, ქართველი მეფე – პოეტი, ძველი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა 1663.
- 14 – თამარობა. ხსენება წმიდა კეთილმორწმუნე ქართველთა დიდი მეფისა თამარისა.
- 15 – 65 წლის წინათ (1939) დაიბადა ლია სგურუა – ქართველი პოეტი.
- 15 – 70 წლის წინათ (1939) დაიბადა გივი ბერიკაშვილი. ცნობილი ქართველი მსახიობი, საქ. სახალხო არტისტი.
- 15 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა შალვა მშველიძე – ცნობილი ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1984.
- 16 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა ვახტანგ გაბლიაშვილი – ქართველი რეჟისორი, საქ. სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2002.
- 18 – 95 წლის წინათ (1909) დაარსდა მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის (ყოფილი ა. ჯავახრიძის სახ.) თბილისის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკა.



- 20 – ამალღება – იესო ქრისტესი.  
90 წლის წინათ (1914) დაიბადა ალიო ადამია – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1980.
- 21 – 130 წლის წინათ (1874) დაიბადა შალვა დიანი – ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე. გარდაიცვალა 1959.
- 26 – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ეროვნული დღესასწაული.

65 წლის წინათ (1939) დაიბადა მერაბ კოსტავა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული გმირი, გარდაიცვალა 1989.

60 წლის წინათ (1944) დაიბადა გივი ალხაზიშვილი ქართველი პოეტი, მთარგმნელი აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

28 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა ლია ელიავა, ცნობილი კინომსახიობი, საქ-ს სახალხო არტისტი, გარდაიცვალა 1999.

## ი ვ ნ ი ს ი

- 1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.  
– ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.  
– 200 წლის წინათ (1804) დაიბადა მ. ი. გლინკა – ცნობილი რუსი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1857.
- 5 – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 6 – 205 წლის წინათ (1799) დაიბადა ა.ს. პუშკინი. გარდაიცვალა 1837.
- 10 – 75 წლის წინათ (1929) დაიბადა მერაბ ბერძენიშვილი – ცნობილი ქართველი მოქა-

ნდაკე, სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

11 – 140 წლის წინათ (1864) დაიბადა რიხარდ შტრაუსი – ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი და ღირიქორი. გარდაიცვალა 1949.

18 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა მერაბ ელიომიშვილი – ქართველი მწერალი.

28 – 115 წლის წინათ (1889) დაიბადა ილია სიხარულიძე – ქართველი საბავშვო მწერალი. გარდაიცვალა 1963.

29 – 110 წლის წინათ (1894) დაიბადა პაოლო იაშვილი. ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1937.

## ი ვ ლ ი ს ი

- 1 – 95 წლის წინათ (1909) დაიბადა სერგო მაქარიაძე, გამომჩენილი ქართველი მსახიობი, საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1971.
- 4 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა გურამ რჩეულიშვილი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1960.
- 6 – 80 წლის წინათ (1924) თბილისში დაარსდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს წიგნის პალატა. სახელმწიფო ბიბლიოგრაფიისა და ბეჭდვითი პროდუქციის სტატიისტიკის და რეგისტრაციის ცენტრი.
- 7 – 125 წლის წინათ (1879) დაიბადა ჭოლა ლომთათიძე – ქართველი მწერალი და საზო-


გადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1915.

8 – 85 წლის წინათ (1919) დაიბადა ალექსანდრე შავერზაშვილი – ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახალხო არტისტი.

19 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა გურამ ფორჩხიძე. ცნობილი ქართველი გრაფიკოსი, საქ-ს დამსახურებული მხატვარი. (საბავშვო წიგნების დამსურათებელი). გარდაიცვალა 1993.

21 – 105 წლის წინათ (1899) დაიბადა ერნესტ ჰემინგუეი – ცნობილი ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1961.





- 27 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა ოთარ თაქთაქიშვილი – ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1989.
- 29 – 50 წლის წინათ (1954) ფოთში გაიხსნა ქა-

რთველი პუბლიცისტის, კრიტიკოსის, ქურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის – ნიკო ნიკოლოძის ძეგლი.

## ა გ ვ ი ს ტ ო

- 1 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა გრიგოლ აბაშიძე – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1994.
  - 2 – ილიაობა.
  - 7 – 55 წლის წინათ (1949) მირგოროდში (უკრაინა) გაიხსნა ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ძეგლი.
  - 19 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა მიხეილ მრევლიშვილი. ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1980.
  - 20 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა გივი ჭიჭინაძე. ქართველი საბავშვო პოეტი, მსახიობი. გარდაიცვალა 1999.
- 115 წლის წინათ ((1899) დაიბადა დავით კაკაბაძე ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი

- თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი. გარდაიცვალა 1952.
- 24 – საქართველოს კონსტიტუციის დღე.
- 24 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა გიორგი ცაბაძე. ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1986.
- 27 – 120 წლის წინათ (1884) დაიბადა ალექსანდრე აბაშელი – ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1954.
- 28 – მარიამობა. მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა.
- 29 – 70 წლის წინათ (1934) საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიციამ ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დაიპყრო უშბას მწვერვალი.

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

- 1 – ცოდნის დღე.
- მშვიდობის მსოფლიო დღე.
- 11 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა გაბრიელ ჯაბუშანიური. ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1968.
- 13 – 380 წლის წინათ (1624) საშინელი წაშებით

- მოკლეს ქეთევან დედოფალი – კახეთის მეფის დავით I მეუღლე, აშოთან მუხრანბატონის ასული.
- 21 – შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა.
- 27 – ტურიზმის მსოფლიო დღე.

## ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

- ოქტომბრის პირველი კვირა სპორტის დღეა!
- 1 – მუსიკის საერთაშორისო დღე.
- ხანდაზმულთა და თაობათა სოლიდარობის დღე.
- 2 – 50 წლის წინათ (1954) დაიბადა გოდერძი ჩოხელი. – ქართველი მწერალი და კინორეჟისორი.
- 9 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა მიკოლაზაქანი. უკრაინელი პოეტი და საზოგადო მო-

- ღვაწე, საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 14 – 200 წინათ (1804) დაიბადა გრიგოლ ორბელიანი. ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1883.
- მცხეთობა, სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული.
- 15 – 190 წლის წინათ 1814) დაიბადა მიხეილ ლერმონტოვი – რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1841.



- 20 – 120 წლის წინათ (1884) გაიხსნა თელავის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა.
- 21 – 105 წლის წინათ (1899) დაიბადა ივანე (ვანო) გოკიელი. ქართველ კომპოზიტორი, საქ. სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1972.
- 22 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა ვლადიმერ უბილავა. ქართველი პოეტი. დაიღუპა 1942.
- 24 – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.

- 28 – 120 წლის წინათ (1884) დაიბადა გრიგოლ რობაქიძე – ქართველი (ემიგრანტი) მწერალი. გარდაიცვალა 1962.
- 25 წლის წინათ (1979) გაიმართა პირველი თბილისობა – სახალხო დღესასწაული.
- 29 – რუსთაველის დღე. პოემიის დღე.  
ოქტომბრის ბოლო კვირა – თბილისობა. ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული.

## ნოემბერი





- 3 – 75 წლის წინათ (1929) დაიბადა ჯანსუღ ნიქაბაძე – ქართველ პოეტი, გარდაიცვალა 1989.
- 5 – 100 წლის წინათ (1904) გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის“ პირველი ნომერი.
- 10 – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.  
საქართველოს პოლიციის დღე.
- 11 – 65 წლის წინათ (1939) დაიბადა ბესიკ ხარანაული – ქართველი პოეტი.
- 18 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა რეზო ესაძე – ქართველი კინორეჟისორი.
- 20 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა ირაკლი

- ოჩიაური. საქ. სახალხო მხაგვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 20 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა ალექო შენგელია – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1975.
- 21 – 80 წლის წინათ (!1924) დაიბადა ედიშერ ყიფიანი – ქართველი მწერალი.
- 23 – გიორგობა. სსენება წმიდა დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა.
- 23 – 95 წლის წინათ (1909) დაიბადა ირაკლი აბაშიძე. ქართველი პოეტი და სამოგადლო მოღვაწე. გარდაიცვალა 1991.
- 30 – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკთა დღე.


## დეკემბერი

- 10 – საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.  
80 წლის წინათ (1924) დაიბადა ხუტა ბერულავა – ქართველი პოეტი.
- 11 – 85 წლის წინათ (1919) თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.
- 15 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა ანა კალანდაძე. ცნობილი ქართველი პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

- 16 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა ბათუ კრავეიშვილი – ქართველი მომღერალი საქ. სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1970.
- 21 – 125 წლის წინათ (1879) დაიბადა ი.ბ. სტალინი. გარდაიცვალა 1953.
- 21 – 70 წლის წინათ (1934) გაიხსნა გორის სახელმწიფო ღრამაგული თეატრი.
- 23 – მედიცინის მუშაკთა დღე.
- 25 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1987.



**ამერიკული  
პიბლიოთეკები  
ქართული  
სპეციალისტების  
თვის**



„დავით სარაჯიშვილმა ქართველების სიყვარული მოიპოვა სიყვარულითვე, იმ სიყვარულით, სადაც ყვედრების დროსაც კი ქირისფულის სიყვარული იხატებოდა... დათიკო თავისის ოფლითა და შრომით და ინტელიგენტურის გამჭრიახობით მოპოვებულ ქონებასაც ქართველობას უნანილუბდა: ვინ არ იცის, რომ ახალ თაობას სწავლა-განათლების მიღების საშუალებას აძლევდა სტიპენდიებით. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ დავით სარაჯიშვილი საიდუმლო ქველმოქმედი იყო, სადაც კი ხელი შეუწევდებოდა.“

## აკაკი ნაგბთალი



„დავით სარაჯიშვილს მამისაგან დარჩა მცირედი თანხა, და მან ეს თანხა თავისი ცოდნით და მხნეობით მილიონებად გადააქცია, თუმცა თავის მომუშავეთ აძლევდა იმდენს საფასს, რამდენსაც არც ერთი მასზე მდიდარი მილიონერი არ იმეტებდა და იმეტებს. და ბოლოს მთელი თავისი დიდი ქონება, შეძენილი პატიოსანი გზით და უმნიეკლო მოქმედებით, მან დაუტევა ქვეყანასა...“

## იაკობ აოგაიაშვილი



„შეაერთეთ ქართველის გულკეთილობა და პურმარდი ევროპიულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს... როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ საქმიანობას და თან თავის ნაციონალურ ხასიათს არ დაკარგავთ - ჩვენი გაევროპიელება ფაქტი იქნება. დავით სარაჯიშვილი ქართველი-ევროპიელი იყო.“

## ნოა ჯორღანიძე



„დავით სარაჯიშვილი იყო ქართული მრეწველობის დამფუძნებელი, მრავალი მოსწავლე ახალგაზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მფარველი. დავითი განათლებული კაცი იყო. უყვარდა საზოგადოება და განათლებული პირები. ილიასა და დავით სარაჯიშვილს შორის მეგობრული განწყობილება მუდამ სუფევდა...“

## არტურ ლაისტი



„...შევხირით მაღლობა ზეციერ მამასა დავით სარაჯიშვილს ქვეყნად მოვლენისათვის და შევეუდროთ, რომ მხგავსი მიხი კვალად მომნიჭებოდეს ქვეყანასა ჩვენსა არა ერთა და ორი. ამინ.“

## კათოლიკოს-პატრიარქი ავლისტრატე ცინცაძე



„მელოცნებას მოგრფილეთა შორის მეგრნი ხშირად სიღარიბისა გამო უღრმეს ზნეობრივ ტანჯვას განიცდიან. აქ მდიდარი კაცი არა უმარა, საჭირია მეგობარი, და ახეთა მეგობარი იყო დავით სარაჯიშვილი. მოუჩუდავად ამისა, რომ ყველაზე მაღლა იდგბ სწავლით, ნაჭით, ბარისბითა და სხვა. ისე მიიღებდა ახალგაზრდა უმარეულ კაცს, ისე გულთთა და ხელთ გამოემკობებდა, თითქო შორიდგან შეილი ჩამოვითყა...“